

სამში სამი "რენოა"
A4



ახალი ჰიდროელექტროსადგური თრუსოს ხეობაში
B2




General Motors-მა ფინანსური ქვებანყოფილება გაყიდა
B3


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 4 აპრილი, 2006 წელი. №72 (1224) | ფასი 50 თეთრი


## სამართალი

### პროტესტი ლუკა რამაზაშვილის პატიმრობის გამო

გუშინ დილიდან თელავის გამგეობასთან ლალისყურის, ლეჩორის, ფშაველის, ალავერდისა და პანკისის ხეობის მოსახლეობა ყოფილი სახალხო რაზმელისა და ბიზნესმენის ლუკა რამაზაშვილის პატიმრობას აპროტესტებდა. აქციის მონაწილეთა განცხადებით, რამაზაშვილი უკანონო პატიმრობაშია და მის მიმართ სამართალდამცავებს რაიმე მტკიცებულებები არ გააჩნიათ.

A3

## ამბები

### "თავისუფალი სიტყვა"

A2




ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A5


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 4/04 | 5/04 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 19 |
| ტყიბული | 13 | 19 |
| სოხუმი | 12 | 20 |
| გორი | 12 | 16 |
| ონი | 8 | 14 |
| ზუგდიდი | 13 | 22 |
| ახმეტა | 18 | 18 |
| გაგრა | 15 | 18 |
| სამტრედია | 14 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.2010 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1518 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| სამართალი | A 3 |
| სპორტი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| თვალსაზრისი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ოპოზიცია ბუტიაობას აგრძელებს

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის პლენარული სხდომების ბოიკოტირების შესახებ ოპოზიციის მიერ 31 მარტს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში რჩება. მეტიც, ხელისუფლების ოპონენტებმა განიზრახეს, რომ პროტესტის ეს ფორმა ბიუროს სხდომებზეც გავრცელდეს. მართლაც, სხვა შემთხვევაში, ბოიკოტი ყოველგვარ აზრს დაკარგავს, - ნახევრად გაბუტვას და ბიუროს მუშაობაში მონაწილეობას რეზონი არა აქვს, რადგან დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში დეპუტატები, ძირითადად, პლენარულ სხდომაზე გასატანი საკითხების ნუსხას აზუსტებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე



# არჩევანი დიალოგსა და კონფრონტაციას შორის

ეკა კვესიტაძე

მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ჯანყის მიზეზებისა და შედეგების გაანალიზების მცდელობისას ყველაფერი ისევ მარტივ მესიჯებამდე დავიდა. პოლიტიკური სპექტრის დაყოფა ხელისუფლებამ ისევ თეთრისა და შავის პრინციპით მოახდინა - ის, ვინც ჩვენთან არ არის, კრიმინალების მხარეს დგას. ოპოზიციამ კი ცალსახად დასდო ბრალი სახელისუფლებო გუნდს ძალადობის პროვოცირებაში.

ფაქტია, რომ ქვეყანაში კრიმინალური დაჯგუფებებისა და, ზოგადად, კრიმინალური მენტალიტეტის პრობლემა ერთ-ერთი უმთავრესია. მაგრამ დღეს მთავარი კითხვა ასე დგას - არსებობს თუ არა საზოგადოებრივი კონსენსუსი, რომელიც ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია და თუ არ არსებობს, როგორ შეიძლება მისი მიღწევა?

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია არ არის ერთსახოვანი, როცა საქმე შეეხება კრიმინალურ დაჯგუფებებთან ხელისუფლების შეხლა-შემოხლას, ზოგადი აღქმისათვის მათი შეფასებები მაინც ერთანაირად ჟღერს.

თუ რუსთაველის გამზირზე ან მე-5 საპყრობილესთან მისულ ლეიბორისტულ და სხვა მის მსგავს პარტიებს ნამდვილად არ აღელვებთ კრიმინალური სამყაროს პრობლემა, მათი მთავარი მიზანი ნებისმიერი უკმაყოფილების თავის სასარგებლოდ გამოყენება და რევოლუციური სიტუაციის სიმულაციის შექმნაა, სავარაუდოა, რომ რესპუბლიკურ პარტიას სხვა მიზნები უნდა ჰქონდეს, რადგან მისი პოლიტიკური განაცხადი ხელისუფლების კონტრუქციული ოპონირება იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მექაღალდეობიდან ციფრულ ტექნოლოგიებამდე

B

*კორპორაცია "ნოკიას" ისტორია მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი საგა გახლავთ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ფინური კონგლომერატის ხელმძღვანელობას დანგრევის პირას მყოფ საბჭოთა კავშირში ტუალეტის ქაღალდის გაყიდვის შემცირება აწუხებდა. ათასწლეულის ბოლოს კი "ნოკია" მთელს მსოფლიოში მობილური ტელეფონებისა და ტელეკომუნიკაციების ყველაზე წარმატებული მწარმოებელი და ერთ-ერთი უმდიდრესი ფირმა გახდა.*




# მიხეილ სააკაშვილმა სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას ისტორიული უწოდა

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ სოჭში გაფორმებული საქართველო-რუსეთის შეთანხმება გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში საზეიმო ვითარებაში გადასცა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისტორიული უწოდა ამ ფაქტს და განაცხადა, რომ ამ შეთანხმების გაფორმება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვებაა, რომელიც კონსტრუქციული დიალოგის გზით არის მიღწეული.

შეხვედრაზე სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, ასევე ყველა ქართველ დიპლომატს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გასაყვანად გაწეული "პროფესიონალური და ეფექტური სამუშაოსათვის".

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან ამ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები შეთანხმებული იყო.

**"როცა გელა ბეჟუაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა, მან ორი დავალება მიიღო. პირველი - რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების სარეალიზაციოდ იურიდიული საფუძვლის შექმნა, რაც უკვე გაკეთებულია. და მეორე - საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გააქტიურება, რაც ძალიან წარმატებით ხორციელდება. ახლა ის მესამე დავალებას მიიღებს - საქართველომ კონსტრუქციული დიალოგის გზით უნდა გადალახოს ეკონომიკური ემბარგო, რომელიც რუსეთმა ქართული პროდუქტების იმპორტზე დააწესა"**, - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის სიტყვებით, **"ეს საკითხი უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე გვინდა გადავჭრათ, რადგან ეს ეხება არა მარტო ეკონომიკურ საკითხებს, არამედ რუსეთთან კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებსაც"**.

**"ბაზების საკითხი გვიჩვენებს, რომ დიპლომატია მუშაობს და სწორი, ეტაპობრივი მიდგომით შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის მოგვარება. არ არსებობს საკითხი, რომელიც კონსტრუქციული დიალოგისა და მოლაპარაკების გზით არ მოგვარდეს რუსეთთან "**, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველოს წინააღმდეგ ძალიან ძლიერი ძალები მოქმედებენ, მიუხედავად ამისა, საქართველომ უნდა შეძლოს ევროპაში საბოლოო ინტეგრაცია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სკოლა ისეთი, როგორც მახსოვს!

A8



*სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ.*
*პირველ მწკრივში სხედან: მეხუთე დიანა ბელეშაძე; მეშვიდე ეთერი შოშიტაიშვილი.*
*მეორე მწკრივში: პირველი შოთა ინწკირველი; მეოთხე და მეხუთე: ნოდარ მალაზონია და აკაკი ბაქრაძე; მეშვიდე და მერვე მიტო ებანოიძე და ოსიკო ცხომელიძე;*
*მესამე მწკრივში დგანან: მეორე, მესამე და მეოთხე: ლამარა მიქატაძე, რუსიკო კანდელაკი და ლალიანა ჩიტაიშვილი; მეექვსე და მეშვიდე: ქეთევან მამინაიშვილი და ლეილა შეწირული.*

# ხაჭაპურიძე ციხეშია

*გორის რაიონულ სასამართლოში გუშინ ცხინვალის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ვაჟა ხაჭაპურიძის სასამართლო პროცესი გაიმართა. სამართალდამცველები მართლმსაჯულებისგან მისთვის წინასწარ ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდნენ.*

როგორც ცნობილია, ხაჭაპურიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა ცხინვალის გამოსასვლელში, ერგნეთის საგუშაგოსთან კონტრაბანდის გადაზიდვის ბრალდებით დააკავეს. მის ავტომანქანაში სამი ყუთი - 1500 კოლოფი რუსულაქციზიანი აღურიცხავი სიგარეტი აღმოჩნდა, რომელიც ვაშლში ჰქონდა დამალული. დაკავების მომენტში ვაჟა ხაჭაპურიძე არ უარყოფს სიგარეტის უკანონო გადაზიდვას, თუმცა აცხადებს, რომ კონტრაბანდული ტვირთი მისი კუთვნილება არ არის.

**"იგი ხელმოკლე ოჯახს ეკუთვნოდა და ამ ოჯახის წარმომადგენელმა მთხოვა ტვირთის გადატანაში დავხმარებოდი"**, - აცხადებდა ხაჭაპურიძე.

დაკავების მომენტში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის თანამშრომელს სჯეროდა, რომ მისი დანაშაული ჯარიმით შემოიფარგლებოდა, თუმცა, მოგვიანებით იგი წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს და ბრალდებულმაც დუმილის უფლება აირჩია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ეკა კვესიტაძის სვეტი

# არჩევანი დიალოგსა და კონფრონტაციას შორის

პირველი გვერდიდან

რესპუბლიკელების შეფასებებში იყო ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომელიც მათ პოზიციებს შალვა ნათელაშვილის თუ დავით გამყრელიძის შეფასებებისაგან განასხვავებს. მაგრამ განსხვავებული აქცენტები, რომელთაც ისინი სვამენ, მაინც იკარგება, რადგან როგორც ყველა საკითხი, ეს თემაც პოზიციის ნათლად და აშკარად დაფიქსირებას ითხოვს.

საინტერესო დეტალია ისიც, რომ დემოკრატიულ ფრონტს მაშინ არ მოუწყვია პრესკონფერენცია და არ გამოუხატავს აღშფოთება, როცა ე.წ. კანონიერი ქურდი, ვინმე "წრიპა" აბანოში მონებივრე ნახა. ჟურნალისტებისთვის ბრიფინგის მოწყობა ამ ფრაქციამ მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა, როდესაც ქუთაისის საპყრობილეში, ბევრად უკეთეს პირობებში გადაყვანის შემდეგ, პატიმრებმა ჯანყი მოაწყვეს. ეს კი, ბუნებრივია, კითხვებს ბადებს - ან კრიტიკის თვითმიზნურობაზე ან საკითხთა პრიორიტეტულობის ვერგანსაზღვრაზე.

შესაბამისად, დღეს რესპუბლიკურ პარტიას, ისევე, როგორც კონსერვატორებს და მათ საერთო საპარლამენტო ფრაქციას, საკუთარი ნიშის შემოხაზვის პრობლემა აქვთ - სად დგანან ისინი, იმ ოპოზიციასთან, რომლისთვისაც თვითმიზანი არეულობა და ხელისუფლების ლანძღვაა, თუ იმ ნიშას იკავებენ, რომელიც კონსტრუქციული და თანამიმდევრული პოლიტიკის განხორციელებას მოითხოვს.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ კონსენსუსს, აქ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. სამწუხაროდ, დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებში სულ თითზე ჩამოსათვლელი არიან ის ადამიანები, რომელთა მოიუკერძოებლობა ადვილი დასაჯერებელია. დარჩენილი ძალის მარგინალიზება კი საკმაოდ სწრაფი ტემპებით ხდება. როდესაც ციხეებში ჯანყის მომწყობ და "ყველაფრის თავის ადგილზე დაყენების" მოსურნე ქურდებს არასამთავრობოების დიდი იმედი აქვთ, როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების სახე ლალი აფციაურია და როდესაც სამოქალაქო სექტორის ცნობილი წარმომადგენლები იგივე აფციაურის მიერ გავრცელებულ ტყუილებს და ლეგენდებს გადაუმოწმებლად უკეთებენ ტირაჟირებას, იქ ძალიან ძნელია საუბარი იყოს ნამდვილ სამოქალაქო თვითშეგნებაზე და ისეთი საკითხის გარშემო კონსენსუსზე, როგორიც კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა.

ეს ბრძოლა ქვეყნის სათავეში მყოფმა პოლიტიკურმა გუნდმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოაცხადა, თუმცა ორი წელი ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. პირიქით, სამოთხე, რომელიც ქურდებს ციხეში ჰქონდათ, ისეთივე სამოთხედ დარჩა და მიუხედავად მრავალი რეკომენდაციისა, ამ მიმართულებით ხელისუფლებას ორი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს.

რაც შეეხება უკვე მოგვიანებით შემუშავებულ სტრატეგიას, მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალურად ის სწორი იყო, ხელისუფლებამ ცოტა რამ გაკეთა ამ საკითხის გარშემო კონსტრუქციული დიალოგის გახსნისათვის.

კრიმინალური აზროვნების დაბრალება ადამიანებისათვის, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ქურდების შესახებ კანონის ეფექტურობაში დარწმუნებულები არ არიან, ნამდვილად არ არის დიალოგისათვის ბიძგის მიცემა და კონსენსუსის შესაქმნელად ნაბიჯების გადადგმა. ასევე საჯარო დისკუსიის საგანი უნდა იყოს ის მეთოდები, რომელიც ხელისუფლებამ ციხეში თუ ციხის გარეთ ქურდებთან საბრძოლველად აირჩია. და კითხვა - ხომ არ შეიძლება ეს მეთოდები კონტრ-პროდუქტიული აღმოჩნდეს? - არ შეიძლება მტრულ კითხვად და პოზიციად იქნეს განხილული. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილი მარგინალიზებულია, ამ სექტორში ნამდვილად არიან გავლენიანი ადამიანები, რომელთა პროცესში ჩართვაც ამ ბრძოლის წარმატებას შეუწყობს ხელს. კონსტრუქციული ადამიანების პოვნა, ბუნებრივია, ოპოზიციაშიც არის შესაძლებელი და ამ ადამიანებთან დიალოგისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაც ხელისუფლებას ევალება.

გასულ კვირას, გიგა ბოკერიასა და ლევან ბერძენიშვილის ტელე-დებატების ყურების შემდეგ, პირადად მე, ნამდვილად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ ამგვარი დიალოგისაკენ ნაბიჯი გადადგა. ახლა ოპოზიციური პარტიების გადასაწყვეტია, კონფრონტაციულ გზას აირჩევენ, თუ კონსტრუქციულ თანამშრომლობას დათანხმდებიან ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორიც კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ მომენტში ნებისმიერი კონფრონტაცია სწორედ ამ სამყაროს წისქვილზე ასხამს წყალს.

რაც შეეხება უშუალოდ მე-5 საპრობილეში განვითარებულ მოვლენებს, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ბუნტი ჩახშობილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პასუხი მთავარ კითხვაზე - შექმნილი საფრთხის რამდენად თანაზომადი და ადეკვატური ზომა იყო ცეცხლის გახსნა - საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს და ხელისუფლებამაც აბსოლუტურად დამაჯერებელი პასუხი უნდა გასცეს ამ კითხვას.

**P.S. ერთი მოკლე კომენტარი პოსტ-სკრიპტუმისათვის: პარასკევს კობა დავითაშვილის გამოსვლა არათუ კონსტრუქციულ-არაკონსტრუქციულ ჩარჩოებში, არამედ ელემენტარული ეთიკისა და პოლიტიკური კორექტულობის ფარგლებში არ ჯდებოდა.**

# მიხეილ სააკაშვილმა სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას ისტორიული უწოდა

პირველი გვერდიდან

სააკაშვილმა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა "კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს" შეადარა. მისი თქმით, საქართველომ უნდა მოახერხოს "ჯაჭვებისგან გათავისუფლება".

**"ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გვსურს და ამისთვის ბევრი ნაბიჯი გადავდგით. რუსეთის ბაზები არის იმპერიული და საბჭოური გადმონაშთი, რასაც ორი ქვეყნის კონსტრუქციულ ურთიერთობასთან არანაირი კავშირი არ აქვს"**, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გაფორმებულ შეთანხმებას საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ კომპრომისული ვარიანტი უწოდა. როგორც გუშინ მინისტრმა აღნიშნა, საქართველო არ ელოდება ამ ხელშეკრულების შესრულებისას რაიმე შეფერხებებს რუსეთის მხრიდან.

საქართველომ და რუსეთმა 31 მარტს სოჭში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებისა და წესის შესახებ. ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, რუსეთის ჯარების გაყვანა მთლიანად 2008 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

შეთანხმებას ხელი რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსეი მასლოვმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ მოაწერეს.

*24 საათი*

# ოპოზიცია ბუტიაობას აგრძელებს

პირველი გვერდიდან

იმასთან დაკავშირებით, ბოიკოტი მხოლოდ პლენარულ სხდომებს უნდა შეეხოს თუ სხვა საპარლამენტო ღონისძიებებსაც, ოპოზიციის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა. "დემოკრატიული ფრონტი" და "მრეწველები" პირველ თვალსაზრისს ემხრობიან, "მემარჯვენეები" კი, - მეორეს. თუმცა, ბიუროს გუშინდელი სხდომის დაწყების წინ ისინი მაინც შეთანხმდნენ, რომ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელთა თავყრილობაზე ფეხს არ შეადგამდნენ.

რაც შეეხება საკომიტეტო მუშაობას, ოპოზიციის პროტესტი მასზე არ ვრცელდება. თუმცა, ბოიკოტის ფორმების და მასშტაბის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული და ამ საკითხზე კონსულტაციები კვლავაც გაგრძელდება.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები თავისი პოლიტიკური ოპონენტების პროტესტს მშვიდად ხვდებიან. მათ კარგად იციან, რომ ოპოზიცია მთავარი ტრიბუნის გარეშე ვერ გაძლებს და, ადრე თუ გვიან, პლენარულ და ბიუროს სხდომათა დარბაზებს დაუბრუნდება. ამიტომ, სახელისუფლებო ფრაქციას ოპოზიცია გუშინ არ მოუსაკლისებია. ბიუროს სხდომაზე მისი არსებობა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს გაახსენდა. ნინო ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ბოიკოტი შეწყდება და ოპოზიცია თანამშრომლობის კონსტრუქციულ რეჟიმს დაუბრუნდება.

**"მზად ვართ კონსულტაციებისთვის, რათა პარლამენტის მუშაობა ნორმალურ კალაპოტში გადავიდეს"**, - სპიკერი, უმრავლესობის სახელით, შერიგებას სთავაზობს ოპოზიციას.

ვიდრე ეს დრო დადგება, ხელისუფლების წარმომადგენლები უმრავლესობისა და ოპოზიციის როლებს ერთმანეთში ინაწილებენ. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი კვლავ უმრავლესობაშია, მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი კი, - "ოპოზიციაში".

**"მთავრობაში, როგორც ჩანს, ზოგიერთმა წერა-კითხვა არ იცის და ეს მათ მიერ შემოტანილი კანონპროექტების განმარტებით ბარათებსაც ეტყობა"**, - აღმასრულებელ ხელისუფლებას საყვედურს უთვლის პარლამენტის ვიცე-სპიკერი. მთავრობის ინიციატივით მომზადებულ ორ კანონპროექტს ("თამბაქოს სფეროში სამეწარმეო საქმიანობის წესების განსაზღვრის შესახებ" და "ნავთობპროდუქტების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის წესების განსაზღვრის შესახებ") მიხეილ მაჭავარიანი განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებს და ითხოვს, რომ მთავრობამ პარლამენტში "მიწიერი კანონპროექტები" წარმოადგინოს.

**"რაღაც ვერ ვარ ხასიათზე"**, - როგორც ჩანს, საკუთარი პოლიტიკური სითამამე ვიცე-სპიკერსაც არ მოეწონა, თორემ, საეჭვოა, რომ მისი უგუნებობა ოპოზიციის ბოიკოტით ყოფილიყო განპირობებული.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მომავალი პლენარული სხდომების დღის წესრიგი ოპოზიციის "საცდუნებლად" არის შედგენილი. მართლაც, ძნელი გასახსენებელია, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მიერ მომზადებული ერთბაშად ოთხი კანონპროექტი როდის მოხვდა ერთი სასესიო კვირის დღის წესრიგში (ისინი, ძირითადად, საკონტროლო სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან წვრილი მეწარმეების გათავისუფლებას და ყოფილი აგენტების ლუსტრირებას შეეხება). თუმცა, საეჭვოა, ოპოზიცია ამ სატყუარას წამოეგოს. "დემფრონტს" უკვე აქვს იმის მწარე გამოცდილება, რომ მის მიერ ინიცირებული კანონპროექტები კვირიდან კვირაში გადის.

თავად უმრავლესობას კი ამ ეტაპზე ყველაზე მეტად პარლამენტის 2007 წლის ბიუჯეტის პროექტი აინტერესებს, რომელსაც დეპუტატები 11-14 აპრილის ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განიხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ მომავალ წელს, წლევანდელთან შედარებით, დეპუტატთა სამივლინებო ხარჯები გაზრდილია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, ამ კუთხით, კიდევ უფრო მეტი სახსრების გამოყოფას ითხოვს. მისი არგუმენტი ის არის, რომ 2007 წელს საქართველოს საგარეო პოლიტიკური აქტიურობა ძალზე მაღალი იქნება.

ისე, თუ განვლილი პერიოდის სამივლინებო გეოგრაფიას გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ "აქტიურობა" ქართველ პარლამენტარებს არც აქამდე აკლდათ და მათ კვალს თითქმის მთელ პლანეტაზე წააწყდებოდით, ისლანდიიდან დაწყებული და ახალი ზელანდიით დამთავრებული. ვინაიდან საკანონმდებლო ორგანოს ქისა უძირო არ არის, ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებს სამივლინებო ხარჯების ოპტიმიზაციას და მივლინებების პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრას სთავაზობს.

**"უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებების სანაცვლოდ, რაღაც-რაღაცებზე უარი უნდა ვთქვათ"**, - მოითხოვს ნინო ბურჯანაძე.

# მზადდება მოსკოვში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოსკოვში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ოფიციალურ ვიზიტს ამზადებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს 3 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, **"ახლა ის დროა, როცა საჭიროა დიალოგი მაღალ დონეზე"**. მინისტრმა აღნიშნა, რომ **"თუ შესაბამისი პოლიტიკური ფონი და აუცილებლობა იქნება, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ვიზიტები პრეზიდენტების დონეზე"**.

თებერვლის ბოლოს ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტი რუსული მხარის ინიციატივით გადაიდო.

**"თუ ღვინის ექსპორტის აკრძალვას გავითვალისწინებთ, უსაფუძვლო და უკანონო ქმედებებისაგან დაზღვეული არ ვართ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რუსულ მხარესთან კონსტრუქციული მუშაობის გზით ამ საკითხის გადაჭრასაც შევძლებთ"**, - განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, რუსეთმა ქართული ღვინის იმპორტის შეწყვეტასთან დაკავშირებით სერიოზული არგუმენტაცია ვერ წარმოადგინა და საქართველო აპირებს აღნიშნული შეზღუდვა განიხილოს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში.

**"გამოსავალი მარტივია, ჩინოვნიკების ეს უსაფუძვლო გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს. ასეთი გადაწყვეტილებები უბრალოდ არ მიიღება, და მათ პოლიტიკური ელფერი აქვთ"**, - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა და აღნიშნა, რომ თავის რუს კოლეგასთან სერგეი ლავროვთან სატელეფონო საუბრისას შეთანხმდნენ, რომ საკითხი უმაღლეს დონეზე განიხილება და გადაწყდება.

გელა ბეჟუაშვილის თქმით, უკრაინაში ვიზიტისას ის აქტიურად დააყენებს ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხს. გელა ბეჟუაშვილი კიევში გუშინ საღამოს გაემგზავრა.

*24 საათი*

# "თავისუფალი სიტყვა"

*გადაცემას მოისმენთ სამუშაო დღეებში, 13-დან 14 საათამდე. გადაცემა მიჰყავდა რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტს, **თამარ ჩიქოვანს**. გადაცემის სტუმარი იყო ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი ისაკაძე**.*

**თამარ ჩიქოვანი:** რამდენიმე თვის წინ საქართველოში მყოფმა ევროსაბჭოს ექსპერტმა ურჩია ქართველ მეღვინეებს, რომ ძალები გაეერთიანებინათ და სარეკლამო კამპანია ევროპაში ერთობლივი ძალებით ეწარმოებინათ. რამდენად შესაძლებელია ეს და რა პრობლემები შეიქმნა რუსეთში ღვინის ექსპორტთან დაკავშირებით?

**გიორგი ისაკაძე:** ჩვენი პრობლემა რუსებთან მხოლოდ ის არ არის, რომ ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთის ბაზარზე პირველი აპრილიდან აიკრძალა. ნაშთიც კი რაც არის არსებული, უნდა ამოიღოს და დაბრუნდეს. ყველაზე რთული ის არის, რომ აქციზებთან მიმართებაში დუმის გადაწყვეტილებაა საჭირო, რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ რუსეთის ბაზარს მალე ევროპის ბაზარი ჩაენაცვლება. ამას წლები დასჭირდება. ქართულ ღვინოს აკრძალვამდეც სერიოზული კონკურენცია ჰქონდა ადგილზე ჩილეს, ავსტრალიურ და ახალ ზელანდიურ ღვინოებთან. შეიძლება ეს ყველაფერი რომელიმე ქვეყნის ლობისტმა გააკეთა, ჩვენ ხომ არ ვიცით რა მოხდა სინამდვილეში, თუმცა მე უფრო მგონია, რომ ასეთი გადაწყვეტილება ჩვენსა და რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის შედეგია. ჩილეს და სხვადასხვა ქვეყნის ღვინოებმა სერიოზულად შეავიწროვა ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე.

**თ.ჩ.:** საქართველოს რომ ჰყავს ლობისტები სხვადასხვა ქვეყანაში, ვიცით, მაგრამ რატომ არ ჰყავს ლობისტი რუსეთში?

**გ.ი.:** პასუხი მარტივია. ეს იმ ტიპის ურთიერთობაა, სადაც პოლიტიკა დომინირებს. აქ საკმარისია გაიგო დამოკიდებულება თუნდაც პრეზიდენტებს შორის, რომ ინვესტორს გაუჭირდება ჩამოსვლა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ კომუნიკაცია შიგნითაც გვიჭირს და გარეთაც. ეს პრობლემა მაინც დიალოგით იქნება მოსაგვარებელი.

**თ.ჩ.:** ტელეკომპანია "იმედს" ვრცელი ინტერვიუ მისცა ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა. აქ ერთი რიტორიკული კითხვა დაისვა: უნდა კი ხელისუფლებას შეშინებული ბიზნესი? დღეს ბიზნესი მართლა შეშინებულია?

**გ.ი.:** ამ გამოსვლით მე კიდევ ერთხელ დავინახე ბიზნესის სახე. სხვა საკითხია თავად ბადრი პატარკაციშვილის გამოსვლის შეფასება, რომელსაც შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება არა. მე ვთვლი, რომ არსებული სიტუაციის ზედმეტი დრამატიზება მოხდა ბიზნესმენების, პოლიტიკოსებისა და საზოგადოების მიერ. პაუზა, რომელიც ბატონმა ბადრიმ გააკეთა, იყო საკმაოდ დიდი და ბუნებრივია, ის მიიქცევდა ყურადღებას.

**თ.ჩ.:** პატარკაციშვილი დიდი ხანია გამოჩნდა არენაზე და ბიზნესმენებს შორის სიფრთხილით გამოირჩევა, ასეთი მკვეთრი განცხადებები მისგან არ მოგვისმენია. ალბათ დადგა დრო, როცა მან საჭიროდ ჩათვალა ამ თემაზე საუბარი. ნორმალურია, რომ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ რეაქცია საზოგადოების და პოლიტიკოსების მხრიდან საკმაოდ უცნაური იყო...

**გ.ი.:** ჩვენ ადრე ვისაუბრეთ თამაშის წესების შესახებ ზოგადად საქართველოში. თქვენ თვლით, რომ ეს წესები ჩამოყალიბდა?

**თ.ჩ.:** არა.

**გ.ი.:** მაშინ შეშინებული იქნება ბიზნესი თუ არა, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, თუ ის თავისუფალი არ იქნა შემოქმედებაში, ინვესტირებაში. მან უნდა იცოდეს თამაშის წესები, ანუ საიდან სადამდე აქვს რაღაცის უფლება. ეს ყველამ არ იცის. მე შეიძლება ჩემი პირადი აზრი მქონდეს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტის გამოსვლაზე, მაგრამ საერთო ჯამში, ამ გამოსვლის მესიჯი იყო, რომ "ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, მაგრამ მოდი, უფრო ხშირად გვქონდეს, რათა ერთობლივად გადავწყვიტოთ პრობლემები. იმის დამალვა, რომ ბიზნესი პრობლემებზე სასაუბროდ ღია არ არის, ამის ნათელი მაგალითი ვარ მე. ვინმემ რომ მკითხოს, მითხარი მაგალითები, რა უჭირს დღეს ბიზნესსო, რამდენი მაგალითის ჩამოთვლა შემიძლია? სამ, ოთხ მაგალითს თუ გავიხსენებ ისეთს, როდესაც თავად ის ბიზნესმენები დამიდგებიან გვერდით და დამიდასტურებენ ყველაფერს. ბიზნესმენები ღიად არ საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე.

ორი სიტყვით

## უკრაინაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით ჩადის

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი გუშინ უკრაინაში გაემგზავრა. კიევში 3-5 აპრილს ვიზიტის მსვლელობისას იგი უკრაინელ კოლეგასთან, ბორის ტარასიუკთან ერთად ხელს მოაწერს შეთანხმებას დიპლომატიური კადრების მომზადების შესახებ. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტი იუწყება, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია შეხვედრა უკრაინის პრემიერ-მინისტრთან იური ეხანუროვთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას მიიღებს უკრაინაში საქართველოს წლის დახურვის ცერემონიაში და სანდრა რულოვსის წიგნის -"საქართველოს პირველი ლედი, იდეალისტის მონათხრობის" პრეზენტაციაში. 2005 წელი უკრაინაში საქართველოს წლად გამოცხადდა, 2006 წელი კი - საქართველოში უკრაინის წლად. **"ახალი ამბები - საქართველო"**

## აფხაზებს რუსი სამხედროები დაეხმარებიან

აფხაზეთში "ქართველი ტერორისტების" წინააღმდეგ საბრძოლველად ანტიტერორისტული ცენტრი შეიქმნა. ცენტრის ავტონომიურობის მიუხედავად, ოპერაციების უმრავლესობა აფხაზეთის ძალოვან უწყებებთან ერთად ჩატარდება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების განმარტებით, ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა "გალის რაიონში მოქმედი ქართველი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯია". ანტიტერორისტულ ცენტრში მიიღებიან 20-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები. ცენტრში მოხვედრის მსურველთათვის შეიქმნა სპეციალური კურსები. ცენტრი აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და იარაღით. ცენტრის თანამშრომელთა საშუალო თვიური ხელფასი 700 აშშ დოლარი იქნება, რაც რამოდენიმეჯერ აღემატება ძალოვანი უწყების მუშაკთა საშუალო ხელფასს. დაზუსტებული ინფორმაციით, მომავალში, ცენტრში ძირითადად რუსეთის თავდაცვისა და სპეცსამსახურების თანამშრომლები იმუშავებენ. მათ ადგილობრივი კადრების მომზადება დაევალათ. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს მტკიცებით, რუს სპეციალისტთათვის განკუთვნილ სახელფასო თანხებსა და აფხაზეთში მათი ყოფნის ხარჯებს რუსული მხარე დაფარავს. **ინტერპრესნიუსი**

## "წინ საქართველო" "რესპუბლიკური პარტიის" პოზიციას აპროტესტებს

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "წინ საქართველო" "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის მიერ გახმოვანებულ პოზიციას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლებასთან დიალოგის რესურსი ჯერ კიდევ არ არის ამოწურული და "რესპუბლიკური პარტიისათვის" "წინ საქართველოსთან"თანამშრომლობა მიუღებელია. როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "წინ საქართველოს" წარმომადგენლები აცხადებენ, "რესპუბლიკური პარტიის" კრიტიკას ისინი მათი მოძრაობისთვის კომპლიმენტად მიიჩნევს. **ინტერპრესნიუსი**

## ზვიად ძიძიგური განხეთქილების შესახებ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ზვიად ძიძიგური ოპოზიციის საპარლამენტო ბოიკოტთან დაკავშირებით განხეთქილების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ გელაშვილის თემა ოპოზიციის განხეთქილების საფუძველი ვერანაირად ვერ გახდება. როგორც ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, ვალერი გელაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილების უკანონოდ მოხსნასთან დაკავშირებით, "დემოკრატიულ ფრონტს" მხარს უჭერენ როგორც ფრაქცია "მრეწველები", ასევე ფრაქცია "მემარჯვენეები", ამიტომ განხეთქილების მცდელობას და განხეთქილების შეტანას აღნიშნულ ალიანსში ყველანაირი აზრი ეკარგება. ამასთანავე, ძიძიგური არ გამორიცხავს, რომ გელაშვილის საკითხი მთლიანად არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის გამაერთიანებელი თემაც აღმოჩნდეს, რადგანაც გელაშვილის მსგავსად, შესაძლოა ხელისუფლება ნებისმიერ ოპოზიციონერს დაუპირისპირდეს.

"მემარჯვენეები" და "მრეწველები" რომ ერთ მაგიდასთან კონსულტაციებზე არ დასხდებოდნენ, ეს თითქმის ყველამ იცის. მათ ერთმანეთთან დაკავშირებით გარკვეული პოზიციები გააჩნიათ, ჩვენ კი გელაშვილის საკითხზე და საპარლამენტო ბოიკოტზე ვთანხმდებით", - აღნიშნა ძიძიგურმა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# პროტესტი ლუკა რამაზაშვილის პატიმრობის გამო

გუშინ დილიდან თელავის გამგეობასთან ლალისყურის, ლეჩორის, ფშაველის, ალავერდისა და პანკისის ხეობის მოსახლეობა ყოფილი სახალხო რაზმელისა და ბიზნესმენის ლუკა რამაზაშვილის პატიმრობას აპროტესტებდა.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, რამაზაშვილი უკანონო პატიმრობაშია და მის მიმართ სამართალდამცავებს რაიმე მტკიცებულებები არ გააჩნიათ.

**"ლუკა რამაზაშვილი შეთითხნილი ბრალდებით არის დაკავებული. ეს არის შინაგან საქმეთა კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსის თემურ ანჯაფარიძის და რაიონის გამგებლის გოჩა მამაცაშვილის ალიანსი"**, - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

მოსახლეობამ თავდაპირველად საპროტესტო აქცია თელავის თეატრის შენობის წინ გამართა, შემდეგ თელავის რაიონული გამგეობისკენ გადაინაცვლა.

აქციაში დაახლოებით 300 ადამიანი მონაწილეობდა. ისინი ითხოვდნენ არა მარტო ლუკა რამაზაშვილის, არამედ რამაზაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ახმეტის რაიონის სოფელ მატანში მცხოვრები გელა ნინიაშვილის გათავისუფლებასაც.

აქციაზე პოლიტიკური განცხადებები არ გაკეთებულა და არც რომელიმე პოლიტიკოსი გამოჩენილა. სამაგიეროდ, რამაზაშვილის პატიმრობას თბილისიდან "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი გოგი თოფაძე გამოეხმაურა.

სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ დაკავებული მოჭიდავე ლუკა რამაზაშვილი ქართველი ბიზნესმენის გოგი თოფაძის ბიზნესპარტნიორი გახლდათ, მისი დაკავებისთანავე გახდა ცნობილი. მეტიც, იმთავითვე ითქვა, რომ ლუკა რამაზაშვილის და გოგი თოფაძის პარტნიორობა არ უკავშირდება კომპანია "ყაზბეგს" და, რომ რამაზაშვილი კომპანია "ფშაველის" ერთ-ერთი მოწილეა. აღნიშნული კომპანია თელავის რაიონის სოფელ ფშაველში სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის გადამამუშავებელ საქმიანობას ეწევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგი თოფაძემ რამაზაშვილის დაკავებისთანავე გამოთქვა პროტესტი. ამჯერად ის კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ბიზნესმენ ლუკა რამაზაშვილის დაკავება ბიზნესზე ზეწოლის კლასიკური ნიმუშია.

როგორც თოფაძემ აღნიშნა, ორი თვის წინ დაკავებულ რამაზაშვილს ადვოკატისა და სასამართლო პროცესის გარეშე წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ორი თვით გაუგრძელეს.

**"ამის პარალელურად, ცდილობენ მის წინააღმდეგ საქმე "შეკერონ". ამ უსამართლობამ კახელების მოთმინება აავსო და ისინი პროტესტს აქციის გამართვით გამოხატავენ"**, - განაცხადა თოფაძემ. მისი თქმით, ლუკა რამაზაშვილი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცია, მას კახელები აფასებენ და უყვართ.

**"ორი თვე ვცდილობდი დღევანდელ აქციაზე გამოსული ხალხი შემეკავებინა, თუმცა ეს აღარც მე გამომდის. რამაზაშვილი ქართული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იღვწის. იგი ფერმერის კლასიკური პროტოტიპია, თუმცა ამავდროულად ჯიუტი ადამიანი, რომელიც ხელისუფლებას არ ემორჩილება"**, - განაცხადა თოფაძემ.

"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი მიიჩნევს, რომ ლუკა რამაზაშვილის დაკავებით "ვილაცეებს" ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატის გაჩერება სურთ, რათა ტყის მასივები თავად გაჩეხონ და ხე-ტყე ქვეყნიდან მორის სახით გაიტანონ.

**"თუ კომბინატი გაჩერდება, ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლებს ვეღარ მიიღებს, სამაგიეროდ, ვილაცეების ჯიბეები გაივსება"**, - განაცხადა თოფაძემ.

თოფაძის განცხადებით, კახეთმა ლუკა რამაზაშვილის დაკავებით დიდი ინვესტიციები დაკარგა, რადგან "ყაზბეგი ჯგუფი" ამ რეგიონში ბევრი პროექტის განხორციელებას გეგმავდა. **"ახალი პროექტების განხორციელებაზე საუბარი აღარ შეიძლება იყოს, რადგან უკვე ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატის შემდგომ ბედზე ვფიქრობთ"**, - განაცხადა თოფაძემ.

როგორც ცნობილია, ლუკა რამაზაშვილი კომპანია "ფშაველის" ერთ-ერთი მოწილეა. აღნიშნული კომპანია თელავის რაიონის სოფელ ფშაველში სასოფლო-სამეურნეო და ხე-ტყის გადამამუშავებელ საქმიანობას ეწევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის მთავარმა სამმართველომ, ბიზნესმენი, ყოფილი სახალხო რაზმელი და სპორტსმენი ლუკა რამაზაშვილი თებერვალში დააკავა. რამაზაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლის II და III ნაწილით არის აღძრული, რომელიც თავისუფლების აღკვეთას 12 წლის ვადით ითვალისწინებს.

# არასამთავრობოები მხარს უჭერენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

გუშინ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს თემაზე: "ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საქმეში".

ბრიფინგზე კოალიციის სახელით გამოვიდნენ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გოგი ხუციშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე, კოალიციის კოორდინატორი შორენა ლორთქიფანიძე. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია საქართველოში 2004 წლის ბოლოს შეიქმნა.

კოალიციის წევრები არიან - კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების სადოკუმენტაციო და საინფორმაციო ცენტრი, საერთაშორისო სისხლის სამართლის კვლევის ცენტრი, მშვიდობისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართლებრივი საფუძველია რომის სტატუტი, რომელიც 2002 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. საქართველომ სტატუტის რატიფიცირება 2003 წლის შემოდგომაზე მოახდინა და შეუერთდა სასამართლოს წევრი ქვეყნების რიცხვს. სასამართლოს იურისდიქციაში შედის გენოციდი, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, სამხედრო დანაშაული, ეთნიკური წმენდა და ა.შ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პატიმართა გადანაწილების პროცესი გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის, ე.წ. "სტროგების", კოლონია გაუქმდა. საპატიმროში მყოფი 741 პატიმარი რუსთავის N1 და ქსნის N7 დაწესებულებებში გადაიყვანეს.

შესაბამისად, რუსთავის N1 და ქსნის N7 დაწესებულებების საპატიმრო რეჟიმიც გაერთიანდა, ანუ, ორივე კოლონიაში მკაცრი და საერთო რეჟიმი იქნება.

რუსთავის N2 დაწესებულება სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის ფარგლებში, იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N366 ბრძანების საფუძველზე გაუქმდა.

დაწესებულებაში მყოფი 241 მსჯავრდებული რუსთავის N1 დაწესებულებაში, ხოლო 500 პატიმარი - ქსნის N7 დაწესებულებაში გადაანაწილეს.

პატიმართა ახალი შევსება მიიღო იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 საპყრობილემაც. ახალგახსნილ, ევროსტანდარტების დონის საპყრობილეში თბილისის N5 საპყრობილიდან, 27 მარტის ინციდენტისას დანგრეული ორთაჭალის ციხიდან, 400 პატიმარი, ხოლო თბილისის N1 საპყრობილიდან, ე.წ. "კრიტიდან" - 150 მსჯავრდებული გადაიყვანეს.

რუსთავის N6 საპყრობილეში ორთაჭალის საპყრობილიდან 27 მარტს მომხდარი ბუნტის შემდეგ 96 პატიმარი იყო გადაყვანილი, რასაც გუშინ გადაყვანილი 550 პატიმარი დაემატა.

N6 საპყრობილეში გადაყვანილ პატიმართა სია იუსტიციის სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზეა განთავსებული.

ახალ საპყრობილეებში პატიმართა გადაყვანის პროცესი კარგა ხანია მიმდინარეობს და ის მიზნად ისახავს ძველი საპყრობილეების გამოთავისუფლებას. ახლად გახსნილ საპყრობილეებში - რუსთავის და ქუთაისის საპყრობილეებში, რომლებიც ევროსტანდარტების შესაფერისია, პატიმართა ეტაპირების პროცესი კვლავ გაგრძელდება.

*24 საათი*

# ხაჭაპურიძე ციხეშია

პირველი გვერდიდან

მართალია, საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებულმა ხაჭაპურიძემ ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადა, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლომ მას სახაზინო ადვოკატი მაინც აუყვანა, რომელმაც პროცესის დაწყებისას საქმის გასაცნობად ნახევარი საათი ითხოვა.

სასამართლო სხდომაზე დუმილი თავად ბრალდებულმაც დაარღვია. ცხინვალის ადმინისტრაციის თამანშრომლის მტკიცებით, მას გაცილებით მეტი შანსი ჰქონდა, სამხრეთ ოსეთში ფულის შოვნის მიზნით სხვადასხვა საქმიანობა ეწარმოებინა და არა კონტრაბანდული სიგარეტი გადაეტანა.

ხაჭაპურიძის ადვოკატი, მართალია, მართლმსაჯულებას უმტკიცებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება არ უნდა შეუფარდონ, რადგან იგი "არსაც გამქცევი არ არის", მაგრამ, საბოლოოდ, გორის რაიონულმა სასამართლომ სამართალდამცველების შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა, რის შემდეგ იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს.

თავად ხაჭაპურიძის განცხადებით, სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

**"ძალიან სამწუხაროა, როცა სასამართლო არ ითვალისწინებს ჩემს მოღვაწეობას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში"**, - განაცხადა ხსდომის დასრულების შემდეგ ხაჭაპურიძემ. მისი ადვოკატი კი გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებს.

*24 საათი*

# ციხის ბუნტის შედეგები

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N5 საპყრობილეში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ინციდენტისას დაჭრილ სამ პატიმარს: რევაზ მებუნიშვილს, ჯამბულ ხუფენიასა და ვატო თორთლაძეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკურ (რესპუბლიკურ) საავადმყოფოში მკურნალობის კურსი უგრძელდებათ. ინცინდენტის შემდეგ ამავე საავადმყოფოში მოთავსებული ემზარ მზექალაშვილი კი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, რევაზ მებუნიშვილი და ჯამბულ ხუფენია რესპუბლიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში, ხოლო ვატო თორთლაძე ჰოსპიტალური ქირურგიის განყოფილებაში მკურნალობს.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს აგრეთვე 27 მარტის ინციდენტისას დაჭრილი ბერდია ფიცხელაური, რომელიც თბილისის N1 კლინიკურ საავადმყოფოში მკურნალობდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ვალერი გელაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს

ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელაშვილის უფლებებს საკონსტიტუციო სასამართლოში "საქართველოს რესპუბლიკური პარტია" დაიცავს.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ამჟამად პარტიის წევრები იმ სარჩელის შედგენაზე მუშაობენ, რომელსაც მომავალი კვირის დასაწყისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანენ. მისი თქმით, უნდა გაუქმდეს გასულ კვირის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება მოუხსნეს.

**"ჩვენ ძირითად აქცენტს სამართლებრივ საკითხებზე გავამახვილებთ, რის საფუძველზეც დეპუტატისთვის უფლებამოსილების აღდგენას შევეცდებით"**, - განაცხადა უსუფაშვილმა.

როგორც ცნობილია, 31 მარტს, საქართველოს პარლამენტმა, კენჭისყრით ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს 124 ხმით ნულის წინააღმდეგ, სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ ვალერი გელაშვილის ბიზნესსაქმიანობის შესწავლის შემდეგ მიიღო.

როგორც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომის დასკვნაში იყო აღნიშნული, ვალერი გელაშვილი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, რაც "პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" კანონთა შეუთავსებელი საქმიანობაა.

საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტის პლენარული სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### სუფსაში ნავთობს იპარავენ

სამართალდამცველებმა სუფსის ტერმინალიდან ნავთობის მოპარვის ფაქტი გამოავლინეს.

ამასთან დაკავშირებით ფოთში ამ დროისთვის შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი იმყოფება.

გავრცელებული ინფორმაციით, ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე აღმოჩენილია რამდენიმე კილომეტრიანი მილი, რომელიც მიერთებული იყო მთავარ მაგისტრალზე.

პოლიციის თანამშრომლებს დაკავებული ჰყავთ პიროვნება, რომელიც მაგისტრალიდან ნავთობის მოპარვაშია ეჭვმიტანილი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე, სავარაუდოდ, დივერსიის მუხლით არის აღძრული. **ინტერპრესნიუსი**

### "სკინჰედების" მსხვერპლი ჟურნალისტი

მოსკოვის მეტროში ტელეკომპანია НТВ-ს კორესპონდენტს ელხან მირზოევს სცემეს. ინციდენტი გუშინწინ, მეტროსადგურ "პარკ კულტურის" ტერიტორიაზე, მატარებლის ვაგონში მოხდა.

თავად დაზარალებულის თქმით, ვაგონში ახალგაზრდების ჯგუფი შევიდა, რომლებიც ლუდს სვამდნენ. ერთი მათგანი მირზოევს მიუჯდა და იმის ახსნა დაუწყო, "რატომ არ უნდა ცხოვრობდეს ის მოსკოვში".

როდესაც ახალგაზრდამ ჟურნალისტს ლუდი შეასხა, მირზოევმა მას ხელი გაარტყა. ამის შემდეგ მირზოევს მუშტებით და ლუდის ბოთლებით სცემეს. მირზოევი ამტკიცებს, რომ თავდამსხმელები "სკინჰედები" იყვნენ და ნაციონალისტურ ლოზუნგებს გაიძახოდნენ. ჟურნალისტი სკლიფოსოვსკის ინსტიტუტში მიიყვანეს, სადაც მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მირზოევზე თავდასხმის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ***ინტერპრესნიუსი***

### ყალბი პასპორტი საზღვარზე

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს "აჭარის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" ყალბი პასპორტის გამოყენების ფაქტი დაფიქსირდა. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის განცხადებით, "სარფის" საბაჟოზე სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომლის ვინაობა ამ ეტაპზე არ კონკრეტდება. იგი თურქეთიდან საქართველოში შემოსვლას გაყალბებული პასპორტით ცდილობდა. აღნიშნული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ***ინტერპრესნიუსი***

### საერთაშორისო ძებნილი თბილისის აეროპორტში

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ძებნილი დააკავეს. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესამსახურის ცნობით, თბილისის აეროპორტში, რეისზე "დომოდედოვო-თბილისი" სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მესაზღვრეებმა შს სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ეჭვმიტანილი შსს ისანი-სამგორის მიერ იძებნებოდა. იგი საზღვრის დაცვის თანამშრომლებმა შს სამინისტროს შემდგომი რეაგირების მიზნით გადასცეს. **მედიანიუსი**

### პრობაციონერები სასულიერო სემინარიის მშენებლობაზე

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტისა და სააქციო საზოგადოება "ცენტრ პოინტ ჯგუფის" წარმომადგენელთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სამშენებლო კომპანიის მიერ წარმოებულ მშენებლობაზე პრობაციონერები (არაპატიმარი მსჯავრდებულები) დასაქმდებიან.

პრობაციის დეპარტამენტის თბილისის ბიურომ უკვე მიიღო წერილი, სადაც "ცენტრ პოინტ ჯგუფის" დირექტორი ნიკა ბერიძე დეპარტამენტს პრობაციონერების სასულიერო სემინარიის მშენებლობაზე დასაქმებას სთავაზობს. პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ალექსანდრე არაყიშვილის ინფორმაციით, კერძო კომპანიასთან შეთანხმება უახლოეს ხანში დოკუმენტურად გაფორმდება და ახალი სემინარიის მშენებლობის პროცესში პრობაციონერები, დაახლოებით, ერთ თვეში ჩაერთვებიან. **24 საათი**

### ოსი სეპარატისტების პოზიცია

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მიხეილ მინძაევი საქართველოს ციხეებში მსხდომი ოსი ეროვნების მოქალაქეების დაკავებას ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევად მიიჩნევს.

**"საქართველოს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჰყავთ დაკავებული ჩვენი მოქალაქეები. მათზე გამართული სასამართლო პროცესები ცინიზმითა და არაობიექტურობით გამოირჩევიან. დღეს დამნაშავეებად ცნობილი ოსები კი სრულიად უდანაშაულოები არიან"**, - ამბობს თვითმარქვია მინისტრი. **"საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე უკვე აღარაფერს ვამბობ**, - განაგრძობს მინძაევი, - **იქ ხალხს უბრალოდ ხოცავენ. რომელი დემოკრატიის მშენებლობაზე შეიძლება იყოს საუბარი ამგვარ სახელმწიფოში"**. **ჯი-ეიჩ-ენი**



ფორმულა 1

# სამში სამი "რენოა"

## ფრანგულმა საჭინიბომ სამივე დიდი პრიზი მოიგო

*ბაჰრეინისა და მალაიზიის შემდეგ საჯინიბოებმა მწვანე კონტინენტზე გადაინაცვლეს, იქ, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში იწყებოდა სამეფო რბოლათა მსოფლიოს ჩემპიონატები. საუბარია ავსტრალიურ ეტაპზე და მელბურნ პარკში გაშლილ ავტოდრომზე, რომლის მთავარი შემოქმედიც კვირას "რენოს" საჯინიბო და მისი ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო გახდნენ. თუმცა, შაბათის კვალიფიკაციას გმირებად ჰყავდა არა ესპანელი მრბოლი და ფრანგული საჯინიბო, არამედ ბრიტანელი ჯენსონ ბატონი და იაპონური გუნდი "ჰონდა". სხვათა შორის, ინგლისელისთვის ეს კარიერის მესამე პოული იყო, "ჰონდასთვის" კი 1968 წლის შემდეგ - მეორე.*



*"რენოს" საჭინიბო პირველობას არ თმობს.*

გიგა გურასაშვილი

"რენო" და "მაკლარენი" რომ უსწრაფესი ბოლიდებით არიან შეიარაღებული, არაერთხელ დაუმტკიცებიათ. "ავსტრალიის დიდ პრიზზე" გარკვეულ მონაკვეთებზე სწორედ ფერნანდო ალონსო და მაკლარენელი კიმი რაიკონენი იდგნენ დანარჩენ მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა. ავსტრალიური დიდი პრიზის შარშანდელი ტრიუმფატორი, ალონსოს თანაგუნდელი ფიზიკელა კი ბოლიდის ტექნიკური პრობლემების გამო სამეულს მიღმა დარჩა, თუმცა ჩასათვლელ მეხუთე ადგილზე მაინც დაასრულა რბოლა.

რაც შეეხება კვალიფიკაციის მომგებ ბატონს, ზედ ფინიშთან ძრავა აუფეთქდა. მართალია, კვალიფიკაცია ჩაეთვალა, მაგრამ მხოლოდ მეათე ადგილის შესაბამისი. ეს კი, მოგეხსენებათ, ქულებს არ ითვალისწინებს.

ერთი სიტყვით, სამეფო რბოლათა ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ კარიერის მეათე, ხოლო ავსტრალიური ეტაპის პირველი გამარჯვება იზეიმა.

"ავსტრალიის დიდი პრიზი მკვეთრად განსხვავდებოდა პირველი ორი ეტაპისგან. პირველში მიხაელ შუმახერს ვეცილებოდი გამარჯვებას, მეორეში - მეორე ადგილს ჯენსონ ბატონს, დღეს კი დამაჯერებლად ვლიდერობდი.

მართალია, ჩვენი შესაძლებლობები ყველანაირ პირობებში და ყველანაირ ტრასაზე გამოვავლინეთ, მაგრამ "იმოლაზე" ("სან მარინოს დიდი პრიზი") რბოლა სულ სხვა იქნება. ამიტომ იქ ასპარეზობა ჩვენთვის ბევრად გართულდება". ასეა თუ ისე, "რენო" კონსტრუქტორთა ჩათვლაში 19 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, ხოლო პილოტთა დავაში ალონსო და ფიზიკელა პირველ-მეორე ადგილებზე არიან.

ფეხბურთი

# საფეხბურთო ტრილერი

## გამოცხადებული კითხვებისა და პასუხების ქრონიკა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 22-ე ტურმა რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას გასცა პასუხი და რამდენიმე სერიოზული კითხვის ნიშანი დასვა. ჯერ პასუხებზე მოგახსენებთ. პირველი და უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ "ბორჯომთან" მარცხის შემდეგ თბილისის "დინამო" მიმდინარე სეზონში ეროვნულ ასპარეზზე ვერც ერთ ტიტულს ვერ მოიგებს. ნონსენსია, მაგრამ ფაქტია: კლუბი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატის ყველა დანარჩენ გუნდთან შედარებით საგრძნობლად უკეთესი დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსამზადებელი პირობები აქვს და ფეხბურთელთა კონტინგენტი ჰყავს, ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტურით ადრე არც ერთ საშინაო ტიტულზე პრეტენზიას აღარ აცხადებს. ჩემთვის ძნელად ასახსნელია, თუ რამდენად უგუნურად და არაპროფესიონალურად უნდა წარიმართოს საკლუბო მენეჯმენტი როგორც სპორტული, ისე საკადრო-ფინანსური თვალსაზრისით, რომ ასეთ კატასტროფულ შედეგებამდე მიხვიდე. სეზონის დასაწყისშიც და ზამთრის არდადეგებზეც კლუბის მმართველები "ამაყად" აცხადებდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი ჩემპიონის ტიტულის დაცვა და ეროვნული თასის მოგება იყო. სწორედ სეზონის სტარტზე, სულო ცოდვილო, გავბედე და პრეტენზია გამოვთქვი "დინამოს" შეფობის წინაშე - მე ჩემპიონობა და თასი დიდად არაფრად მიმაჩნია და დროა "დინამომ" ევროპულ საკლუბო ცხოვრებაშიც ძველი ადგილი დაიბრუნოს-მეთქი. თურმე, "სადა ბანაობ". დღეს "დინამოსთვის" ყველაზე რეალური პერსპექტივა "ინტერტოტოა", ისიც იმ შემთხვევაში, თუ წინწასულ "ზესტაფონს" გადაასწრებს და მესამე პოზიციას მაინც "შეიმაგრებს". როგორც ჩანს, დღევანდელი "დინამოს" ადგილი, მისი ხელმძღვანელობის ამბიცია და ინტერესი სწორედ "ინტერტოტოზეა" ზედგამოჭრილი. ისიც მხოლოდ ამ "საპატიო" ტურნირის პირველ ეტაპზე, თორემ მერე და მერე ისეთი გუნდები ერთვებიან, "დინამოს" მსგავსები "აპერატივზე" რომ არ ეყოფათ. ერთგვარად სიმბოლურია, რომ სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციას იკავებს და, შესაბამისად, ოქროს მედლებზეც მთავარ პრეტენზიას აცხადებს კლუბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ზუსტად "დინამოს" მიერ დაწუნებული და გაგდებული მწვრთნელი კახა ცხადაძე. საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი იმდენად მიამიტი, უფრო სწორად, თავისი საქმისა და "დინამოს" ერთგული აღმოჩნდა, რომ "დინამოში" მოსვლისას კლუბის ხელმძღვანელებისთვის არანაირი ფინანსური პირობა არ წაუყენებია. მეტიც - მან ეს პირობა არც "დინამოს" ჩემპიონის ტიტულამდე მიყვანის შემდეგ წამოაყენა და ბოლო მომენტამდე უკონტრაქტოდ მუშაობდა გუნდში. ასეთები კი ძალზე იოლად მოსაცილებლები არიან. ცხადაძე გაუშვეს, ჩამოიყვანეს ვინმე ჩერნიშოვი, რომელსაც რუსულმა სპორტულმა მედიამ მეტსახელი "ფარმაკოლოგიც" კი შეარქვა აკრძალულ პრეპარატებთან სიახლოვის გამო. ჩერნიშოვს, რომლის საქართველოში ჩამოსვლა რუსმა ჟურნალისტებმა მოგვისამძიმრეს, სხვადასხვა ინფორმაციით, ხელფასის სახით 100-დან 200 ათასამდე დოლარიც დაენიშნა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის თბილისში თავისი "შტაბით" ჩამოვიდა - ფიზმომზადების მწვრთნელი და ვიდეოინჟინერი (?) იახლა. ესეც დამატებითი ხარჯი. მაგრამ რას იზამ - როცა დიდ გუნდს აშენებ და ისეთი საპატიო მიზანი გაქვს, როგორიცაა "ინტერტოტოს" პირველი ეტაპი, არც ხარჯებს უნდა მოერიდო, არც საფეხბურთო მარკშეიდერის შტატის შემოღებას.

მეორე პასუხი, რომელიც სეზონის ფუნდამენტურ შეკითხვას ეხმაურება, ოქროს მედლების პრეტენდენტებს ეხება. "სიონმა" და "ვიტ ჯორჯიამ" მოიგეს 22-ე ტურის მატჩები და ჩემპიონის ტიტულიც სწორედ ამ ორ გუნდს შორის გათამაშდება. დღეს "სიონს" 54 ქულა აქვს და "ვიტ ჯორჯიას" სულ ორი ქულით უსწრებს. მესამე პოზიციაზე მყოფ "ზესტაფონს", რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, 44 ქულა აქვს და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ამ გუნდმა "სიონი"-"ვიტ ჯორჯიას" ოქროსმაძიებელთა დუეტი ტრიოდ აქციოს.

ასეთი სასწაული საქართველოს ჩემპიონატში ერთხელ მოხდა - ორი წლის წინ, როცა ფინალური ექვსეულის ბოლო ადგილზე მყოფმა "სიონმა" 10-ქულიანი ჩამორჩენა სწორედ 8 ტურში აღმოფხვრა და კინაღამ ჩამპიონი გახდა. მაშინ "სიონმა" ეგრეთ წოდებულ "ოქროს მატჩში" მონაწილეობის უფლება მიიღო, სადაც "ვიტ ჯორჯიასთან" 0:2 დამარცხდა. იმ სასწაულის შემოქმედი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მწვრთნელი თემურ მახარაძე იყო. იგივე მახარაძე წვრთნიდა "ზესტაფონს" სულ ორი დღის წინაც. არ იყო გამორიცხული, რომ ამ ნიჭიერ კაცს კიდევ ერთხელ განეცვიფრებინა საფეხბურთო საქართველო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ - უკვე მერამდენედ, მახარაძე გადააყენეს თანამდებობიდან. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში ფეხბურთის კლუბებს ძირითადად ამ სახეობაში შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები მართავენ. თუ ასე არ არის, მაშინ ამიხსენით, რატომ გაუშვეს მახარაძე იმ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, რომელიც საქართველოს თასის ნახევარფინალში გაიყვანა (მეოთხედფინალში "დინამო" გამოთიშა) და ეროვნულ პირველობაზეც არცთუ ურიგო პერსპექტივა აქვს? ეს პერსპექტივა გაცილებით წონადი იქნებოდა, სეზონის დასაწყისში ვითომ "შვებულებაში" რომ არ გაეშვათ. პირველი წრის მესამე ტურში "ზესტაფონმა" საკუთარ მოედანზე "დინამო" დაამარცხა 1:0. მაშინ, როგორც აღმოჩნდა, ჩემპიონზე მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად, "ზესტაფონის" მეპატრონეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის "რუხ კარდინალს" ილია კოკაიას არ ეპიტნავა "ზესტაფონის" თამაშის ხარისხი და მახარაძე ამ საბაბით "შეასვენა". გუნდს სათავეში ჩაუყენეს კობა ჟორჟიკაშვილი, რომელმაც პირველივე პრინციპული შეხვედრა, თან საკუთარ მოედანზე, "ვიტ ჯორჯიასთან" - 0:4 წააგო. საინტერესოა ის მიზეზიც, რითაც ახალმა მწვრთნელმა ეს მარცხი ახსნა - ჩემგან რა გინდათ, სხვისი მომზადებული გუნდი ჩავიბარე და წაგებაზეც "ის" (მახარაძე) არის პასუხისმგებელიო (!). ისე, ეს საკითხიც მნიშვნელოვანია: გუნდი არც ჟორჟიკაშვილს მოუმზადებია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მახარაძეს. "ზესტაფონმა" წინასასეზონო შეკრება და მომზადება გაიოზ დარსაძის ხელმძღვანელობით გაიარა. კოკაია გუნდის მომზადებაშიც კი არ ენდო მახარაძეს, მერე კი თამაშის ხარისხზე სთხოვდა პასუხს.

როგორც ჩანს, "ვიტ ჯორჯიასთან" სრული კრახის მიუხედავად, კოკაიას მოეწონა მისი გუნდის თამაშის ხარისხი და ჟორჟიკაშვილს ეს მარცხიც აპატია და მომდევნოებიც. მხოლოდ გულშემატკივრების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, რაც თითქმის ობსტრუქციასა და ბუნტში გადაიზარდა (მე-12 ტურში), მახარაძე პოსტზე დააბრუნეს. ამ დროისთვის ჟორჟიკაშვილს უკვე გადაებრუნებინა ურემი: 8 თამაშში 3-ჯერ დამარცხდა, 2 შეხვედრა ფრედ დაასრულა და მხოლოდ სამ აუტსაიდერთან გაიმარჯვა. შედეგად, "ზესტაფონი" მე-10 პოზიციამდე იყო დაქვეითებული.

აქედან მოყოლებული, მომდევნო 9 თამაშში "ზესტაფონმა" 7 გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ორი შეხვედრა დაასრულა ფრედ, საერთო ჯამში 23 ქულა დააგროვა, 7 საფეხურით წინ წაიწია და მესამე პოზიციაზე დამკვიდრდა. პარალელურად, თასის ნახევარფინალში გავიდა. ორიდან ერთი ფრე (ანუ ქულების დაკარგვა) თბილისის "დინამოზე" მოდის: ეს მატჩი ორი კვირის წინ თბილისში გაიმართა. "ზესტაფონი" აქაც იგებდა, მაგრამ მოედნიდან ფეხბურთელი გაუძევეს და შეხვედრის მიწურულს ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი, ბევრი თვითმხილველის მტკიცებით, თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. "ვიტ ჯორჯიასთან" 0:4 ხომ გახსოვთ? მახარაძემ აქაც რევანში აიღო: ვეტერინართა გუნდი 2:1 დაამარცხა და ამით "ვიტ ჯორჯიას" საკუთარ მოედანზე სეზონში პირველი მარცხი აგემა.

აი, ასეთი გახლავთ 22 ტურის და ალბათ მთელი სეზონის მთავარი კითხვა: რას ერჩოდა ილია კოკაია თემურ მახარაძეს? ამ კითხვაზე ლოგიკური პასუხი არ არსებობს. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რაც ზუსტად ვიცი: გათავისუფლების წინა დღეს კოკაიამ ავსტრიიდან დაურეკა და "სამუდამო სიყვარულში" გამოუტყდა - სანამ მე "ზესტაფონში" ვიქნები, შენც ამ გუნდში იქნები და ნდობის განუსაზღვრელი მანდატით ისარგებლებო, - ასეთი იყო სატელეფონო საუბრის შინაარსი. მეორე დღეს კი მახარაძე გუნდიდან გაუშვეს და მთავარ მწვრთნელად... კობა ჟორჟიკაშვილი დააბრუნეს. ეშველა და ეგაა, "ზესტაფონს".

# სოფელი ინგლისელებს უფრთხის

*კარს მომდგარი გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის სლოგანია: "დროა მეგობრები შევიძინოთ". ერთ-ერთი გერმანული სოფლის მცხოვრებლები კი საგონებელში ჩავარდნილან: მიზეზი ინგლისელ გულშემატკივართა შემოსევის პერსპექტივაა.*

სოფელ იფეცხაიმის მცხოვრებლები აღშფოთებულან: ივნის-ივლისში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ინგლისელი გულშემატკივრებისთვის გიგანტური ბანაკის მოწყობის პერსპექტივა არ გვხიბლავსო.

რა ბანაკზეა საუბარი?

გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით, ბადენ-ბადენიდან 19 კილომეტრის მოშორებით, მდიდარ საკურორტო ზონაში განთავსდება ინგლისური გუნდი.

ორშაბათს მუნიციპალიტეტში შეხვედრისას ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უარყვეს წინადადება, თითქოს ხუთი ათასი ინგლისელი ადგილობრივი სარბოლო ტრეკისთვის განკუთვნილ ავტოსადგომზე უნდა განთავსებულიყო.

"ძალზე პატარა ტერიტორიაა. სარბოლო ბილიკი ჩემი სახლიდან 200 მეტრითაა დაშორებული. ხომ არ შეიძლება აქ ერთბაშად 5 ათასი ინგლისელი გულშემატკივარი განათავსო?" - "გარდიანთან" საუბარში აღშფოთებას ვერ მალავდა ჰანსიურგენ ეკერტი - სოფლის საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

საგულისხმოა, რომ სოფლის მოსახლეობა 4800 კაცისგან შედგება. ამ ზაფხულს გერმანიაში 100 ათასამდე ინგლისელ გულშემატკივარს ელიან. მათი უმეტესობა მატჩებზე უბილეთოდ მივა.

იფეცხაიმის ბანაკის ორგანიზატორები გულშემატკივრებთან პირობას დებენ, რომ მათ საშუალება ექნებათ უყურონ ინგლისის ნაკრების თამაშებს დიდ ეკრანზე, ამასთან, მათთვის იქნება კარვები ლუდით და მუსიკით. საგულისხმოა, რომ იგივე ორგანიზატორები ინგლისელებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან საფეხბურთო მატჩის ჩატარებასაც შეუწყობენ ხელს.

"სოფლის მცხოვრებლები თანახმა რომ ყოფილიყვნენ, იფეცხაიმს მსოფლიო რუკაზე დაიტანდნენ, მაგრამ თუ ასე არ მოხდა - "c'est la vie", - აცხადებს ბანაკის პროექტის ავტორი რიჩარდ მაკეიბი.

და კიდევ, საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა 10 აპრილისთვისაა დაგეგმილი. ანუ, იმ დროისთვის, როდესაც ქალაქის მერი შვებულებიდან დაბრუნდება.

# "ისინი არ მოგცემენ ამის გაკეთების საშუალებას!"

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გამოვხატო აზრი, და, ამავე დროს, არავის ზიანი არ მივაყენო, დავარქვათ ჩვენს გმირს "ქართველი". მისი ფრაზების უკან დგას არა გამოგონილი, არარსებული პერსონაჟი, არამედ ადამიანები, რომლებმაც ნარკომანიის პრობლემა, ასე ვთქვათ, შიგნიდან იციან; ადამიანები, რომლებმაც ნარკომანიის შესახებ საკუთარი მწარე გამოცდილებით შეიტყვეს.

"არაჩვეულებრივი მეთოდია... მართლა ბევრ ადამიანს დაეხმარება, მაგრამ... ისინი არ მოგცემენ ამის გაკეთების საშუალებას!" - მიპასუხა "ქართველმა", როცა ჩვენ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების ერთ-ერთ პროგრამაზე, ჩანაცვლებით თერაპიაზე ვსაუბრობდით.

კონკრეტულად ვის გულისხმობდა "ქართველი", გაურკვეველია, მაგრამ ნათელია, რომ საუბარია იმ ძალაზე, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვით.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ "ქართველის" ნათქვამის მნიშვნელობა, აუცილებელია მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ...

ძალა, რომელიც "ქართველს" აწუხებს, დაინტერესებულია ნარკოტიკების გასაღებით. ცხადია, რაც მეტი მომხმარებელი იქნება, მით მეტი ნარკოტიკი გასაღდება. როგორც წესი, ახალგაზრდები ნარკოტიკებს სინჯავენ "გამოცდილი", სტაჟიანი" მომხმარებლების წაქეზებით, შეთავაზებით ან მიბაძვით. მსოფლიოში ცნობილი ფაქტია, რომ ნარკოტიკების თითოეული მომხმარებელი, თავისი ცხოვრების მანძილზე აავადებს 5-7 ადამიანს.

"ძალიან ცუდია, როდესაც ასეთი რამ ხდება; ვინც უკვე დიდი ხანია იკეთებს, იმან უკვე იცის, თუ სადამდე მიჰყავს წამალს ადამიანი... ყველამ იცის, რომ ეს ცუდია, მაგრამ... სამწუხაროდ, მაინც ხშირად ხდება ახალგაზრდების "შესმა", და ძირითადად იმიტომ, რომ თავად ფული აღარ აქვთ და მომავალში "ახლების" ხარჯზე აპირებენ კაიფს".

დამეთანხმებით, ალბათ, საზარელი ფაქტია ახალგაზრდის განძრახ, შეგნებულად გაწირვა და დაავადება; მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები მრავლადაა.

ასე რომ, მიუხედავად იმისა, იქნება ეს მიბაძვით, წაქეზებით, თუ უბრალოდ არდაშლით, ფაქტია, რომ მომხმარებელი, ნებით, თუ უნებლიეთ, გარკვეულ კავშირშია ახალგაზრდის მიერ ნარკოტიკების გასინჯვასთან; რაც უფრო დაზიანებულია ნარკოტიკების მომხმარებელი, მით უფრო აქტიურ როლს თამაშობს ზემოთ აღწერილ პროცესში.

სწორედ აქ მთავრდება ჩვენი ლოგიკური ჯაჭვი!

კერძოდ:

ზიანის შემცირების პროგრამები მაქსიმალურად უწყობს ხელს, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი არ იყოს წარმოდგენილი როგორც კრიმინალი, ან "გმირი", არამედ იყოს სამართლიანად აღიარებული დაავადებულად.

ზიანის შემცირების პროექტების უმრავლესობა უშუალოდ მიმართულია ნარკოტიკების მომხმარებლებზე, რათა მოხდეს იმ მრავალი ტიპის ზიანის თავიდან აცილება და შემცირება, რომელიც შეიძლება მიადგეს თავად მომხმარებლებს, მათ ოჯახებს, საზოგადოებას მთლიანად.

ზიანის შემცირების პროექტები მიმართულია ნარკოტიკების მომხმარებელთა განსაკუთრებულად დაზიანებულ, მძიმე კონტინგენტზე; რათა მოხდეს მათი მაქსიმალური გათვითცნობიერება ნარკომანიის პრობლემაში, მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეძლებისდაგვარი სტაბილიზაცია, მათი რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

ზიანის შემცირების პროგრამები რეალურად ამცირებს ქვეყანაში აივ/შიდსის გავრცელებას, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კრიმინალს და ა.შ.

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ორიოდე სიტყვა ჩანაცვლებითი თერაპიის შესახებ.

ჩანაცვლებითი თერაპია ზიანის შემცირების ერთ-ერთი პროგრამაა, რომელიც ფართოდ დანერგილია მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, ჩეხეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, ირანი, ჩინეთი და სხვა. ამ ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ჩანაცვლებითი თერაპია იძლევა პროგრამის მონაწილეთა შორის აივ/შიდსის, B და C ჰეპატიტების გავრცელების მნიშვნელოვნად შემცირების, დეკრიმინალიზაციის და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის საშუალებას. იგი ხელს უწყობს პაციენტების მდგომარეობის სტაბილიზაციას, რათა მათ მოახერხონ საზოგადოებაში ინტეგრირება, ოჯახური, სოციალური ურთიერთობების დარეგულირება და ა.შ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, თუ რატომ არ აწყობს "ქართველის" მიერ ნახსენებ ძალას, ქვეყანაში იმ პროგრამების დანერგვა, რომლებიც შეამცირებს ნარკოტიკებზე მოთხოვნას.

თუ მომხმარებლები და მთელი საზოგადოება რეალურად გააიზრებს, რომ ნარკომანია ქრონიკული, მძიმე დაავადებაა, თუ მომხმარებლები აღარ იქნებიან დევნილი კანონის და საზოგადოების მხრიდან და დაიწყება მათ პრობლემებზე, გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა, სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მაშინ უფრო ნაკლები მომხმარებელი იქნება იძულებული ჩაიდინოს უკანონო ქმედებები, "შეაცდინოს" ახალგაზრდები და ა.შ. დაავადებულის მიბაძვას შედარებით ნაკლები ცნობისმოყვარე ახალგაზრდა გადაწყვეტს!

გარდა იმ ძალებისა, რომლებზეც "ქართველი" საუბრობდა, ზიანის შემცირების პროგრამებს მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ბევრს არ მიაჩნია სწორად ნარკოტიკების მომხმარებელთა მოვლა, მათზე ზრუნვა. მაგრამ, თუ ჩვენ დღეს არ ვიზრუნეთ "ქართველების" კეთილდღეობაზე, ხვალ მრავალი, გაცილებით სერიოზული პრობლემების გადაჭრა მოგვიწევს.

ბოლოს, დასკვნის სახით, მინდა "ქართველი" დავამშვიდო და ვუთხრა, რომ მრავალი წინააღმდეგობის და პრობლემის მიუხედავად, საქართველოში უკვე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პილოტური პროგრამა, ისევე, როგორც ზიანის შემცირების სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისაკენ. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, მაგრამ ყოველთვის მოიძებნება ხალხი, რომლებიც საკითხს ჯანსაღად შეხედავენ და, წინააღმდეგობების მიუხედავად, გააკეთებენ თავის საქმეს.

**ნიკოლოზ ღამბაშიძე**
**სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი "ურანტი"**

**სტატია დაწერილია სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიული პროგრამის (SCAD) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ**


# შპს "საქართველოს ფოსტის" განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ტენდერს **საფოსტო გზავნილების ავია გადაზიდვაზე** მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**I ლოტი.**

**ავია-გადაზიდვა, თბილისი-მოსკოვი და თბილისიდან მოსკოვის გავლით სხვა ქვეყნები - ტვირთის სავარაუდო მოცულობა წელიწადში 45 000 კილოგრამი**

**II ლოტი.**

**ავია-გადაზიდვა, თბილისი-კიევი - ტვირთის სავარაუდო მოცულობა წელიწადში 1 500 კილოგრამი.**

**III ლოტი.**

**ავია-გადაზიდვა თბილისი-გერმანია - ტვირთის სავარაუდო მოცულობა წელიწადში 5 000 კილოგრამი**

**IV ლოტი.**

**ავია-გადაზიდვა თბილისი-ისრაელი - ტვირთის სავარაუდო მოცულობა წელიწადში 500 კილოგრამი**

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 აპრილიდან 28 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ვაგზლის მოედანი N2 პირველი სართული - სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილოების მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. ცნობებს სასამართლოდან და /ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.

ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის ა/ა 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: 302003000; დანიშნულება - შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტის სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 26 აპრილამდე შემდეგ მოსამართზე: თბილისი ვაგზლის მოედანი N2 პირველი სართული სატენდერო კომისიის აპარატი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მურთაზ სიჭინავა საკონტაქტო ტელეფონი 35-62-26, 899-93-33-24; კახა ჩუხრუკიძე საკონტაქტო ტელეფონი 899-43-03-73.

**სატენდერო კომისია**

# ინგუში ლტოლვილები განსახლების გეგმას აპროტესტებენ

*ინგუშები, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთთან კონფლიქტის შემდეგ ლტოლვილებად იქცნენ, მათთვის ახალი დასახლების მშენებლობის შესახებ გეგმას აპროტესტებენ.*

ასია ბეკოვა,
ნაზრანი-მაისკი

ეთნიკური ინგუშები, რომლებსაც ათ წელიწადზე მეტი ხნის წინ ჩრდილოეთ ოსეთში საკუთარი სახლების დატოვება აიძულეს, მათი ე.წ. რეზერვაციებში ხელახალი განსახლების შესახებ რუსეთის მთავრობის გეგმას აპროტესტებენ. მათი აზრით, ეს იმის მანიშნებელია, რომ მთავრობამ მათთვის მიცემული პირობა გატეხა და სახლებში არ დააბრუნა.

ლტოლვილებს, უფრო სწორად კი იძულებით გადაადგილებულ პირებს ზურგს ჩრდილოეთ ოსეთის მეზობელი ინგუშეთის ხელისუფლება უმაგრებს. 1992 წლის ხანმოკლე სისხლიანი კონფლიქტის შემდეგ ზოგიერთი იძულებით გადაადგილებული პირი ინგუშეთში ცხოვრობს. თუმცა მთავრობის გეგმა უშუალოდ ჩრდილოეთი ოსეთის ტერიტორიაზე, სოფელ მაისკისთან ახლოს მდებარე „დროებით დასახლებაში" მცხოვრებლებს ეხება.

გასულ კვირას ინგუშეთის პარლამენტმა მკაცრი რეზოლუცია მიიღო, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის ოფიციალურ პირებს პრეზიდენტ პუტინის მოთხოვნის შეუსრულებლობაში ადანაშაულებდა. პუტინის მოთხოვნა 2006 წლის დასასრულამდე ინგუშ ლტოლვილთა საკითხის გადაწყვეტას ითვალისწინებს.

ინგუში კანონმდებლების განცხადებით, სამხრეთის ფედერალური ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის დიმიტრი კოზაკის მიერ შემუშავებული გეგმა საკითხს ჩიხში შეიყვანს. ლტოლვილებს მაისკის ბანაკიდან ჩრდილოეთ ოსეთის შიგნით, მათ დღევანდელ დროებით საცხოვრებელთან ახლოს გამოყოფილ ადგილზე გადასახლებას აიძულებენ. იძულებით გადაადგილებული ინგუშების უმრავლესობას კი წინაპრების მიწაზე დაბრუნება სურს.

„ეს ინგუში ხალხის მოტყუების მორიგი მცდელობა და რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის ინტერესების ლობირებაა", – აღნიშნულია რეზოლუციაში, სადაც ჩრდილოეთ ოსეთზე მინიშნება გაკეთდა.

1944 წელს ჩეჩენი და ინგუში ხალხის ცენტრალურ აზიაში გადასახლების შემდეგ სტალინმა ტერიტორია, რომელიც ისტორიულად ინგუშეთის საკუთრება იყო, ჩრდილოეთ ოსეთს გადასცა. როდესაც 1992 წელს ინგუშეთის რესპუბლიკა შეიქმნა, მიძინებული ტერიტორიული დავა ხელახლა გაჩაღდა. მალე ის ოსებსა და ინგუშებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სისხლიანი შეტაკებების დროს, რომელიც 1992 წლის ოქტომბერში ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 500 ადამიანი დაიღუპა. ინგუშები იძულებული გახდნენ, თავიანთი სახლები დაეტოვებინათ. მოგვიანებით ზოგიერთი მათგანი დაბრუნდა, ბევრს კი სახლში დაბრუნების საშუალება არ მიეცა.

ინგუშეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ კონფლიქტის შემდეგ ლტოლვილად 19 ათასი ადამიანი იქცა, ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ იძულებით გადაადგილებულთა რიცხვი მხოლოდ 4 ათასია.

რუსეთის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემების თანახმად, იძულებით გადაადგილებულ ინგუშთა თითქმის 100 პროცენტი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების მომხრეა.

თეორიულად მოსკოვი იძულებით გადასახლებულებისთვის შინ დაბრუნების უფლების მისაცემად მზადაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ თავად ჩრდილოეთ ოსეთი ამ იდეას ეწინააღმდეგება.

ჩრდილოეთ ოსეთში ინგუშური სოფლების უმეტესობა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ოფიციალურად „დახურულად" ითვლება, მაშინ, როცა ზოგგან ხალხს იქ დაბრუნების შესაძლებლობა აქვს.

თუმცა ინგუშეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, რუსეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის ხელისუფლება იძულებით გადაადგილებულთათვის დაბრუნებაში ხელის შესაშლელად რთულ სიტუაციას შეგნებულად ქმნის. ზოგიერთ ამ სოფელში დასაქმების საშუალება, სამედიცინო მომსახურება და სწავლის პირობები არ არსებობს.

გარდა ამისა, ინგუშეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში იქ ათამდე დაბრუნებული ადამიანი გაიტაცეს. მას შემდეგ ისინი აღარავის უნახავს.

დიმიტრი კოზაკის გეგმა 1 აპრილისთვის მაისკის ტიპის ყველა დროებითი ბანაკის გაუქმებას გულისხმობს. გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებულთა განსახლება დასახლება ნოვიში, რომელსაც ამჟამად რუსეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის ხელისუფლება აშენებს. ეს ადგილი მაისკისთან ახლოს მდებარეობს.

ახალი დასახლება ჩრდილოეთ ოსეთის პრიგოროდნის რაიონშია განლაგებული და სრულიად არ ჰგავს იმას, რაზეც ლტოლვილები ოცნებობდნენ. მით უმეტეს, რომ ნოვიში მიწის ნაკვეთის მიღების შემთხვევაში, ყოფილ სახლებთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე უარი უნდა თქვან.

მუხტარ ბუზურტანოვი, რომელიც ინგუშეთის პარლამენტში კანონიერებისა და უსაფრთხოების კომიტეტს ხელმძღვანელობს, მიიჩნევს, რომ კოზაკის გეგმის მიღება მოსკოვთან დამარცხების აღიარებას ნიშნავს.

გარდა ამისა, მისივე მტკიცებით, ამ გეგმის განხორციელება „რუსეთის ინგუში მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა მასობრივ დარღვევას" გამოიწვევს. „ეს კი აუცილებლად მიგვიყვანს ოს და ინგუშ ხალხს შორის კონფლიქტამდე", – დასძინა მან.

მაისკიში დაძაბული და მტრული ატმოსფეროა. იძულებით გადაადგილებულთა უმრავლესობა ამბობს, რომ რა ზომებიც არ უნდა მიიღოს მთავრობამ, გადასახლებაზე უარს იტყვიან.

43 წლის რუსლან კუშტოვი, რომელმაც 1992 წელს ვლადიკავკაზთან ახლოს მდებარე თავისი სახლი მიატოვა, ცოლთან, ორ ვაჟიშვილთან და 19 წლის უნარშეზღუდულ ქალიშვილთან ერთად ძველ ვაგონში ცხოვრობს.

რუსლანი ამბობს, რომ კონფლიქტის შემდეგ სოფელ იუჟნიში მის ყოფილ სახლში სამი ოსური ოჯახი ცხოვრობს. ბედის ირონიით, ეს ოჯახებიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან ლტოლვილები არიან.

კუშტოვს ნოვიში მიწის ნაკვეთი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. „ჩემი ცხოვრება მხოლოდ იუჟნიში წარმომიდგენია. ისაა ჩემი მშობლიური მიწა", – აცხადებს კუშტოვი.

მაისკის მაცხოვრებლებს ხელისუფლება 1 აპრილამდე გაზისა და ელექტროენერგიის გათიშვით დაემუქრა. კუშტოვი ამბობს, რომ ამის გამო არ ღელავს. „არაფერია, ჩემი წინაპრები ელექტროენერგიისა და გაზის გარეშე ცხოვრობდნენ. უამრავი შეშა გვაქვს!" – თქვა მან.

ოთხი შვილის მამა, 58 წლის მაგომედ ცუროევი მაისკის დასახლების არაოფიციალური ლიდერია. მის 14 წლის ქალიშვილს გული აქვს დაავადებული, რაც მოსკოველი ექიმების თქმით, ზამთრის სიცივეების დროს მუდმივმა გაყინვამ გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, ცუროევი მაისკიდან წასვლას არ აპირებს. „რატომ უნდა გავცვალო ერთი მინდორი მეორეზე, ერთი ბანაკი მეორეზე, ერთი ვაგონი მეორეზე?!" – კითხულობს იგი.

მაგომედ ცუროევის თქმით, ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლება დაპირდა, რომ თავის სოფელში – ოქტიაბრსკოეში დააბრუნებდა. მაგრამ ისიც უთხრეს, რომ ჯერ მის სახლთან ახლოს დაყრილი სამშენებლო ნარჩენები უნდა გაეტანათ. სინამდვილეში ნარჩენები არავის გაუტანია.

ზოგიერთი იძულებით გადაადგილებული ნოვიში მიწის ნაკვეთის მიღებას დათანხმდა, რამაც მათი მეზობლების გაღიზიანება გამოიწვია.

23 წლის ფატიმა მაისკის შემოგარენის გზაზე პატარა ჯიხურში ვაჭრობს. მისმა ოჯახმა ნოვიში მიწის ნაკვეთი მიიღო, სანაცვლოდ კი უარი თქვა სახლზე მშობლიურ სოფელ დაჩნოეში, რომელიც მათ 1992 წელს მიატოვეს.

მეზობლები და ნათესავები ხშირად მას მშობლიური მიწის ღალატში ადანაშაულებენ. მაგრამ ფატიმა ამბობს, რომ დაჩნოეში დაბრუნების საკითხი გაურკვეველია, ამიტომ ამ პირობების მიღება მიზანშეწონილი იყო.

„იქ ჩვენი საკუთარი მიწა მაინც გვექნება და ხელახლა გაგდების აღარ შეგვეშინდება", – ამბობს ფატიმა.

მაისკიდან ნოვიში გადასახლება მიმდინარე წლის იანვარში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ იძულებით გადაადგილებულთა პროტესტმა ეს პროცესი დააბრკოლა.

მაგომედ ცუროევის თქმით, ხელისუფლებამ ლტოლვილებს ულტიმატუმი წაუყენა – გვითხრეს, რომ კომუნალური მომსახურების საფასური 15 მილიონი რუბლი (500 ათასი აშშ დოლარი) აქვთ გადასახდელი და დაგვემუქრნენ, რომ ყველა სადენს გადაჭრიან.

„მაგრამ შეშა და სანთლები ჯერ კიდევ გვაქვს", – ამბობს იგი და დაჟინებით ამტკიცებს, რომ მაცხოვრებლები მაისკის დასახლების დახურვას არ დაუშვებენ.

„ბოლოს და ბოლოს, იქ ცხოვრების კონსტიტუციური უფლება გვაქვს, სადაც მოგვინდება. ჩემი წინაპრების მშობლიურ ადგილებს არ გავყიდი!" – დასძენს ცუროევი.

www.iwpr.net

# სომხეთი: დამოუკიდებელი ტელევიზია ისევ ზეწოლის ქვეშ ექცევა

*ტელეარხი შენობიდან გამოსახლების შესახებ ბრძანებაში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს.*

ბელამ ვარდანიანი, ერევანი

სომხეთის დამოუკიდებელ ტელეარხ „A1+"-ს ოთხი წლის წინ მაუწყებლობა იძულებით შეწყვიტეს. არხის ჟურნალისტების აზრით, ეს მათ მიმართ ხელისუფლების შურისძიება იყო.

„A1+"-ის ჟურნალისტები ახლაც აცხადებენ, რომ ტელევიზიის ოფისიდან გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების უკან ისევ ხელისუფლება დგას.

„A1+" 15 წელია, საოფისე ფართს ერევანის ცენტრში, გრიგორ ლუსავორიჩის ქუჩაზე ქირაობს.

შენობის მფლობელი – სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია „A1+"-ის შენობიდან გამოსახლებას მოითხოვს.

„აკადემიას იარაღად იყენებენ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შესაბამისი „ინსტრუქციები" რომ არ მიეღოთ, ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდნენ", – განაცხადა ადამიანის უფლებათა დამცველმა ავეტიკ იშხანიანმა IWPR-თან საუბრისას.

„ეს ყველაფერი მიზნად „A1+"-სთვის ახალი დაბრკოლებების შექმნას ისახავს. ტელევიზიის დახურვის მიზნით ოთხი წლის წინ დაწყებული პროცესის ბოლომდე მიყვანა სურდათ", – დასძინა იშხანიანმა.

გასულ წელს მეცნიერებათა აკადემიამ A1+"-ის შენობიდან გასვლის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმე მოიგო.

სასამართლოს აღმასრულებლები „A1+"-ის ოფისში 16 მარტს მოულოდნელად გამოჩნდნენ. მათ ჟურნალისტებს აპარატურის გატანა და შენობის 17 საათის განმავლობაში დატოვება მოსთხოვეს.

„სასამართლოს წარმომადგენლებს სასამართლო განაჩენის აღსასრულებლად ორი თვე აქვთ. რით შეიძლება აიხსნას ის, რომ კომპანიას მხოლოდ რამდენიმე საათს აძლევენ ფართის გასათავისუფლებლად, როცა ძალიან კარგად ესმით, რომ ასეთ მცირე დროში ამის გაკეთება შეუძლებელია?" – იკითხა თავისუფალი მედიის განვითარების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტერნიუსის" იურისტმა ოლგა საფარიანმა.

2002 წლის 2 აპრილს „A1+"-მა მაუწყებლობა შეწყვიტა, რადგან ტელე-რადიო მაუწყებლობის ეროვნულმა კომისიამ, რომელიც პრეზიდენტის მიერ იყო დანიშნული, „A1+"-ს ლიცენზია ჩამოართვა და სხვა კომპანიას გადასცა.

გასული წლების განმავლობაში „A1+"-ის დაცვა ევროსაბჭომ, ეუთო-მ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ სცადეს.

„ხელისუფლება ქვეყანაში მედიის თავისუფლების შეზღუდვას განაგრძობდა", – ნათქვამია ორგანიზაცია Human Rights Watch's-ის 2005 წლის ანგარიშში სომხეთის შესახებ. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ „A1+"-ს მსგავსად, მაუწყებლობის საშუალება არც ტელეკომპანია „ნოიან ტაპანსა" და რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად „ნტვ"-ს აქვთ, რადგან ხელისუფლებამ მათ მაუწყებლობის სიხშირეები წაართვა.

გასული ოთხი წლის განმავლობაში „A1+"-მა ტელემაუწყებლობის სიხშირის მიღების მოთხოვნით რვა განაცხადი შეიტანა, რადიომაუწყებლობის სიხშირისთვის კი – ორი. ტელე-რადიო მაუწყებლობის ეროვნულმა კომისიამ ყველა მოთხოვნას უარით უპასუხა.

„A1+"-მა მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად სომხეთის სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში სარჩელი არაერთხელ შეიტანა. ეს საქმეებიც წარუმატებლად დამთავრდა და ტელეკომპანია საქმის მოგებას ახლა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ცდილობს.

მეცნიერებათა აკადემიის მენეჯერმა ერმირ გრიგორიანმა „A1+"-ს შენობიდან გასახლების გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მოტივის არსებობა უარყო.

„A1+"-მა ეს ოთახები უნდა დატოვოს, რადგან იქ ჩვენი აკადემიის ენათა ინსტიტუტი უნდა განთავსდეს", – განაცხადა გრიგორიანმა.

17 მარტს – მას შემდეგ, რაც „A1+"-ს შენობის დატოვება მოსთხოვეს, ადამიანის უფლებათა დამცველები, საზოგადო მოღვაწეები და ჟურნალისტები მაუწყებლობის ოფისთან შეიკრიბნენ. შედეგად, სასამართლოს წარმომადგენლებმა თავიანთი ვიზიტი გადადეს.



აქციის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი აკადემიის პრეზიდენტს ფადეი სარგსიანს შეხვდა და პირობა დადო, რომA „A1+"-ს დასაქირავებლად ალტერნატიულ ადგილს გამოუყოფდნენ.

„A1+"-ს შესაფერისი ადგილი შევთავაზეთ და პრობლემის მოგვარებას დავპირდით", – განუცხადა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს 22 მარტს პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე.

„სანამ ახალი ფართის საკითხი მოგვარდება, „A1+"-ს არავითარი პრობლემა არ შეექმნება და სატელევიზიო კომპანიას თავისი ახლანდელი ფართის დატოვება არ მოუწევს", – განაცხადა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელმა სარგსიანმა გაზეთ „ჰაიკაკან ჟამანაკთან" საუბრისას.

„A1+"-ის დირექტორი მესროპ მოვსესიანი აცხადებს, რომ ტელეკომპანიამ მის ახლანდელ ოფისის განსაახლებლად 34 ათასი დოლარი დახარჯა და ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება კომპანიას გაცილებით უარეს შენობაში გადასვლას აიძულებს.

„ოფისების ფართი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ იქ ყველაფერი განადგურებულია. იქ გადასვლა და ბინძურ შენობაში მუშაობის დაწყება არ შეგვიძლია. ოთახებისა და დერეფნის შესაკეთებლად თანხები დაგვჭირდება", – განაცხადა მოვსესიანმა IWPR-თან საუბრისას.

მოვსესიანის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „A1+" ამ ფართის მიღებას დათანხმდება, ორი თვის განმავლობაში ახლანდელი ოფისის დაცლა შეუძლებელი იქნება.

„A1+"-მა ახლანდელი საოფისე ფართი უნდა შეინარჩუნოს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის პატიოსანი მოქირავნეა და ამ შენობაში ინვესტიციებიც კი ჩადო", – განუცხადა ერევანის პრესკლუბის ხელმძღვანელმა ბორის ნავასარდიანმა IWPR-ს.

„A1+"-ის ახალი საოფისე ფართით უზრუნველყოფა დადებითი ნაბიჯი და სომხეთში მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის ხელშეწყობის მაჩვენებელი იქნება", – განაცხადა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სომხეთში ბოჯანა ურუმოვამ.

„ნებისმიერი ადგილიდან სხვაგან გადასვლა ნებისმიერ ორგანიზაციას დამატებით პრობლემებს უქმნის. მიუხედავად იმისა, რომ „A1+" ამჟამად არ მაუწყებლობს, ის საინფორმაციო სფეროში კვლავაც აქტიურ როლს თამაშობს და სერიოზულ პროდუქტს ქმნის", – განაცხადა ნავასარდიანმა.

ტელეარხი სატელევიზიო შოუების მომზადებას აგრძელებს და ინტერნეტის საშუალებით ყოველდღიურ ახალ ამბებსა და ყოველკვირეულ გამოშვებას აქვეყნებს.

ყოველი წლის 2 აპრილს, „A1+"-სთვის ლიცენზიის ჩამორთმევის წლისთავზე სომეხი ჟურნალისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები საპროტესტო აქციას აწყობენ.

„რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს „A1+"-მა, მას მხარი უნდა დაუჭირონ ჟურნალისტური საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც თავისუფლებისთვის საბრძოლველად მზად არიან", – განაცხადა ნავასარდიანმა.

www.iwpr.net

# გროზნო: ცხოვრების მძიმე პირობები

*მიუხედავად არაერთი განცხადებისა იმის შესახებ, რომ გროზნო ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება, ჩეჩნეთის დედაქალაქის მკვიდრები ელემენტარულ კომუნალურ მომსახურებას ვერ იღებენ.*

ამინა ვისაევა, გროზნო

გროზნოს 56-ე ოლქის (ქალაქის ცენტრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოშორებული რაიონი) მაცხოვრებლები ამბობენ, რომ თავს მიტოვებულად და დანარჩენი სამყაროდან მოწყვეტილად გრძნობენ.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაახლოებით 270 ოჯახს, რომლებიც ნავთობის მიტოვებულ ჭაბურღილებს შორის ცხოვრობენ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არც წყალი მიეწოდება და არც ელექტროენერგია.

ცხადია, ტელევიზორზე ან გარეშე სამყაროდან ახალი ამბების შეტყობის რაიმე სხვა საშუალებაზე საუბარიც ზედმეტია. ზამთრის მოკლე დღეებში N9 სკოლაში გაკვეთილები გაზის ლამპების შუქზე ტარდება.

„სუნქვა ჭირს. ლამპა საკლასო ოთახის ჭერს შავად ჭვარტლავს, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი ფილტვები!" – ამბობს სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი ზარემა ედილოვა.

სახლებში უპირატესობას ეკოლოგიურად უფრო სუფთა, მაგრამ შედარებით სუსტი შუქის მქონე პარაფინის სანთლებს ანიჭებენ. მშობლები ამბობენ, რომ მათ შვილებს მხედველობა უზიანდებათ, რადგან იძულებული არიან, საშინაო დავალება ნახევრად ბნელ ოთახში მოამზადონ.

გროზნოს 56-ე ოლქის მაცხოვრებლებს, ისევე როგორც სხვა დედაქალაქის სხვა რაიონების მკვიდრებს საკუთარი ოჯახების ელექტროენერგიით, გათბობითა და წყლით უზრუნველყოფაზე ზრუნვა თავადვე უხდებათ. რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ჩეჩნეთში სიტუაცია „ნორმალიზების პროცესშია", ხოლო „ძირითადი სამხედრო ოპერაციები" – დასრულებული. მაგრამ ხალხი აქ თითქმის ისევე ცხოვრობს, როგორც ომის წლებში. მათი თქმით, ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ აქვთ, ეს კი არც ადგილობრივ ხელისუფლებას ანაღვლებს და არც ფედერალურ მთავრობას.

ადრე ზოგიერთი ოლქი გარკვეული ქარხნის თუ საწარმოს ბალანსზე ირიცხებოდა, რომელიც მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევაზე ზრუნავდა. მაგალითად, ნავთობმომპოვებელი საწარმო „ოქტიაბნეფტი" 56-ე ოლქში იყო განთავსებული და ელექტოქსელისა და წყალმომარაგების სისტემას ინარჩუნებდა.

თუმცა 2000 წელს, ჩეჩნეთის მეორე საომარმა კამპანიის დაწყების შემდეგ ბევრი ამგვარი საწარმო დაიხურა. ამის შედეგად წარმოქმნილ კრიზისს ჩეჩნეთის ეკონომიკური მართვის სისტემის რეორგანიზება დაემატა.

ომის დროს გროზნოს ინფრასტრუატურა მთლიანად განადგურდა. ქალაქის უბნების კომუნალური მომსახურება და აღდგენითი სამუშაოები ყოველგვარი სისტემის გარეშე ხდება.

გროზნოს სტაროპრომისლოვსკის ოლქის „ზაგრიაჟსკისა" და მაიაკოვსკის სახელობის დასახლებებში, რომელსაც ომამდე „სტაროგროზნეფტი" ემსახურებოდა, ხალხი საკუთარ თავს „წყლის მზიდავს" უწოდებს.

მას შემდეგ, რაც აქაური წყლმომარაგების სისტემა მწყობრიდან გამოვიდა, ადგილობრივი მაცხოვრებლები იძულებული გახდნენ, სახლებთან პატარა რეზერვუარები დაემონტაჟებინათ, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში წყლის აღებას მოახერხებდნენ. ამგვარად ახალი სახეობის ბიზნესიც კი შეიქმნა – წყლის მიწოდება. ფასი ფიქსირებულია – ერთი სავსე მათარა 5 რუბლი (დაახლოებით 18 ცენტი) ღირს, ხოლო მომცრო ვედრო – 2 რუბლი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ოჯახს წყლის შესაძენად თვეში საშუალოდ 1.5 ათასი რუბლის (35-54 აშშ დოლარი) გადახდა უწევს. რეგიონისთვის კი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევარია, ეს დიდი თანხაა.

ჰუმანიტარული ორგანიზაციები, მაგალითად, „პოლონეთის ჰუმანიტარული აქცია" და საერთაშორისო წითელი ჯვარი მოსახლეობას წყალს უფასოდ აწოდებენ, მაგრამ ეს არარეგულარულად ხდება და ხშირად, რამდენიმე საათიანი ლოდინია საჭირო. ხოლო როდესაც „წყლის მანქანა" ბოლოს და ბოლოს, მოდის, უზარმაზარი რიგები დგება. თუმცა მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე ძალიან გაუჭირდებოდათ.

მათივე თქმით, რიგში დგომა და სახლებში წყლის ზიდვა თითოეული ოჯახის ყოველდღიური საზრუნავია.

შედეგად, ადამიანების ჯანმრთელობა, რომელიც ომის, ომის შემდგომმი სტრესებისა თუ დაბინძურებულის გარემოს გამო ისედაც შერყეულია, კიდევ უფრო გაუარესდა. სტაროპრომისლოვსკის ოლქის მცხოვრის ამნატ მარკიევას თქმით, წყლით სავსე მძიმე ვედროების მესამე სართულზე თრევისგან გულის არითმია განუვითარდა.

„ახლა წყალს აღარ ვეზიდები, მაგრამ არითმია მაინც მაქვს. წყლის ასაღებად რიგში ჩემი ერთ-ერთი შვილი დგება ხოლმე. ხშირად ცდა ერთი ან ორი საათის განმავლობაში უწევთ, ნებისმიერ ამინდში. ჩემი ვაჟისა და გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ძალიან ვღელავ", – დასძინა ამნატმა.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, აქ საქმე ოდნავ უკეთესადაა, რადგან მაცხოვრებლებს ადგილობრივი ქვესადგურებიდან არალეგალურ ხაზები აქვთ გადაყვანილი. სინათლე მბჟუტავია და ხშირად ქრება, რადგან ხაზების გადატვირთვის გამო ავარიები ხშირად ხდება.

ჩეჩნეთის კომუნალური სამსახურის უფროსი სულიმ მაგომაევი ამბობს, რომ სტაროპრომისლოვსკის მცხოვრებლებმა ქსელის შესაკეთებლად ფულის აკრეფა თავად შესთავაზეს, მაგრამ ენერგოსისტემის აღდგენით სამუშაოებსა და რაიონის ელექტროფიკაციას ბევრად მეტი თანხა სჭირდება.

„მათ არ იციან, როგორი სტრუქტურა აქვს ელექტროსისტემას. 500 რუბლი აკრეფა არაფერს შეცვლის. აქ პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო", – ამბობს მაგომაევი.

გროზნოს წყალმომარაგების სისტემის გენერალური დირექტორის უმარ გადაევის თქმით, ფედერალური ბიუჯეტიდან ძალიან მცირე თანხაა გამოყოფილი, ქალაქის წყლით უზრუნველყოფის სისტემა კი მთლიანად შესაკეთებელი და გამოსაცვლელია.

„მილები დაზიანებულია და თუ არ გამოვცვალეთ, წყალი საერთოდ აღარ იმოძრავებს", – აღნიშნა მან.

გადაევის თქმით, გროზნოში წყალგაყვენილობის მილის სიგრძე 2023 კილომეტრია. ბოლო წლებში მხოლოდ 170 კილომეტრი გარემონტდა.

„გარდა ამისა, ქალაქის წყალმომარაგების სისტემისთვის გამოყოფილი თანხა მუდმივად მცირდება. 2004 წელს ცენტრალურმა მთავრობამ 200 მილიონ რუბლზე ოდნავ მეტი გამოყო, 2005 წელს ეს თანხა 140 მილიონამდე შემცირდა, ხოლო 2006 წელს კი მხოლოდ 110 მილიონია გათვალისწინებული. თავადაც ხედავთ, რომ ასეთი დაფინანსების პირობებში ყველა მილის გამოცვლა შეუძლებელია", – განაცხადა გადაევმა.

უკანასკნელად გროზნოში კომუნალური სისტემები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეკეთდა.

წლების წინ ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ახმად კადიროვი ხალხს დაპირდა, რომ 2006 წელს გროზნო მთლიანად აღდგებოდა. ამისათვის ჩეჩნეთს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან 4.5 მილიარდი რუბლი გამოუყვეს. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ქალაქში მხოლოდ წყალგაყვანილობის სისტემის შეკეთებას 5 მილიარდი რუბლი სჭირდება.

მაშინ კადიროვმა პირობა დადო, რომ იმ ოფიციალურ პირებს დასჯიდა, რომლებიც სახელმწიფო ფონდებიდან თანხებს „ანიავებენ".

ადგილობრივ მოსახლეობას არ სჯერა, რომ ელექტრო და წყალმომარაგების საკითხები გადაწყდება. მათი აზრით, ელემენტარული პირობების აღსადგენად კომპლექსური მიდგომაა საჭირო.

აქამდე კი ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა ცალკეული სახლებისათვის კომუნალური მომსახურების აღდგენისკენ იყო მიმართული. მაგრამ ახლად აღდგენილ სახლებშიც კი სარდაფები კვლავაც იტბორება, რადგან ყველა მილი არ გამოუცვლიათ.

ამიტომ გროზნოს მაცხოვრებლები წყლის ელექტროსაქაჩ სისტემებს ამონტაჟებენ, რადგან წყალი აღდგენილ სახლებშიც კი არ მოდის.

2001 წელს კარლ ლიბკნეხტის ქუჩაზე მდებარე სამი სახლის მაცხოვრებლებმა აღდგენის სამუშაოების დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მათი სარდაფები და ეზოები საკანალიზაციო წყლით ივსებოდა.

ზემოხსენებულ პრობლემებს კიდევ ერთი ფაქტორი – კრიმინალი ემატება. სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ელექტროსადენებსა თუ წყალგაყვანილობის მილებს ქურდები მუდმივად იპარავენ და შავ ბაზარზე ყიდიან.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ტამაზ გაურგაევის თქმით, ცოტა ხნის წინ გროზნოს მიჩურინის რაიონისა და 20-ე ოლქის მცხოვრებლებს წყლით მომარაგება შეუწყდა. აღმოჩნდა, რომ ქურდებმა 150 მეტრი სიგრძის მილი მოიპარეს. ამგვარი შემთხვევების გამო სადენებისა და მილების აღდგენა მუდმივად საჭიროა.

ასე რომ, გროზნოს მაცხოვრებლები იძულებული არიან, ისევე გააგრძელონ ცხოვრება, როგორც ბოლო წლების განმავლობაში – არალეგალური ელექტროენერგიით, სანთლებითა და ვედროებით.

www.iwpr.net

# მიწისძვრის ფასი

მიწისძვრა ერთ-ერთი ძლიერი დამანგრეველი სტიქიური უბედურებაა, რომლის შედეგად იღუპება ათასობით ადამიანი და ნადგურდება მილიონობით ღირებულების მატერიალური დოვლათი დედამიწის სეისმურ რეგიონებში განლაგებულ ქვეყნებში.

მიწისძვრა წარმოიშობა უეცრად. ამიტომაა ის მეტად საშიში ბუნებრივი მოვლენა, რომელიც იწვევს მეორად შედეგებსაც, რის გამოც მნიშვნელოვნად იზრდება ადამიანთა მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალის მასშტაბები. ამ შედეგებიდან ყველაზე ცნობილია ცუნამი, რომელიც შეიძლება იყოს უკიდურესად დამანგრეველი, რაზეც მეტყველებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2004 წელს მომხდარი მიწისძვრების შედეგები.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მიწისძვრებმა და მათმა შედეგებმა უამრავი სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ მე-20 საუკუნეში მთელ მსოფლიოში მიწისძვრების მსხვერპლია 1,5 მლნ. ადამიანი, რაც 3-ჯერ აღემატება მსხვერპლის რიცხვს მე-19 საუკუნეში.

ისტორიული და თანამედროვე მიწისძვრებისა და მათი შედეგების მრავალი სამწუხარო მაგალითია საქართველოშიც, სადაც ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკისთვის მიყენებული დიდი ზარალით გამოირჩევა რაჭის 1991 წლისა და თბილისის 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრები.

ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი შედეგები და დათვლილი ეკონომიკური ზარალი სულ ახლახან, 2006 წლის 6 თებერვალს რაჭა-იმერეთის საზღვარზე მომხდარი ძლიერი მიწისძვრისა, რომლის ეპიცენტრი, საბედნიეროდ, დაუსახლებელ ზონაში მდებარეობდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე სეისმური ვითარება გაუარესდა და ძლიერი მიწისძვრების წარმოშობის ალბათობა გაიზარდა. მხედველობაში მისაღებია ის მდგომარეობაც, რომ ქვეყნის სეისმურად საშიშ (7,8 და 9-ბალიან) ზონებში მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია (78 ადამიანი 1 კვ.კმ. ფართობზე), ძველი შენობების გარკვეული ნაწილი არ პასუხობს სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების მოთხოვნებს. ამასთან, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცულობის ხარისხი მიწისძვრებისა და მათი შედეგებისგან ანუ სეისმური უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ არის მოქცეული საკანონმდებლო რეგულირების სფეროში.

მოსახლეობის სეისმური უსაფრთხოებისა და დამანგრეველი მიწისძვრებისგან ზარალის შემცირების პრობლემა კომპლექსურია და მისი სრულფასოვნად გადაწყვეტა შეუძლებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების, მეცნიერების, დამპროექტებლების, პრაქტიკოსი მშენებლებისა და მესაკუთრეების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ევროგაერთიანების საბჭოს წევრი სახელმწიფოების კანონების რეგლამენტებისა და ადმინისტრაციული დებულებების ჰარმონიზაციის შესახებ სამშენებლო პროდუქციის სფეროში 1988 წლის 21 დეკემბრის 89/106 EEC დირექტივის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება უსაფრთხოების ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც სამშენებლო ობიექტისთვის ქმნიან ევროპული დონის ჰარმონიზებული სტანდარტების საფუძველს სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ადგილობრივი (კლიმატური და სხვა) პირობების გათვალისწინებით.

საქართველოში ევროპული სამართლებლივი რეგულირების პრინციპების და ჰარმონიზებული სტანდარტების დამკვიდრების პროცესში უსწრაფეს გადაწყვეტას მოითხოვს ეფექტიანი სამართლებრივი ბაზის შექმნა და ქვეყნის სეისმური უსაფრთხოების ახალი თაობის მიზნობრივი პროგრამის დამუშავება, რაც განსაკუთრებული სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო სტანდარტების ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში უნდა მოექცეს.

ძლიერი მიწისძვრებით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების ანუ სეისმური რისკის მისაღებ დონეზე დაყვანისთვის აუცილებელია მოსახლეობის სეისმური დაცვის ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რაც სრულიად შესაძლებელი და რეალიზებადია სეისმომედეგი მშენებლობისა და სეისმოლოგიის სფეროში დღეისთვის დაგროვილი ცოდნისა და არსებული მიღწევების საფუძველზე. თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობა კი მრავალდისციპლინარული ცოდნის ინტეგრაციაა და მეცნიერებაზე დაფუძნებულ საინჟინრო საქმიანობას წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია ადამიანების სიცოცხლის შენარჩუნება და მატერიალური ზარალის შემცირება.

ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიის სეისმური უსაფრთხოების ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემას იმავე დროს აქვს უფლება ავტონომიურ არსებობაზე სპეციალური საკანონმდებლო აქტის (მაგალითად, "სეისმური უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის) გაფორმების სახით მისი სტატუსის, მიზნის, ამოცანებისა და ინტერესების სფეროს გამო.

იმისთვის, რომ საქართველოს სეისმომედეგი მშენებლობის პრაქტიკაში არ მოხდეს სეისმური რისკის იგნორირება (რაც სახელმწიფოსთვის დაკავშირებულია სოციალურ დანაკარგებთან და დიდი ფინანსური სახსრების ხარჯვასთან შესაძლო მიწისძვრების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით), სპეციალური კანონის მიღებამდე საჭიროა ენერგიული პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც საერთოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ხარჯზე წყდება სეისმურად საშიშ მრავალ ქვეყანაში.

მიწისძვრის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალის შემამცირებელ ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს ტერიტორიის დარაიონება სეისმური საშიშროების გათვალისწინებით, ე.ი. იმ ადგილების განსაზღვრა და დადგენა, სადაც შეიძლება წარმოიშვას ამა თუ იმ ინტენსივობის მიწისძვრა. მართალია, არსებობს საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა, მაგრამ აუცილებელია მისი მუდმივი განახლება და დეტალირება. სეისმური დარაიონების რუკა კი წარმოადგენს საფუძველს სეისმომედეგი მშენებლობის სფეროში პროექტირების ნორმების დამუშავებისთვის, მიწათსარგებლობის სქემისთვის და მოსახლეობის განსახლებისთვის.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს დედაქალაქის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სეისმური მიკროდარაიონება ანუ მიწისძვრის მოსალოდნელი ინტენსივობის ცვლილების რაოდენობრივი შეფასება საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით. საქართველოში დღეისთვის სეისმური მიკროდარაიონების სამუშაოების ჩატარება ფაქტობრივად შეჩერებულია, რის გამოც მშენებლობის პრაქტიკაში დამკვიდრდა გამარტივებული პრინციპების გამოყენება, რაც განაპირობებს ხშირ შემთხვევაში დიდ ცდომილებას. სეისმური მიკროდარაიონების ხასიათის კვლევითი სამუშაოები ქ. თბილისისთვის ბოლოს ჩატარდა 1974 წელს, როდესაც მისი ტერიტორიის საშუალო სეისმურობა შეადგენდა 7 ბალს, ხოლო სხვა დიდ ქალაქებში - 1982 წელს ზავრიევის სახ. სამშენებლო ტექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ.

ცნობილია, რომ სეისმური მიკროდარაიონების ჩატარება დამოკიდებულია მეცნიერების შესაბამის დარგში მიღებული ახალი შედეგების დანერგვის აუცილებლობაზე და ამ პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა საერთაშორისო სტანდარტებით 10 წელს შეადგენს. სეისმური მიკროდარაიონების შედეგად მიღებული რუკები კი უშუალო ნორმატიული საფუძველია განსაკუთრებული და საერთო მნიშვნელობის ობიექტების დაპროექტებისა და პრაქტიკული მშენებლობისთვის.

ურბანიზებული ტერიტორიების სეისმური უბედურების ზომა განისაზღვრება არსებული ექსპლუატირებადი განაშენიანების მდგომარეობით მიწისძვრის შემდეგ, რაც მოითხოვს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სხვა ხასიათის ფონდის დაზიანებადობის შეფასებას. ძლიერი მიწისძვრისადმი დედაქალაქში და სხვა დასახლებულ პუნქტებში არსებული სამშენებლო ფონდის სრულიად მიუღებელი არამზაობა დღის წესრიგში აყენებს ძველი განაშენიანებისა და გასულ საუკუნეში ინდუსტრიული მეთოდებით აგებული საცხოვრებელი (მსხვილპანელური, მსხვილბლოკური, კარაკსულ-პანელური) შენობებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების ტექნიკური პასპორტიზაციის ჩატარებს, დაზიანებადობის შეფასებას, დარჩენილი რესურსისა და სეისმომედეგობის დეფიციტის დადგენას, გადაწყვეტილების მიღებას მათ გაძლიერებასა და სეისმომედეგობის ამაღლების ღონისძიებების რეალიზაციაზე.

სეისმური რისკის შემცირების კონტექსტში ცალკე განხილვის საგანია მსხვილი ჰიდროტექნიკური და სხვა საპასუხისმგებლო ნაგებობების, მაგისტრალური გაზსადენების, ნავთობსადენების, ტერმინალების რეზერვუარებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების საიმედოობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა სეისმური რეჟიმის გაძლიერების პირობებში, რომელთა სეისმური ნგრევა განსაკუთრებით საშიშია მოსახლეობისთვის და ქვეყნის სამეურნეო სტრუქტურებისთვის.

სეისმური დაცვის პროგრამული ღონისძიებების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სეისმომედეგი მშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური და ნორმატიული უზრუნველყოფა, ახალი ეფექტური მეთოდების, სეისმოდაცვის კონსტუქციებისა და ტექნოლოგიების შექმნა ახალი მშენებლობებისთვის. ცნობილია, რომ სეისმომედეგი მშენებლობის ნორმები ძირითადად დაფუძნებულია მიწისძვრებისას შენობა-ნაგებობების დაზიანების ანალიზზე. ისინი ითვალისწინებენ ნაგებობათა სეისმომედეგობის თეორიისა და საინჟინრო სეისმოლოგიის განვითარების მიღწევებს, პროექტირების, მშენებლობის პრაქტიკისა და ნაგებობათა ექსპლუატაციის გამოცდილებას, ექსპერიმენტული კვლევების შედეგებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მხოლოდ 2004 წელს გახდა შესაძლებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტის ("მშენებლობა სეისმურ რაიონებში") დამუშავება, რომელსაც ტრადიციულად წარმატებით გაართვა თავი კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეიმომედეგობის ინსტიტუტმა. თუმცა, ხსენებული ნორმატიული დოკუმენტი დღემდე არ არის გამოცემული, რის გამოც პროექტირება და მშენებლობა ხორციელდება ძველი, 24 წლის წინანდელი ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც მოქმედების ვადა ბოლოს გაუგრძელდა 2001 წელს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

ცნობილია, რომ ყოველ ახალ მიწისძვრას თავისებური შესწორება შეაქვს სეისმური რისკის შეფასების საქმეში. ამიტომ საიმედოობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე, რაც მოითხოვს მრავალი დარგის ექსპერტების თანამშრომლობას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების აქტუალიზებას და სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების სრულყოფას თანამედროვე მრავალდონიანი დაპროექტების ფილოსოფიის საფუძველზე, რომელიც ცნობილია ასევე როგორც ნაგებობის ქცევაზე დაფუძნებული პროექტირების მეთოდოლოგია.

განაშენიანების დაზიანებადობის შემცირების ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აგრეთვე სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ნორმების მოთხოვნების მკაცრ დაცვას ობიექტების მშენებლობის დროს და მშენებლობის ხარისხის კონტროლს, შენობების ექსპლუატაციის პროცესში მონიტორინგის განხორციელებას.

საყურადღებოა, რომ უხარისხო მშენებლობის ტენდენციები დღესაც გრძელდება თბილისში, სადაც ძირითადად შენდება მრავალსართულიან მონოლითურ რკინა-ბეტონის კარკასში გადაწყვეტილი ურიგელო კონსტრუქციული სისტემა, რომლის სეისმური ზემოქმედების პირობებში ქცევაზე არ არის სათანადო მონაცემები. სეისმური თვალსაზრისით ბოლომდე შეუსწავლელი სამშენებლო სისტემების მასობრივად გამოყენება კი კატასტროფის ტოლფასია, რადგან მიწისძვრები კი არ სპობენ ადამიანებს, არამედ შენობათა ნანგრევები.

სეისმური უსაფრთხოების საერთო პრობლემის ზემოთ მოყვანილ კომპონენტებთან მჭიდრო კავშირშია მშენებლობაზე დასაქმებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რის გამოც აქტუალობას იძენს სპეციალური კურსების, სკოლა-სემინარების ფუნქციონირების საკითხი და სეისმომედეგი მშენებლობის დარგის სპეციალისტების პროფესიული შესაბამისობის სერტიფიცირება.

ცხადია, სეისმური უსაფრთხოების პრიორიტეტული მიმართულებების ზემოთ მოყვანილი ღონისძიებების არასრული სპექტრის მხოლოდ დროული გატარება შეუწყობს ხელს მიწისძვრებისგან სოციალური დანაკარგებისა და ზარალის შემცირებას.

სამშენებლო და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების წარმომადგენლების კოორდინირებული და შედეგზე ორიენტირებული აქტიურობა, სახელმწიფო ორგანოების მობილიზაცია და პასუხისმგებლობა, სეისმოდაცვითი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სამეცნიერო-ტექნიკური და საკანონმდებლო ინიციატივების ინტეგრაცია ამავე დროს იქნება საფუძველი მაღალი სტანდარტების დანერგვისთვის სეისმური რისკის შეფასების საქმეში.

დამანგრეველი მიწისძვრებისგან საბედისწერო შედეგების აცილების მიზნით საჭიროა სეისმური საშიშროებისა და ბუნებრივ-ტექნოგენური პროცესებისთვის მუდმივი მზადყოფნა, რასაც დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. საქმე ეხება საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის საკითხებს. საუბარია საქართველოს იმიჯზე, რომელიც ძალიან ძვირი ღირს.

***პაატა რეკვავა***
*კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს დელეგატი დსთ-ს სამშენებლო საქმიანობაში თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო საბჭოს სეისმომედეგი მშენებლობის კომისიაში*

## განცხადება ტენდერების ჩატარების შესახებ

1. სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო მექანიზმების შეძენაზე და იწვევს დაინტერესებულ პიროვნებებს ტენდერში მონაწილეობისათვის.

2. შესყიდვის ობიექტებია:

ა) ბულდოზერი "კომაცუ" (184 ცხ/ძ)

ბ) ექსკავატორი "კომაცუ" (135 ცხ/ძ)

გ) მილჩამწყობი (155 ცხ/ძ)

დ) ბულდოზერი "ჩებოქსარი ტ-330"-ის ძრავა

3. სატენდერო წინადადებების განხილვისას უპირატესი ყურადღება მიექცევა და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება შესასყიდი ობიექტების ტექნიკურ მახასიათებლებსა და ფასს.

4. მიწოდების დაწყების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

5. დაიტერესებულმა პირებმა სატენდერო განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 20 აპრილის 1800 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ. N24, საკონტაქტო ტელეფონი 77-90-06.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე;

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკომუნიკაციო, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობას სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ პირი უკანასკნელი 5 წლის განმავლიბაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მის მიმართ მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის პირის ვინაობას, მისამართს, საკომუნიკაციო და საბანკო რეკვიზიტებს.

6.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის:

- ინფორნაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მიმდინარე პერიოდში წარმოებული ანალოგიური მიწოდებების შესახებ;

- ნებართვას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების შესახებ;

- ინფორმაციას ბენზინგასამართი სადგურების რაოდენობისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

7. სატენდერო დოკუმენტაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ მიიღებენ სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" სატენდერო კომისიაში.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.

1. კონკურსის მიზანია მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველების განაცხადი უნდა შეიცავდეს ინდივიდუალური მეწარმისა თუ იურიდიული პირის:

ა) სახელწოდებას;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

გ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) მისამართს;

ე) რეგისტრაციის თარიღსა და ადგილს;

ვ) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) დადგენილებას რეგისტრაციის შესახებ;

თ) ცნობას საჯარო რეესტრიდან;

ი) საბანკო რეკვიზიტებს;

კ) ცნობას ბანკიდან ანგარიშის შესახებ.

3. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინდივიდუალური მეწარმისა თუ იურიდიული პირის ხელმძღვანელის ხელმოწერას და წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტში.

4. საკონკურსო პირობები:

ა) ქ. თბილისისა და რეგიონების ტერიტორიაზე სადგომების რაოდენობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, ასევე ამ სადგომების კანონიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კაპიტალურად შემოღობილი ფართი არა ნაკლებ 500 კვ/მ);

ბ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე არანაკლებ ათი, ხოლო რეგიონების ტერიტორიაზე არანაკლებ სამი სპეციალური ტექნიკით აღჭურვილი, გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების (ევაკუატორი, მსუბუქი ავტომანქანა, საბუქსირე მისაბმელი, ტვირთ-ამწე და სხვა) არსებობა და ამ საშუალებების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალება, გათვალისწინებული მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალებების (ავტობუსების, სატვირთო მანქანების და სხვა) გადასაყვანად;

დ) სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების გადასაყვანად გათვალისწინებული არანაკლებ ხუთი მსუბუქი ავტომობილი;

ე) სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა და დაუზიანებლად შენახვისათვის აუცილებებლი პირობების არსებობა;

ვ) სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაცვა და ამის დამადასტურებლი დოკუმენტაცია;

ზ) კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა;

თ) გამოძახების შედეგად ადგილზე ოპერატიულად გამოცხადების (მსუბუქი ავტომანქანის შემთხვევაში არა უმეტეს 15 წუთი, ხოლო მძიმეწონიანი სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში არანაკლებ 30 წუთი) და გადაყვანის უზრუნველყოფა;

ი) სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურ სადგომზე შენახვის დაბალი ტარიფები;

კ) ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში, დაწყებული გამოძიების დროს, როდესაც სატრანსპორტო საშუალება სპეციალურ სადგომზე იმყოფება ხუთ დღეზე მეტი ხნით, შენახვის ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს.

ლ) შესაბამისი საშუალებები, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, გარდაცვლილთა გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

5. კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება იწყება 2006 წლის 4 აპრილს და მთავრდება 2006 წლის 5 მაისს 5 საათზე.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ, საკონტაქტო ტელ. 53 16 32, 52 90 63.

7. განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან ერთ საათში (05.05.2006 წლის 6 საათზე), კონკურსის მონაწილეების თანდასწრებით, გაიხსნება დახურული კონვერტები, დადგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ უპასუხებს კონკურსის პირობებს იგი არ დაიშვება კონკურსში.

8. განაცხადების მიღების დასრულებისა და კონვერტების გახსნის შემდეგ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი მოახდენს შერჩეული სპეციალური სადგომების ადგილზე დათვალიერებას და წარმოდგენილ პირობებთან შედარებას. 2006 წლის 12 მაიისს გამოვლინდებიან კონკურსში გამარჯვებულები.

9. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდებიან მონაწილეები, რომლებიც დააკმაყოფილებენ კონკურსის კრიტერიუმებს და წარმოადგენენ საუკეთესო პირობებს.

10. კონკურსის დასრულების შემდეგ 30 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდება ხელშეკრულება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და კონკურსში გამარჯვებულებს შორის.

11. კონკურსი არშემდგარად ჩაითვლება, თუ:

ა) განაცხადების გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნება შეტანილი არც ერთი განაცხადი;

ბ) წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ იქნება კონკურსის მოთხოვნების შესაბამისი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს

1. ლოტი N1: 500კვ-ის სახაზო საჰაერო ამომრთველის (ორი ერთეული);

2. ლოტი N2: 20კვ-ის საგენერატორო საჰაერო ამომრთველის (ოთხი ერთეული).

მომსახურების გაწევაზე (ორი 500კვ-ის, ერთი 20კვ-ის საგენერატორო საჰაერო ამომრთველის კაპიტალური რემონტი და სამი 20კვ-ის საგენერატორო საჰაერო ამომრთველის მიმდინარე რემონტი). მომსახურების გაწევის ადგილია შპს "ენგურჰესი", გალის რ-ნი დას. საბერიო და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 500კვ-ის ერთ ამომრთველზე 2006 წლის 1 აგვისტომდე, მეორე 500კვ-ის ამომრთველზე კი 2006 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო საგენერატორო ამომრთველებზე 2006 წლის 1 აგვისტომდე.
3. პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო წინადადება წარმოადგინოს ერთ ან ორივე ლოტზე. გამარჯვებული გამოვლინდება ყველა ლოტზე ცალცალკე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 აპრილის 14 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიულ პირთათვის:
ა) დადგენილებას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის (იურიდიული სტატუსის) შესახებ;
ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგენიზაცია ან ლიკვიდაცია:
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება:
დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ;
ე) ცნობას შს სამინისტროდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
ვ)ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი)

3.2. ფიზიკური პირისათვის.
ა) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
გ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);
დ) ცნობა,რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

3.3. როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში.
ბ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ. სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში ცნობა მისი იურიდიული სტატუსის და კვალიფიკაციის შესახებ.
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.
დ) ინფორმაციას მის ხელთ არსებული სარემონტო საშუალებების და ტექნიკის შესახებ.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**
**ზუგდიდის ფილიალი**
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

6. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. 8 (215) 301 80.

**სატენდერო კომისია**

# ცვლილებების შეტანა განცხადებაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2006 წლის 30 მარტს საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში (გაზეთი "24 საათში'' N68 ) , სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

**1. ქვემოთ მოყვანილი გრაფის შესაბამისად შეიცვალოს შესასყიდი საქონლის (კარტრიჯები) რაოდენობა შემდეგი დასახელების საოფისე ტექნიკისათვის:**

| დასახელება | **ახალი რაოდენობა** |
|---|---|
| Canon Laser Shot LBP 1210 | **9 ცალი** |
| HP Laser Jet 1010 | **130 ცალი** |
| HP Laser Jet 1200 | **79 ცალი** |
| HP Laser Jet 1100 | **78 ცალი** |
| Pp Laser Jet 1020 | **33 ცალი** |
| HP Laser Jet 1300 | **3 ცალი** |
| Panasonic KX-FL 153 | **4 ცალი** |

**2. დაემატოს გამოქვეყნებულ განხადებაში მოყვანილ ჩამონათვალს:**
**- აპარატ "Gestetner 2913R" -თან თავსებადი კარტრიჯი 3 (ცალის) ოდენობით;**
**- აპარატ "Canon Laser Base MF 3110" -თან თავსებადი კარტრიჯი 2 (ორი) ცალის ოდენობით.**
**- აპარატ "Canon 6317" -თან თავსებადი კარტრიჯი 1 (ერთი) ცალის ოდენობით.**

**3. აპარატ "Xerox 5837" -თან ნაცვლად სიტყვა "კარტრიჯისა" იქნება სიტყვა "ტონერი''**

**4. გამოქვეყნებულ განხადებაში მოყვანილ ჩამონათვალში "HP Color Laser Jet imaging drum"-თან თავსებადი კარტრიჯის ნაცვლად იქნება აპარატ "HP Color Laser Jet 2550" -თან თავსებადი ბარაბანი.**

**5. აპარატ "HP Color Laser Jet"-ის დასახელებას დაემატოს 2550 , ხოლო რაოდენობა განისაზღვოს 1 (ერთის) ნაცვლად, ამ მოდელთან თავსებადი კარტრიჯების 1 (ერთი) ნაკრებით.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 75-82-89. საკონტაქტო პირი: ქეთევან სირაძე

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ქობულეთის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ქობულეთის ქუჩების დაგვის და ნარჩენების გატანის შესყიდვაზე.
2. ქ. ქობულეთის იმ ქუჩებისა და ქუჩების მონაკვეთების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაიგვას შესაბამისი ფართობების, მათი დაგვის და ნარჩენების გატანის მიხედვით:

| № | ქუჩებისა და ქუჩების მონაკვეთების ჩამონათვალი | დასაგველი ფ. კვმ. / მოგრ.ნარჩ. გატანა კბ.მ, |
|---|---|---|
| 1 | აბაშიძის ქუჩა მდინარე კინტრიშის ხიდიდან რკინიგზის სადგურის მოედნამდე; | 1000 / 16.7 |
| 2 | რკინიგზის სადგურის მოედნის ნაწილი ბაქანზე ასასვლელი კიბეებიდან კაიკაციშვილის ქუჩის მიმართულებით | 6000 / 10 |
| 3 | კაიკაციშვილის ქუჩა რკინიგზის სადგურის მოედანიდან ბაქნის ბოლომდე; | 4000 / 6.7 |
| 4 | რაიონის გამგეობის შენობის წინამდებარე მოედანი კავშირგაბმულობის სამმართველოს ოფისამდე; | 8000 / 13.3 |
| 5 | დ. აღმაშენებლის ჩიხი, კავშირგაბმულობის შენობის წინამდებარე ჩიხი, კოსტავას ქუჩის ნაწილი, ჯინჭარაძის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა; | 14000 / 23.3 |
| 6 | დ. აღმაშინებლის გამზირი რკინიგზის სადგურიდან პანსიონატ "ჩირაღდნამდე"; | 112000 / 180 |
| 7 | რუსთაველის ქუჩა ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შენობიდან №140 სახლამდე; | 4000 / 6.7 |
| 8 | თამარ მეფის სანაპირო, მდ. აჭყვადან სასტუმრო "ბიჩკლუბამდე" (ზღვის სეზონის პერიოდში 3 თვე) | 38500 |
| 9 | სანაგვე კონტეინერებში დაგროვებული ნაგვის გატანა. | 500 |

3. სამუშაოს მიწოდების ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის ბოლომდე - ყოველდღიურად.
4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები, როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 (რაიონის გამგეობის შენობა), ქობულეთის რაიონის გამგეობის აპარატის იურიდიულ განყოფილებაში. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 28 აპრილს 17:00 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*5.1. იურიდიული პირებისათვის:*
ა) პრეტენდენტის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
დ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ე) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

*5.2. ფიზიკური პირისათვის:*
ა)ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;
გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
7. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველის სრული დასახელება, რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2006 წლის 7 აპრილიდან 2006 წლის 24 აპრილამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის ("სახალხო ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი, ბ/კ 220101468, ანგ. №33060005) გადახდის შემდეგ მისამართზე: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი. №141 დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დაუბრუნებს წარმომდგენ პირებს.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ ტელეფონებზე: (88236) 6-79-00, 6-72-11.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობებში ლოკალური ქსელის მოწყობილობებისა და მონტაჟის შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის ლოკალური (კომპიუტერული) ქსელის მონტაჟი **- 208 წერტილი.**

**ლოტი N2**
ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობის ლოკალური (კომპიუტერული) ქსელის მონტაჟი **- 110 წერტილი.**

**ლოტი N3**
მცხეთის რაიონული სასამართლოს შენობის ლოკალური (კომპიუტერული) ქსელის მონტაჟი **- 50 ადგილი.**

ლოკალური ქსელის სპეციფიკაცია სამივე ლოტისათვის:

| | **სამუშაოს დასახელება (სახარჯი მასალები)** |
|---|---|
| 1 | UTP CAT.5E 0.5MM PVC Box 305M |
| 2 | UTP, 24 RJ45, N500.205 |
| 3 | PP12, Cat.5, UTP, 0.5m |
| 4 | PP12, Cat.5E, UTP, 2m |
| 5 | 1XRJ 45, Unscr |
| 6 | Surface mounted box white |
| 7 | 75X50/Trunking 3m |
| 8 | 50X50/Trunking 2m |
| 9 | Trunking 50X32m |
| 10 | Trunking 50X25m |
| 11 | Trunking 40X25m |
| 12 | Trunking 40X16m |
| 13 | Trunking 250X16m |
| 14 | Corners |
| 15 | 9HU Single Section Toten |
| 16 | 42U 600X600 Standart Rack |

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 25 აპრილიდან 26 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:
*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:
*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 აპრილის ჩათვლით;
4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133
5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

**"ქალთა ფონდი საქართველოში"** აცხადებს მცირე გრანტების კონკურსს **"ქალთა უფლებები და სოციალური სამართლიანობა"** ქალთა რეგიონული ორგანიზაციებისათვის.

საკონკურსო თემატიკა: გენდერული თანასწორობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება; კრიტიკული აზროვნება ცოდნის მიღებასა და გავრცელებაში; ადვოკატირება. უპირატესობა მიენიჭებათ ქალთა და გოგონათა სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან, სოფლის მოსახლეობასთან, უმცირესობებთან მომუშავე ორგანიზაციებს. საგრანტო თანხა: 500-დან 3 500 აშშ დოლარამდე.

კონსულტაციები: ფონდის ოფისში 21 აპრილის ჩათვლით, ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს 13.00-17.00 სთ. პროექტების მიღება: 24 აპრილიდან 12 მაისამდე.P

საპროექტო განაცხადები შეგიძლიათ წარმოადგინოთ პირადად ან გამოგზავნოთ მისამართზე: 0105 თბილისი, ლადო ასათიანის ქ. N52, II სართული, ტელ./ფაქსი:
93 50 94, ელ.ფოსტა: ecdc@gol.ge

**გისურვებთ წარმატებებს!**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" პროგრამის დაფინანსების ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 24 იანვრის N42 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი 316 საჯარო სკოლის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მ\წლის 3 მარტს გამოცხადდა ტენდერი 10 ლოტად. ტენდერში გამოვლინდა 1 გამარჯვებული, რომელთანაც 2006 წლის 28 მარტს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება I-X ლოტში - 14265 ლარზე.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

მიმდინარე წლის 26 აპრილს დღის 12.00 სთ-ზე სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს საკონფერენციო დარბაზში (ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზირი N74) გაიმართება ბანკის აქციონერთა საერთო კრება.

**აქციონერთა კრებაზე განსახილველი საკითხები:**

1. სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს 2005 წლის ფინანსური შედეგების შესახებ;
2. სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს 2005 წლის მოგების განაწილების შესახებ;
3. სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს სარევიზიო კომისიის ცვლილებების შესახებ;
4. სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის ანაზღაურების შესახებ;
5. საერთაშორისო აუდიტის შესახებ.

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 2006 წლის 20 მარტი. აქციონერებს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების გადამოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან - შპს "კომპანია-ცენტრი" მისამართზე ქ,თბილისი მოსაშვილის ქ.N24.

**სამეთვალყურეო საბჭო**

## განცხადება აქციონერთა საერთო კრების შესახებ

მიმდინარე წლის 26 აპრილის დღის 16:00 სთ-ზე ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს შენობაში (მისამართზე ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი N74) გაიმართება ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს აქციონერთა საერთო კრება.

აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები

1. სს "საქქალაქმშენპროექტი"-ს 2005 წლის წლიური ანგარიშის შესახებ;
2. სს "საქქალაქმშენპროექტი"-ს 2005 წლის მოგების განაწილების შესახებ;
3. სს "საქქალაქმშენპროექტი"-ს 2006 წლის გეგმის (სამუშაო და ფინანსური) დამტკიცების შესახებ;
4. სხვადასხვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 2006 წლის 20 მარტი. ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს აქციონერებს საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების გადამოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან - შპს "კომპანია - ცენტრი"-ს მისამართზე ქ. თბილისი მოსაშვილის ქ. N24.

ს.ს. "საქქალაქმშენპროექტი"-ს სამეთვალყურეო საბჭო

## სარეკლამო განცხადება

**აშშ საელჩო, თბილისი, საქართველო**

2006 წლის 8 აპრილს, აშშ სალეჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს.

აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო ავეჯი. მოწყობილობები, სანტექნიკური ფიტინგების აქსესუარები და აგრეთვე დაზიანებული ავტომანქანები.

- აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

- მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივეთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

- დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს დილის 9.00-დან 11.00 საათამდე.

აუქციონი (ბიდინგი) დაიქყება დილის 11.00 საათზე.

აუქციონი ჩატარედება შემდეგ მისამართზე:

ლილო. რუსთაველის ქ 4. აშშ სალჩოს საწყობის ტერიტორია.

ცნობებისათ ის დარეკეთ: 27 70 00. შიდა 7201. 899 977810.

# სკოლა ისეთი, როგორც მახსოვს!

*გახსოვს? - მკითხა ერთხელ აკაკი ბაქრაძემ, - ფანჯრიდან რომ გადავხტით და... - არ მახსოვდა. ერთ კვირა დღეს, მოსწავლეები ჩაის საკრეფად მივყავდით, შუადღემდე წვიმამ რომ არ გადაიღო, მე და კაკო ავითესეთ.*

ნოდარ მალაზონია

### რაც მახსოვს

ჩვენი სკოლა, ოზურგეთის სამხრეთით ერთ ლამაზ გორაკზე იდგა. ორსართულიანი აგურ-ცემენტით გაგლესილი უსახური შენობა, ვერაფრით ესადაგებოდა ამაგდარი ბოტანიკოსის სავიჩის მიერ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში გაშენებულ უმშვენიერეს ბაღის ლანდშაფტს, რომელიც სკოლას ემიჯნებოდა და მუდამ ყვაოდა მაგნოლიებისა თუ სხვა იშვიათი ჯიშის ეგზოტიკური მცენარეებით.

უპატრონობის გამო ბაღი უკვე მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ითვლიდა თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს და მთლიანად მას შემდეგ განადგურდა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს, სკოლა ლაზარეთად გადაკეთდა და ბაღი თავშესაფარი ბუნკერებისთვის გადათხარეს.

ვერ ვიგონებ სკოლაში მისვლის დღეს, მაგრამ კარგად მახსოვს ნული ჯგუფის მასწავლებელი თამარა ღლონტი და თანაკლასელები.

- გრიშა და ოთო, აბა გამოდით და იმღერეთ... - და გადავიდოდნენ გრიშა გრეკოვი და ოთარ თალაკვაძე (შემდგომში ჯერ ტელევიზიის რეჟისორი, მერე ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) და დაამღერებდნენ: "მე ვარ პეპო თბილისელიი..." (სწორედ იმ ხანად გამოვიდა ეკრანზედ ქართული ფილმი "პეპო").

ისიც მახსოვს, ქვეითაიას ლაპარაკი, რომ საკლასო ოთახს აზანზარებდა. - ცოტა ხმადაბლა ქვეითაია, - თხოვდა თამარა მასწავლებელი, მოსწავლეს.

- ამაზე ხმადაბლა, მასწავლებელო?!... პასუხობდა ქვეითაია და ისევ ზანზარებდა იქაურობა.

მახსოვს ფრიადოსანი ქათქათა გოგონები და თავხოტორა ბიჭები (იხილეთ სურათზე ისე, როგორც მათი ამოცნობა მოვახერხე): შოთა ინწკირველი (შემდგომში, ბავშვთა ჭადრაკის თვალსაჩინო მწვრთნელი); ოსიკო ცხომელაძე (ოქროს მედალოსანი, შემდეგში ბიოლოგი); მამია კვირკველია და ამირან უნგიაძე (ასევე ოქროს მედალოსნები); "აურია" ამირანა მამალაძეც მახსოვს, თავისი სიცოცხლე ციმბირის საპყრობილეში რომ დაასრულა და აკაკი ბაქრაძე (ასევე ოქროს მედალოსანი), ჩვენი მეგობარ-მეზობლობა ხომ თბილიშიაც გაგრძელდა (თანაკლასელობა და მეგობრობა ჩვენს შვილებს: ბაჩასა და ლაშასაც დაებედათ).

როცა ოთხმოციან წლებში ჩემი სახლის წინ საეჭვო მსუბუქი მანქანები შევნიშნე, რომლებიც დღედაღამ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ჩემი შეშფოთება მეუღლეს გავანდე. -- ესენი კაკოს უთვალთვალებენო, როცა მითხრა, ბაქრაძეს გადავურეკე.

- ვიცი, ვიცი... მიპასუხა კაკომ, - ნანამ კაი ხანია შემატყობინა. თუ გაინტერესებს, ერთხელ შორიახლო გამომყევი და დაინახავ: ერთი როგორ ჩამაცილებს დელისის მეტრომდე, მეორე მარჯანიშვილის მოედნამდე და მესამე თეატრამდე. (იმ ხანად კაკო მარჯანიშვილის თეატრს ხელმძღვანელობდა).

■ ■ ■

კაკო პირველ კლასში შემოგვიერთდა, მაშინ, როცა რაჭიდან გადმობარგებული ბაქრაძეები, ოზურგეთის აღმოსავლეთით, სოფელ გაკირულში დასახლდნენ ერთ პატარა მწვანედ მობიბინე ეზოში და ერთი უცხოური ფილმისა არ იყოს, კაკოს ერთი მხარე რომ ოზურგეთში იყო, მეორე გაკირულს ეკუთვნოდა.

ფიზიკურად არცთუ ისე წარმოჩენილი, გონებითა და აზროვნებით ნათელი და მკვირცხალი; კეთილი და უანგარო; პატიოსანი და ერთგული; არავის დამჩაგვრელი და ვერავისგან დაჩაგრული; უკიდურესობამდე უკომპრომისო და პრინციპული; მართალი და უშიშარი, კაკო ბაქრაძე სულ მალე ჩვენი კლასის წინამძღოლი გახდა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც კაკომ, "ვეფხისტყაოსნის" თოიძისეული ილუსტრაციების მის მიერ შესრულებული ასლები მოიტანა, საგანგებოდ თხელი გამჭვირვალე ქაღალდით გადაფენილი, დღესაც თვალწინ მიდგას, როგორი მოწიწებით ფურცლავდა და გვიხსნიდა, თუ რომელი ილუსტრაცია რას ასახავდა და შესატყვის სტროფებს ზეპირად წარმოთქვამდა.

■ ■ ■

მახსოვს, ბათუმიდან ჩამოსული ლექტორის ლექციის მოსასმენად, მეშვიდე კლასელები მეორე სართულიდან გეოგრაფიის კაბინეტში, რომ შეგვყარეს.

მარტის თოვლჭყაპიანი გაზაფხული იდგა. ცხადია ყველას გვცივა და გვშია და როგორც ეტყობა, არც ლექტორია უკეთეს დღეში, მაგრამ თავისას მაინც მიერეკება.

მოულოდნელად მთვლემარე აუდიტორია კაკოს მკვესავმა ხმამ გამოგვაფხიზლა.

- ცდებით პატივცემულო ლექტორო!..

ჭერი, რომ დაგვცემოდა თავზე, ისე არავის შეაშფოთებდა, როგორც ბაქრაძის ეს ერთი ფრაზა.

- ყმაწვილო! - დასჭყივლა დირექტორმა ნიკიფორე დოლიძემ.

- არა, კი არ ცდებით, ცრუობთ! - ახლა უკვე ცეცხლზედ ნავთი დაასხა კაკომ და გარეთ გავარდა.

ლექცია წელთრევით მაინც გაგრძელდა და ჩვენ ისევ ძილმღვიძარედ გადავკიდეთ თავები.

უცებ ისევ ხმაურით გაიღო კარები და გალუმპული - აქოშინებული კაკო პირდაპირ ლექტორთან მიიჭრა, უბიდან წიგნი ამოაძრო, ჩანიშნულ გვერდზე გადაშალა, ლექტორს ცხვირწინ დაუდო და სხაპასხუპით მიაყარა: - წაიკითხეთ ხმამაღლა! აი, ეს არის სიმართლე და არა ის, რასაც თქვენ ქადაგებთ!..

რვა კილომეტრი ირბინა აკაკი ბაქრაძემ თოვლჭყაპში, სკოლიდან სახლამდე და სახლიდან სკოლამდე, სიმართლისთვის!

დამეთანხმებით, ამას ვერც მშობლები გვასწავლის და ვერც სკოლა.

ასეთი უნდა დაიბადო!

■ ■ ■

ორმოციანი წლების სასკოლო არდადეგებია. გაგანია სიცხეში ჭადრების ბაღში ვზივარ, მაცვია მამაჩემის მკლავებაკეცილი, "გრუბოშერსტის" ჯვალოს ხალათი, საყელოში თეთრი ნაჭერი ჩაკერებული, რათა სულ არ გავიგუდო.

- ნოდარი, რამდენი გეძებო ბიჭო, წამოდი მდივანი გვიბარებს რაიკომში, - მოაჯირს იქედან დამიძახა თანაკლასელმა.

რაიკომში?! რაიკომში არასდროს ვყოფილვარ. ნეტავ რა უნდათ? ვფიქრობ და გუმანით ვგრძნობ, რომ გაღეღილი მკერდი და დაკაპიწებული სახელოები "რაიკომულ" ეტიკეტში არ ჯდება.

ისე აუხდა ჩვენს მტერს ყოველივე.

- ხულიგანო! სტადიონზედ მოხვედი?! - შესვლისთანავე დამცეცხლა მდივანმა. - გაგრიცხავ!.. დაგსჯი!.. მილიცია, მილიცია... ჩასძახის ყურმილში მდივანი.

ერთი კარგი თვისება მაქვს, სხვა უხიაგო თვისებებთან ერთად. ასეთი ექსცესები კი არ მაფრთხობს, არამედ მართობს, მაგრამ ჯერ ხომ უნდა გავერკვე რა ხდება?!.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა მრავალ "შესამკობ" ეპითეტებს სამხილიც მოაყოლა მდივანმა. - შეთქმულებო, თქვი, ვინ იყო თქვენი მეთაურიო!

ხოო... აი თურმე რაში ყოფილა საქმე. ეს კი მე აღარც კი მახსოვდა.

სკოლაში კომკავშირის მდივნის არჩევნები გაგვიხსენეს, როცა კაკოს მეთაურობით, ბიჭებმა რაიკომის კანდიდატურა გავაშავეთ და საჩვენო ავირჩიეთ.

- დაწერე! დაწერე! - ქუხს მდივანი.

დავწერე. როცა წაიკითხა, ქაღალდს კინაღამ უკბინა და აქეთ არა, იქით გადიო, დამიბრიალა თვალები.

იქით როცა გავედი და ყველა "შეთქმულნი" ერთად დავინახე, სიცილი ამიტყდა.

რიგ-რიგობით იბარებდა ყოველ მათგანს მდივანი.

ს. ს.-ამ იტირა, მისი ბღავილი ყველას გვესმოდა.

ა. თ.-შმა სულ იკისკისა და კუნტრუშ-კუნტრუშით დაგვტოვა.

ბოლოს კაკოს დაუძახა მდივანმა, სჯა-ბაასი კაი ხანს გაგრძელდა. როცა კარები გაიღო და კაკო იქიდან გამოვიდა, მდივანმა გამომძახა:

- ამას იცნობ შენ მალაზონია?! კაი კერკეტი ნიგოზია, უჩაჩქუნე რამდენიც გინდა... გგონია, გატეხ? ვერა, ვერ გატეხ! - სიცილით თქვა ოზურგეთის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა, აკაკი გობრინიძემ და სანამ კარებს მიიხურავდა, გამოგვძახა - წადით ახლა ყველა სახლში.

■ ■ ■

ერთხელ სავიჩის სანაქებო ბაღში, როცა ბიჭები ფეხბურთს ვთამაშობდით, სანგრებიდან ლეკვების წკავ-წკავი შემოგვესმა. როცა ჩავხედეთ და ჯერ კიდევ თვალაუხელელი ლეკვები დავინახეთ, სახლებისკენ მოვკურცხლეთ, რალაც სახემსი რომ მოგვეტანა მათთვის. როცა მოვბრუნდი, გვიანღა იყო: ერთ-ერთ ჩვენთაგანს, მიწის ბელტებით ჩაეხოცა ყველანი შიგ.

როგორ დავიჯერო, რომ დღეს მას ჰყავს ცოლ-შვილი, შვილიშვილები ან რაიმე სარგებლობა შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას?! ასეთებიც იბადებიან და მათ ვერც ჯოხით და ვერც ფერებ-ფერებით გადააფიქრებინებ იმას, რასაც მას ჯილაგის სისხლი კარნახობს.

## ნინო ქათამაძე და ჯგუფი INSIGHT კიეველ მაყურებელს არნახულ სიურპრიზს უმზადებს

ნინო ქათამაძე და ჯგუფი Insight 13 აპრილს კიევში კონცერტს გამართავს. კონცერტზე მუსიკოსების ახალი ალბომების Black და White პრეზენტაციაც გაიმართება. როგორც რუსული ელექტრონული პრესა იუწყება, ნინო ქათამაძე და მისი ჯგუფის წევრები მაყურებლისთვის ჯერ არნახულ სიურპრიზს ამზადებენ. სახელდება მხოლოდ სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ნინო ქათამაძეს აკომპანემენტს გაუწევს სიმღერა "ოლეის" შესრულებისას.

ალბომებს მუსიკოსები დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ. Black-ზე მუშაობა 2003 წლიდან დაიწყეს, თუმცა ხანგრძლივი გასტროლების გამო ალბომის დასრულებას ვერ ახერხებდნენ. ამ ხნის განმავლობაში დაგროვდა მასალა მეორე ალბომისთვის - ასე გაჩნდა White.

იმავე ალბომებით ქართველი მუსიკოსები 4 და 5 აპრილს მოსკოვშიც წარდგებიან. ჯერჯერობით უცნობია, როდის გამართავენ ნინო ქათამაძე და Insight-ი კონცერტს სამშობლოში.

*ინტერპრესნიუსი*

## ამერიკელი რეჟისორი ქართულ თეატრში ამერიკულ პიესას დადგამს

**"მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის" ხელმძღვანელობა პირველი პროექტის განხორციელებას იწყებს.**

ამერიკულ-ქართული პროექტი - კულტურათა ურთიერთობის ამერიკულ-ქართული ინიციატივა ამერიკელი რეჟისორის მიერ ქართულ თეატრში ამერიკული პიესის დადგმას და ნიუ იორკსა და ვაშინგტონში ქართული თეატრის ჩასვლას გულისხმობს. "ეს პროექტი 2006 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. კონკრეტულად პროექტი გულისხმობს ნიუ იორკის მულტიკულტურული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორ სტიპნოვის საქართველოში ჩამოსვლას და კინომსახიობთა თეატრში ამერიკული პიესის დადგმას. რაც შეეხება ქართული თეატრის აშშ-ში გამგზავრებას, ამის შესახებ ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი", - განუცხადა "მედიანიუსს" თუმანიშვილის ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, რეჟისორმა მანანა ანასაშვილმა.

*მედიანიუსი*

## "ჩვენი მწერლობის" დარბაზში ზეპირი მოთხრობების საღამო გაიმართება

4 აპრილს ჟურნალ "ჩვენი მწერლობის" დარბაზში გაიმართება რეზო ესაძის ზეპირი მოთხრობების საღამო. როგორც "მედიანიუსს" ჟურნალ "ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ განუცხადა, ზეპირი მოთხრობების საღამოზე რეზო ესაძის ცნობილი ფილმების უცნობი მხარეები გამჟღავნდება. "რეზო ესაძე მრავალმხრივი ადამიანია. მასში ერთნაირად ვლინდება ბელეტრისტის და მსახიობის ნიჭი. ბატონ რეზოსთან შეხვედრაზე იმპროვიზებული საუბრები გაიმართება. თავად რეზო ესაძე, მეტად საამო მოსაუბრე, ერთი მსახიობის თეატრის მსახიობის სტილში მოგვევლინება. მისი საუბრები ყოველთვის გამოირჩევა სანახაობრივი თვალსაზრისითაც. საინტერესოა ისიც, რაზეც მწერალი საუბრობს და ისიც, თუ როგორ გადმოსცემს სათქმელს," - განაცხადა "მედიანიუსთან" საუბარში როსტომ ჩხეიძემ.

*მედიანიუსი*

მოკლედ

## რობერტ სტურუას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ფილმს იღებენ

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ რეჟისორი მანანა ანასაშვილი იღებს მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს. სურათი დააფინანსა საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა - მის გადასაღებად 40 000 ლარი გამოყო. "მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის ფილმის გადაღება უკვე დაიწყო. თითქმის დამთავრდა იმ სპექტაკლების გადაღება, რომლებიც რეჟისორმა სტურუამ საქართველოში დადგა. ახლა ვეძებთ სპონსორს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბატონი რობერტის მიერ საზღვარგარეთ დადგმული სპექტაკლები და რეჟისორის საერთაშორისო აღიარების ამსახველი მასალა გადავიღოთ. სამწუხაროდ, ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოყოფილი თანხა მხოლოდ თბილისში მიმდინარე გადაღებებისთვის არის საკმარისი," - განუცხადა "მედიანიუსს" რეჟისორმა მანანა ანასაშვილმა. მისივე თქმით, ფილმის გადაღება, სავარაუდოდ, 2007 წლის დასაწყისში დასრულდება. **მედიანიუსი**

## სოთბის (Sotheby's) აუქციონზე გასაყიდად უილიამ შექსპირის პიესების კრებულის პირველი გამოცემა გაიტანეს

სოთბის (Sotheby's) აუქციონზე გასაყიდად უილიამ შექსპირის პიესების კრებულის პირველი გამოცემა გაიტანეს. ლოტის საწყისი ფასი 4,3 მლნ. დოლარს შეადგენს. აუქციონი 13 აპრილს გაიმართება უნიკალურ გამოცემაში, რომელიც 1623 წელს დაიბეჭდა, შექსპირის 36 პიესაა შესული. აღნიშნული გამოცემის სრული ტირაჟი 750 ეგზემპლარისგან შედგება. დღემდე, ტირაჟის თითქმის ერთმა მესამედმა, ზოგ შემთხვევაში არასრული სახით, მოაღწია. სოთბის აუქციონის წარმომადგენლის განცხადებით ფოლიანტის კოპიო 2001 წელს ნიუ-იორკის კრისტის აუქციონზე 5,6 მლნ. დოლარად გაიყიდა. გასაყიდად გამოტანილი ეგზემპლარი ლონდონში, XVIII საუკუნეში დენიელ უილიამსის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ რარიტეტის გაყიდვა ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვიტა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (GIOC) პროექტი N 00012702 აცხადებს ტენდერს ავტომანქანების მომსახურებაზე**

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა დაინტერესებულ კომპანიებს. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ სათანადოდ მომზადებული დოკუმენტაცია 2006 წლის 14 აპრილამდე.

სატენდერო პაკეტების მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

საკონტაქტო პირი მიხეილ აბაშიძე.
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
საქართველო, თბილისი
წინამძღვრიშვილის 90
Tel: (995 32) 244000
Fax: (995 32) 244002
E-mail: mabashidze@gioc.ge

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

მთავრობა მზად უნდა იყოს, ყველა მეწარმე დახმარებით უზრუნველყოს

მოსახლეობა "ცხელ ხაზს" არ ენდობა

B2

აშშ-ს საფონდო ინდექსები გაიზარდა

General Motors-მა ფინანსური ქვეგანყოფილება გაყიდა

თურქული ბანკი ბერძნებს დარჩა

B3

"ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბში სამუშაოები იწყება

ქართველ მეცნიერებს და კომპანიებს საქმიანობის დაფინანსების შანსი ეძლევათ

B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3067 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0088 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4972 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8260 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8489 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1321 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2967 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3185 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2130 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4153 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3512 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3566 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1554 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,1750 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,2001 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2588 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3917 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5726 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1375 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3755 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3971 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2780 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5630 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6135 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1286 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4049 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5682 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,5091 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6084 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8343 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2528 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1423 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4414 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2353 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4016 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0775 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2278 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2353 |




# "იტერა" საქართველოს მთავრობას უჩივის

## იუსტიციის სამინისტრო კომპანიის პრეტენზიების შესწავლას იწყებს

მარიამ ჭაჭავაძე

*გაზის კომპანია "იტერა" საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივის და 3 წლის წინ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებას ითხოვს. საუბარია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 1996-2002 წლებში დაგროვილ 46-მილიონიანი დოლარის ოდენობის დავალიანებას, რომლის გადახდა საქართველოს მთავრობას 2003 წლიდან უნდა დაეწყო. საქართველოს მთავრობა ხსენებული ხელშეკრულების შესწავლას და გადახედვას იწყებს.*

ინფორმაცია საარბიტრაჟო სასამართლოში ქართული მხარის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის არსებობის შესახებ პირველად გუშინ დილით სხვადასხვა რუსული საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით გავრცელდა. მოგვიანებით ინფორმაციის სიზუსტე საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობამაც დაადასტურა. კომპანიის ხელმძღვანელი თამაზ პატარიძე ამჟამად ქვეყანაში არ იმყოფება, მის ნაცვლად კომენტარებს გუშინ მთელი დღის განმავლობაში მისი მოადგილე თემურ გაჯიევი აკეთებდა. "24 საათთან" საუბრის დროს გაჯიევმა განაცხადა: "ეს ჩვეულებრივი იურიდიული პროცედურაა, რომელსაც "იტერა" ახორციელებს, ყველა ხელშეკრულების დარღვევის დროს და ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო იყო".

- ქართული მხარის წინააღმდეგ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილ სარჩელს გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა.
- ოფიციალური თბილისის პოზიციით, ენერგეტიკის სამინისტროს, რომელმაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოაწერა ხელი ხსენებულ დოკუმენტს და რომლითაც აღიარა დავალიანების გადახდის ვალდებულება, ამის უფლება არ ჰქონდა.
- ენერგეტიკის სამინისტრო ერთადერთი უწყება არ არის, რომლიდანაც კუთვნილი ვალის ამოღებას "იტერა" სასამართლოს გზით აპირებს.
- ერთი საინტერესო დეტალი: გასული წლის მიწურულს, როცა სს "აზოტზე" ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა, "იტერა" ერთ-ერთი იყო, რომელმაც მისი შეძენის სურვილი გამოთქვა.

B2

# მექაღალდეობიდან ციფრულ ტექნოლოგიებამდე

გოჩა ქიმუცაძე

*კორპორაცია "ნოკიას" ისტორია მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე დაუჯერებელი საგა გახლავთ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ფინური კონგლომერატის ხელმძღვანელობას დანგრევის პირას მყოფ საბჭოთა კავშირში ტუალეტის ქაღალდის გაყიდვის შემცირება აწუხებდა. ათასწლეულის ბოლოს კი "ნოკია" მთელ მსოფლიოში მობილური ტელეფონებისა და ტელეკომუნიკაციების ყველაზე წარმატებული მწარმოებელი და ერთ-ერთი უმდიდრესი ფირმა გახდა. დღეისათვის ფინური კომპანია მობილური ტელეფონების უმსხვილესი მწარმოებელია და მსოფლიო ბაზრის 32,7%-ს ფლობს. კომპანიის მოგებამ გასული ფინანსური წლის მეოთხე კვარტალში 1,08 მილიარდი ევრო შეადგინა.*

- 1987 წელს, როცა წარმოებული მობილური ტელეფონების უმრავლესობა დიდი გაბარიტებით და წონით გამოირჩეოდა, "ნოკიამ" პირველმა მსოფლიოში გამოუშვა კომპაქტური და მსუბუქი აპარატი, რითაც ბაზრის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება მოახერხა.
- 90-იანი წლების ბოლოს "ნოკია" ციფრული კავშირის მსოფლიო ბაზრის ლიდერად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ყველა ძირითადი სტანდარტის მობილური ტელეფონის წარმოებამ. ამასთან, დღეისათვის მსოფლიოს პოპულარულ მარკებს შორის "ნოკიას" მეთერთმეტე ადგილი უჭირავს და თვით "მერსედესს" უსწრებს.

B3



## მთავრობა მზად უნდა იყოს, ყველა მეწარმე დახმარებით უზრუნველყოს

ქართული ღვინისთვის თავისი ბაზრის დახურვით რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ფაქტობრივად ემბარგო დააწესა. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ქვეყნის ეკონომიკური ბლოკის მინისტრებთან და რეგიონებში თავის რწმუნებულებთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი.

"სიტუაცია ძალიან პრობლემურია, რადგან საუბარია ეკონომიკური ტიპის ემბარგოზე. ეს უფრო მძიმე საკითხია, ვიდრე უბრალოდ ტექნიკური გაუგებრობა", - განაცხადა სააკაშვილმა.

"რა დონეზეც არ უნდა მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება, ის აშკარად არაა ეკონომიკური და არ უკავშირდება რაიმე სანიტარული ნორმების დაცვის პრობლემას", - აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა. "ამიტომ ჩვენი ამოცანაა - უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, სამინისტროებისა და სხვა დონეებზე დიალოგის წარმოება რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, და არა უბრალოდ ტექნიკურ ორგანოებთან", - თქვა მან.

"ესაა საგანგებო სიტუაცია და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იმათ, ვინც ამ გადაწყვეტილების უკან დგას და ფიქრობს, რომ ამით მოგვახრჩობს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდეთ", - განაცხადა სააკაშვილმა.

"საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრას", - პირობა დადო მან.

პრეზიდენტმა რეგიონებში თავის რწმუნებულებსა და მთავრობის წარმომადგენლებს დაავალა ქვეყანაში ყველა პირობის შექმნა მეღვინეობის განვითარებისა და მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის უზრუნველსაყოფად.

"დარწმუნებული ვარ, მალე ქართული ღვინო არაერთი ქვეყნის ბაზარზე გავა. მთავრობა მზად უნდა იყოს, ყველა მეწარმე ადმინისტრაციული რესურსითა და დახმარებით უზრუნველყოს", - განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, მას "აოცებენ ადამიანები, რომლებმაც საქართველოში უსინდისოდ დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთმა ქართული ღვინისთვის თავისი ბაზარი საქართველოს მთავრობის გამო დახურა".

"საქართველოს მთავრობა მხოლოდ ერთ რამეშია "დამნაშავე" - მან ღვინის ფალსიფიკაციის პრობლემა გადაჭრა და ქართველ მეღვინეებს ახალ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა მისცა", - განაცხადა სააკაშვილმა. შედეგად "საქართველო და მისი მთავრობა ისჯება იმისთვის, რომ სახელმწიფოს ეფექტური მთავრობა ჰყავს", - დაასკვნა პრეზიდენტმა. **"ახალი ამბები-საქართველო".**

## მოსახლეობა "ცხელ ხაზს" არ ენდობა

### გენერალურ ინსპექციაში ერთ თვეში 20 ანონიმური შეტყობინება შევიდა

ნინო ნატროშვილი

*ხელისუფლება სტილს არ არღვევს და კორუფციას ისევ "ცხელი ხაზების" საშუალებით ებრძვის. რაც იმას ადასტურებს, რომ ქვეყანაში შიშის სინდრომი ისევ არსებობს და საზოგადოება პრობლემებზე და მათი უფლებების დარღვევაზე საუბარს ღიად ვერ ბედავს. ტელეარხებზე ფართოდ რეკლამირებულ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის "ცხელ ხაზზე" ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ოცმა მოქალაქემ დარეკა. ამდენივე წერილობითი შეტყობინება შევიდა ინსპექციის მისამართზე ფოსტით. რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ნდობა ამგვარი სახელისუფლებო ნოვაციების მიმართ მაღალი არ არის.*

გენერალური ინსპექციის უფროსის ბესიკ ტრაპაიძის განმარტებით, მისმა უწყებამ ტრანსფორმირება განიცადა და "ცხელ ხაზზე" შემოსული შეტყობინებების გადამოწმება ამიერიდან დაუყოვნებლივ მოხდება.

მოქალაქეების და მეწარმეების პასიურობას ბესიკ ტრაპაიძე იმით ხსნის, რომ ინფორმაცია საზოგადოებამ გენერალური ინსპექციის "ცხელი ხაზის" არსებობის შესახებ რამდენიმე კვირის წინ მიიღო. ტრაპაიძე გამოთქვამს იმედს, რომ კორუფციის ფაქტების და პრივატიზაციის სფეროში აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში ცხელი ხაზის ნომრებზე - 98 27 36; 93 40 41 - მოქალაქეები აუცილებლად დარეკავენ. ცხელ ხაზზე შეტყობინებები ძირითადად პრივატიზაციის სფეროში არსებულ დარღვევებსა და გენინსპექციის საქვეუწყებო დაწესებულებებში მომხდარ კორუფციის და კანონდარღვევების ფაქტებზე უნდა გამახვილდეს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინცპექციის დებულება იუსტიციის სამინისტრომ ახლახან დაამტკიცა. რომლის თანახმადაც, ინსპექციის უფლებები იზრდება. დებულებით, გენერალურ ინსპექციას თავის საქვეუწყებო დაწესებულებებში სამსახურეობრივი კონტროლის განხორციელება ევალება. "ეკონომიკის მინისტრის დავალებით, გენერალურ ინსპექციას შეუძლია ჩაატაროს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამსახურებრივი შემოწმება. მათი საქმიანობის კონტროლი და კანონდარღვევების შემთხვევაში სამსახურებრივი მოკვლევა" - განუცხადა 24 საათს გენერალური ინსპექციის უფროსმა ბესიკ ტრაპაიძემ.

ახალი დებულების დამტკიცების შემდეგ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქვეუწყებო ორგანიზაციების სია გაიზარდა. გენინსპექციის კონტროლის არეალში მოექცა სტატისტიკის დეპარტამენტი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, მთავარი არქმშენინსპექცია და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან გენერალური ინსპექცია შეამოწმებს საფინანსო-ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტს, საქსტანდარტს, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას, პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და დახმარების ცენტრს, საწარმოთა მართვის სააგენტოს, ბორჯომის ცენტრალური პარკის აღდგენისა და განვითარების ფონდს, დიპლომატს, საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრს.

ბესიკ ტრაპაიძის ინფორმაციით, მისი უწყება ძირითადად ყურადღებას კორუფციის ფაქტებზე და ამ უწყებებში მომხდარ კანონდარღვევებზე გაამახვილებს.

# "იტერა" საქართველოს მთავრობას უჩივის

პირველი გვერდიდან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 46 მილიონი აშშ დოლარი 1996-2002 წლებში "იტერას" მიმართ წარმოქმნილი დავალიანებაა, რომელიც დღემდე სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებს ერიცხებათ. 2003 წელს მაშინდელი პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე მომზადდა ხელშეკრულება "იტერასთან", რომელიც არსებული ვალის რესტუქტურიზაციას ითვალისწინებდა. შეთანხმების თანახმად საქართველოს მთავრობას 2003 წლიდან მოყოლებული, მომავალი შვიდი წლის განმავლობაში, ანუ 2010 წლამდე ყოველკვარტლურად უნდა ეხადა ვალის გარკვეული ნაწილი. ხსენებული ვალიდან 14 მილიონი აშშ დოლარის დაფარვა მაშინ ენერგეტიკის სამინისტრომ საკუთარ თავზე აიღო. როგორც დღეს ირკვევა სამინისტროს არც ძველ და არც ახალ ხელმძღვანელობას არც ერთი თეთრი არ გადაუხდიათ. "სამინისტრომ თავის ფინანსურ აგენტად მაშინ დაასახელა შპს "სისტემა" და უნდა მომხდარიყო 14 მილიონი დოლარის 2003-დან 2010 წლამდე გადახდა, რაც არ მოხდა. ამ დროისთვის "იტერა" მოითხოვს 6 მილიონ 42 ათასი დოლარის დაფარვას, ანუ ეს ის თანხაა, რაც ენერგეტიკის სამინისტროს დღემდე დაუგროვდა" - აღნიშნა გაჯიევმა "24 საათთან" საუბრის დროს.

ქართული მხარის წინააღმდეგ რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილ სარჩელს გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, იუსტიციის სამინისტროს დაევალა "იტერას" მიერ საქართველოსადმი წაყენებული პრეტენზიების შესწავლა.

ოფიციალური თბილისის პოზიციით, ენერგეტიკის სამინისტროს, რომელმაც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მოაწერა ხელი ხსენებულ დოკუმენტს და რომლითაც აღიარა დავალიანების გადახდის ვალდებულება, ამის უფლება არ ჰქონდა. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, აღნიშნული შეთანხმება მაშინდელმა მინისტრმა დავით მირცხულავამ კანონდარღვევით გააფორმა.

როგორც ირკვევა ენერგეტიკის სამინისტრო ერთადერთი უწყება არ არის, რომლიდანაც კუთვნილი ვალის ამოღებას "იტერა" სასამართლოს გზით აპირებს.

როგორც თემურ გაჯიევმა "24 საათს" განუცხადა, რუსულ კომპანიას ანალოგიური სარჩელები სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგაც აქვს მომზადებული. "იტერას" მევალეთა გრძელ ნუსხაში მოხვდნენ "რუსთავის მეტალურგიული ქარხანა", სს "აზოტი", "ანგლოილი" და სხვა. თემურ გაჯიევის ინფორმაციით, სულ ქართული კომპანიების მიერ "იტერას" მიმართ დაგროვილი დავალიანება 104 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, რომლის ამოღებას "იტერა" ნელ-ნელა იწყებს. "რაიმე განსაკუთრებული ინტერესი ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ "იტერას" არ გააჩნია. სამინისტრო არ არის პირველი და არც უკანასკნელი. ჩვენი კომპანიის იურიდიულ დეპარტმენტს მომზადებული აქვს რამდენიმე სარჩელი, მათ შორის, "აზოტის" წინააღმდეგ", - აღნიშნა გაჯიევმა.

ერთი საინტერესო დეტალი: გასული წლის მიწურულს, როცა სს "აზოტზე" ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა, "იტერა" ერთ-ერთი იყო, რომელმაც მისი შეძენის სურვილი გამოთქვა. მაშინ რუსული გაზკომპანია, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში "აზოტის" ყველა ვალისა და ქართული მხარის მიერ დაგროვილი სხვა დავალიანებების, მათ შორის - "თბილგაზისა" და "თბილსრესის" ვალების ბოლო თეთრამდე ჩამოწერის პირობას დებდა.

# ახალი ჰიდროელექტროსადგური თრუსოს ხეობაში

### პოტენციური ინვესტორისთვის ბიზნესგეგმა მომზადებულია



ანა შარვაშიძე

*წყლის და მასთან დაკავშირებული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი საქართველოს ბუნებრივ რესურსებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ატმოსფერული ნალექების სიუხვე და მთიანი რელიეფი წყლის პოტენციური ენერგიის დიდ მარაგს განაპირობებს. ქართველი ექსპერტების შეფასებით, საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი, მოთხოვნასთან შედარებით, მნიშვნელოვანი დეფიციტით და ამოუღებელი თანხების დიდი ოდენობით ხასიათდება. შპს "ხევმა," საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, შეიმუშავა ბიზნესგეგმა, რომელიც თრუსოს ხეობაში, კერძოდ მდინარე თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გულისხმობს.*

ამჟამად ქვეყანაში ენერგიის მომხმარებელთა შორის 50-57 პროცენტს მოსახლეობა შეადგენს, სამრეწველო ობიექტების მოხმარების წილი (კომერციული და საბიუჯეტო მომხმარებელთა ჩათვლით) კი 23-30 პროცენტს შეადგენს. ამასთან, ცენტრის ინფორმაციით, ქსელში ტექნიკური და კომერციული დანაკარგები გამომუშავებული ენერგიის 16-20 პროცენტია. სიახლე არ არის, რომ ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს განიცდის საქართველოს მთიანი რეგიონები, **"რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ადგილებზე მეწარმეობის განვითარებას, დასაქმებისა და მიგრაციის მწვავე პრობლემის რეგულირებას,"** - ნათქვამია ბიზნესგეგმაში. აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი მიზანი პოტენციური ინვესტორისთვის პროექტის აღწერილობის და შინაარსის ვრცლად წარდგენაა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე თერგის დინების ზედა წელშია დაგეგმილი. **"ყაზბეგის რაიონის ენერგეტიკული უზრუნველყოფის მიზნით, ეს უბანი მდინარის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალისა და ხელსაყრელი ბუნებრივი და სამშენებლო პირობების გამო ყველაზე პერსპექტიულადაა მიჩნეული. ენერგიის მომხმარებელი ობიექტების მნიშვნელობა და სიახლოვე, ადგილებზე მცირე საწარმოთა ქსელის სწრაფი განვითარების პერსპექტივა, ასევე დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების რეგულირების რეალური შესაძლებლობა, ობიექტის პროექტის რეალიზაცის საკითხს დიდ უპირატესობას ანიჭებს,"** - ნათქვამია პროექტში.

ჰიდროელექტროსადგური ყაზბეგის რაიონის სოფელ ოქროყანის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება. ენერგიის წლიური გამომუშავება სავარაუდოდ 30 მილიონ კილოვატსაათს შეადგენს. **"ჰიდროელექტროსადგურის წლიური მოთხოვნილება მასალებსა და ტექნიკურ საშუალებებზე - 12.500 ამერიკული დოლარი, მომსახურე პერსონალის რაოდენობა - 10, მომსახურე პერსონალის საშუალო წლიური ხელფასი - 36000 ამერიკული დოლარი".**

სავარაუდოდ, ელექტროენერგიის მომხმარებლები დაბა ყაზბეგი, სამთო-სათხილამურო კურორტი გუდაური, 40-მდე სოფელი, მცირე საწარმოები და სავაჭრო ქსელი, სასტუმრო და ტურისტული კომპლექსები, ადმინისტრაციული შენობები, საბაჟო, საკარიერო და სხვა იქნება. ჰეს-ის სრულ სიმძლავრეზე გაყვანის შემდეგ კი, საერთო ქსელის მეშვეობით, ჭარბი ენერგია სარეალიზაციოდ საბითუმო ბაზარს გადაეცემა.

სპეციალურად ამ პროექტის განხორციელებისთვის შპს "ხევი" ელექტროენერგიის გენერაციის საწარმოს ქმნის. იქამდე კი ყველა საქმიანობას შპს "ხევი" აწარმოებს.

პროექტის რეალიზაციისთვის 5,5 მილიონი ამერიკული დოლარია საჭირო, რომლის 35 პროცენტი, ანუ 1950000 ამერიკული დოლარი ტექნოლოგიური და მანქანა-დანადგარების შეძენაზე დაიხარჯება. კიდევ 3575000 დოლარი პროექტირების, სამშენებლო და სამონტაჟო გამშვებგასამართი სამუშაოების ჩასატარებლად, ასევე გზებისა და დროებითი ნაგებობების ასაშენებლად და მოსაწყობადაა გათვალისწინებული.

ენერგიის სარეალიზაციო ფასს შპს "ხევი" განსაზღვრავს. კერძოდ, ტარიფი შემდეგი პრინციპით გამოითვლება: ფასს დამატებული საწარმოო დანახარჯები. როგორც პროექტშია აღნიშნული, შესაძლოა, მომხმარებლისათვის გამოყენებული იქნას ფასწარმოქმნის "ელასტიური" სტრატეგია, რომელიც ბაზარზე მოთხოვნილებასა და მოწოდების ფარდობაზე სწრაფად რეაგირებს. **"არ არის გამორიცხული, გამოყენებული იქნეს "პრესტიჟული ფასის" სტრატეგიაც იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც მზად არიან, ენერგია გაზრდილი ტარიფით შეიძინონ. გარკვეულ შემთხვევებში გამოყენებული იქნება "სახელშეკრულებო ფასის" ვარიანტიც, რომლის დროსაც ტარიფის შემცირებაა ნავარაუდევი. სამომავლოდ გამოყენებული იქნება გრძელვადიანი "მყარად ჩამოყალიბებული" ფასების სისტემაც,"** - ნათქვამია დოკუმენტში.

გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ჰესი სახელმწიფო მაგისტრალური ქსელით, გამომუშავებულ ჭარბ ენერგიას შეღავათიანი ტარიფებით ენერგობაზარს გადასცემს. წყალმცირეობის პერიოდში (იანვარი, თებერვალი, მარტი) კი გაცემული ჭარბი ენერგიის სანაცვლოდ, ლოკალური ქსელი საერთო სისტემიდან დეფიციტის შესავსებ ენერგიას მიიღებს.

როგორც პროექტშია ნათქვამი: **"ვვარაუდობთ, რომ ობიექტის ფუნქციონირების დაწყებისათვის ენერგიის წლიური მოხმარება რეგიონში გაიზრდება 30.000.000 კვტ/საათამდე. ბაზრის წილი, რომლის დაუფლებასაც ჩვენ ვვარაუდობთ, შეადგენს საპროგნოზო მოცულობის 20-30%-ს."**

შემოსავლების მიღება ჰეს-ის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციის შედეგად მოხდება. დღეისთვის საქართველოში მარეგულირებელი კომისიის მიერ შემდეგი ტარიფია დადგენილი - 0,124 ლარი კვტ/ს (0,06 ამერიკული დოლარი კვტ/ს) ქალაქებისათვის, ხოლო რაიონებისათვის 0,08 ლარი კვტ/ს (0,036 ამერიკული დოლარი). პროექტის ავტორების თქმით, უახლოეს მომავალში ტარიფების გაზრდაა მოსალოდნელი, რის გამოც მოყვანილი პროგნოზები "სიფრთხილეს" მოითხოვს.

## სარკინიგზო გადაზიდვები გაიზარდა

2006 წლის სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) მონაცემებით, შპს "საქართველოს რკინიგზის" სატვირთო გადაზიდვების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველოს რკინიგზით გადაზიდულია 5 მლნ. 110 ათასი ტონა ტვირთი, მათ შორის მხოლოდ მარტის თვეში გადაზიდულია 1 მლნ. 930 ათასი ტონა ტვირთი.

საერთო გადაზიდვამ სამი თვის განმავლობაში გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 1 მლნ. 600 ათასი ტონით გადააჭარბა. (2005 წლის პირველ კვარტალში გადაიზიდა 3 მლნ. 484 ათასი ტონა ტვირთი).

რაც შეეხება ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს 2006 წლის სამი თვის მონაცემებით, გადაზიდულია 3 მლნ. 300 ათასი ტონა ტვირთი. 2006 წლის პირველ კვარტალში შემოსავლებმა სატვირთო გადაზიდვებიდან 60 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა. დღეისათვის საქართველოს რკინიგზით დღე-ღამის განმავლობაში, ორივე მიმართულებით (აღმოსავლეთი-დასავლეთი) საშუალოდ, 50 სატვირთო მატარებელი მოძრაობს. ძირითადი წილი ტვირთებისა გადაიზიდება აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან, ტაჯიკეთიდან და ა.შ.

რუსეთიდან ტრანზიტით, საქართველოს რკინიგზის გავლით, გადაიზიდება როგორც მშრალი (ხორბალი, ფქვილი) ასევე, თხევადი ტვირთები (მაზუთი).

ტვირთბრუნვამ მნიშვნელოვნად მოიმატა ილიჩოვსკისა და ვარნის საბორნე გადასასვლელებიდან, შესაბამისად სრული დატვირთვით მუშაობს ბათუმისა და ფოთის საბორნე გადასასვლელები და სატვირთო სადგურები. მიღებული ტვირთი დანიშნულებისამებრ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შუა აზიის რესპუბლიკების მიმართულებით მოძრაობს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## "ვარკეთილის ღვინის ქარხანის" შესყიდვის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

შპს "ვარკეთილის ღვინის ქარხანა" კონკურსის წესით იყიდება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ქარხნის შესყიდვის მსურველთა განაცხადების მიღება გუშინ დაიწყო. ქარხნის საწყისი გასაყიდი ფასი 750 000 დოლარია.

ქარხნის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო 100 %-იან წილს ფლობს და მას მთლიანად ყიდის. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 1 331 970 ლარია, დებიტორული დავალიანება - 614 770 ლარი, ხოლო კრედიტორული - 5 515 ლარი.

ობიექტი მოიცავს შენობა-ნაგებობებს, რომლის საერთო ფართი 13 081 კვადრატული მეტრია და 34 000 კვ.მ მიწის ნაკვეთს. განაცხადების წარდგენის ვადა 4 მაისს 17 საათზე ამოიწურება. კონკურსი კი ამავე დღეს 18 საათზე გიმართება. ობიექტის ყიდვის მსურველმა ბე-ს სახით 80 000 დოლარი უნდა გადაიხადოს. ასევე დაიწყო საპრივატიზაციოს ნუსხაში შეტანილი "ორხევის სატრანსპორტო საწარმოს" შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთის შესყიდვის მსურველთა განაცხადების მიღება. შენობა-ნაგებობების საწყისი გასაყიდი ფასი 200 000 დოლარს შეადგენს. იყიდება თბილისში ხმელინსკის N181-ში მდებარე შენობა-ნეგებობები და მიწის ფართი (2 792კვ.მ), რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 100 000 დოლარია.

იყიდება "ქართული პურის" ყოფილი N9 მექანიკური თონის შენობა-ნაგებობა, რომელიც ჭიჭინაძის ქუჩა N6-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 50 000 დოლარია. ასევე, იყიდება: თბილისში ჩარგლის ქუჩაზე N67-ში მდებარე ორსართულიანი შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 40 0000 დოლარია; კარსანის უმოქმედო ტუბერკულიოზით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულება და მიწის ფართი, რომლის საწყისი ფასი 160 000 დოლარია. ობიექტი მცხეთის რაიონში დაბა ზაჰესში მდებარეობს. სოფელ კოჯორში მდებარე შსს-ს ყოფილი პირველი და მეორე კორპუსები და მიწის ნაკვეთი კი 50 000 დოლარად იყიდება. აღნიშნულ ობიექტებზე განაცხადების წარდგენის ვადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 4 მაისს 17 საათზე იწურება, აუქციონი კი ამავე დღეს 18 საათზე გაიმართება.

აღნიშნული პრივატიზაციიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტში ნახევარ მილიონ დოლარზე მეტის მობილიზებას გეგმავს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## Nokia მობილურების გაყიდვის 15 პროცენტით გაზრდას ვარაუდობს




კომპანია Nokia-მ მსოფლიოში მობილური ტელეფონების გასაღების მაღალი ტემპით გაზრდის შესახებ პროგნოზი გააკეთა. როგორც ფინური კომპანიის აქციონერთა ყოველწლიურ შეკრებაზე აღმასრულებელმა დირექტორმა იორმა ოლილამ განაცხადა, მიმდინარე წელს ბაზარი არა 10 პროცენტით - 795 მილიონ აპარატამდე, არამედ 15 პროცენტით გაიზრდება. Nokia-ს თავკაცის თქმით, ამის მიზეზი განვითარებად ქვეყნებში მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რაოდენობის საოცარი ტემპით ზრდაა.

ამასთან, ოლილამ აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე Nokia მთელს მსოფლიოში 100 მილიონამდე ვიდეოკამერიანი მობილური ტელეფონის გაყიდვას აპირებს. მისი პროგნოზით, 2008 წლისათვის მსოფლიოში მობილური კავშირგაბმულობის მომხმარებელთა რიცხვი 1 მილიარდით გაიზრდება და 3 მილიარდს მიაღწევს.

## ჩინეთი რუსულის გარდა თურქმენულ გაზსაც იყიდის



თურქმენეთის ლიდერი საპარმურატ ნიაზოვის პეკინში ვიზიტისას გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თურქმენეთი ჩინეთს წელიწადში 30 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის. გარიგების ფინანსურ მხარეზე ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა, სავარაუდოდ, ჩინელებს 1000 კუბური მეტრი თურქმენული გაზი 80 დოლარი დაუჯდებათ.

აქამდე ცნობილი იყო, რომ რუსული გაზის გარდა, ჩინეთი, რომელიც თავისი სწრაფად მზარდი ეკონომიკისათვის ენერგომატარებლებით უზრუნველყოფით ძალიან არის დაინტერესებული, წელიწადში 30-40 მილიარდი კუბური მეტრი თურქმენული გაზის შეძენას აპირებდა. როგორც ხედავთ, დაგეგმილთან შედარებით რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩინეთსა და თურქმუნეთს (თურქმენული გაზის რეზერვი 20,4 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს) შორის ახალი გაზსადენის აშენების შესახებ.

# მექაღალდეობიდან ციფრულ ტექნოლოგიებამდე

პირველი გვერდიდან

### ტყიდან გამოსული



"ნოკიას" დაარსების თარიღად 1865 წლის 12 მაისი ითვლება. სწორედ მაშინ ფინელმა სამთო ინჟინერმა ფრედერიკ იდესტამმა მდინარე ნოკიას სანაპიროზე ხის გადამამუშავებელი ქარხანაააშენა. ასე ჩაეყარა საფუძველი "ნოკია კორპორეიშენს".

აღნიშნულ პერიოდს მრეწველობის სწრაფი ზრდა დაემთხვა, რის გამოც ქაღალდსა და მუყაოზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდებოდა. მალე პატარა ქარხნის ადგილას ქაღალდის უზარმაზარი კომბინატი გაჩნდა, რომლის გარშემო თანდათანობით გაშენდა იმავე დასახელების ქალაქი ნოკია.

"ნოკიას" ქაღალდმა ადგილობრივი ბაზარი სწრაფად დაიპყრო და მალე ექსპორტირების საკითხიც დადგა. პირველად "ნოკიას" პროდუქცია რუსეთში შეიტანეს, შემდეგ კი ფინელებმა თანდათანობით აითვისეს ფრანგული, ინგლისური, დანიური, პოლონური, გერმანული და ჩინური ბაზარიც კი.

ამასობაში, ოკეანის გაღმა, ამერიკაში ფრენკ სეიბერლინგმა დაარსა ფირმა Goodear, რომელიც მალე მსოფლიოში რეზინის მწარმოებელ უმსხვილეს კომპანიად იქცა. მასთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ფინურმა ფირმამ FRW, რომელიც რეზინის მწარმოებელი პირველი ადგილობრივი კომპანია იყო და სწრაფად ვითარდებოდა. მალე მისმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა თავისი წარმოება ჰელსინკიდან ქალაქგარეთ გადაეტანა და არჩევანი "ნოკიას" მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე შეაჩერა. ამის მიზეზი მექაღალდეებისაგან ელექტროენერგიის იაფად შესყიდვის შესაძლებლობა გახლდათ. მდინარე ნოკია მხოლოდ ლანდშაფტის მშვენება არ იყო - ელექტროენერგიასაც გამოიმუშავებდა.

1912 წელს ჰელსინკის ცენტრში გაიხსნა კომპანია Finnish Cable Works, რომლის სწრაფ განვითარებას ხელი ელექტროენერგიის გადაცემის და სატელეგრაფო და სატელეფონო ქსელების ზრდამ შეუწყო და მალე ფინურ ბაზარზე სადენების უმსხვილეს მწარმოებლად იქცა. 1920 წელს Nokia Corporation, FRW და Finnish Cable Works გაერთიანდნენ კოალიციაში, რომელსაც Nokia Group ეწოდა.

მართალია, "ნოკიამ" თავისი კორპორაციული ავტონომია დაკარგა, მაგრამ მისი სახელწოდება სამი ფირმის საერთო ფუნდამენტად იქცა. Nokia Group თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით ლიდერად იქცა და საკმაოდ იოლად გადაიტანა დიდი დეპრესიის, საბჭოთა კავშირის შეჭრისა და ომის პერიოდი. ამის მიზეზი კომპანიის მრავალმხრივობა გახლდათ: თუ მის რომელიმე სექტორს ჩავარდნის ხანა უდგებოდა, "ნოკია" კომპენსირებას სხვა მიმართულებათა ხარჯზე ახდენდა.

### "ნოკია" და მობილური კავშირი

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში Finnish Cable Works-ის პრეზიდენტმა ბიორნ ვესტერვულდმა შექმნა ელექტრონიკის განყოფილება, რომელმაც ნახევარგამტარების სფეროს შესწავლა დაიწყო. განყოფილების გამგე კურტ ვიკსტენდტი უმალ მიხვდა, რომ ელექრონულ კავშირს უდიდესი მომავალი ჰქონდა და მუშაობა საჭირო მიმართულებით წარმართა.

1963 წელს სწორედ ამ განყოფილებამ შექმნა პირველი რადიოტელეფონი, ორი წლის შემდეგ კი მონაცემთა გადამცემი მოდემი. მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო კომპანიების უმრავლესობა საქმეს მეტად კონსერვატიულად უდგებოდა და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის არანაირი სურვილს არ ამჟღავნებდა, "ნოკია" მაინც შეუდგა იმპულსურ-კოდურ მოდულაციაზე დამყარებული ციფრული კომუტატორის შექმნას. 1969 წელს აღნიშნული სისტემა შეიქმნა, რასაც ორი წლის შემდეგ "ინტელის" მიკროპროცესორით აღჭურვილი DX200 მარკის კომუტატორის გამოშვება მოჰყვა. ეს რევოლუციური ნაბიჯი ყოველმხრივ წარმატებული აღმოჩნდა და მან "ნოკიას" საყოველთაო აღიარება მოუტანა.

შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია კვლავინდებურად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა, ათასგვარ სიახლეს ნერგავდა და შედეგმაც არ დააყოვნა: 1981 წელს ფინეთსა და შვედეთში შეიქმნა მობილური კავშირგაბმულობის ქსელი, რომელსაც Nordic Mobile Telephony (NMT) ეწოდა. "ნოკიას" ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ეს სისტემა სწრაფად გაფართოვდა, სხვა ქვეყნებიც მოიცვა, მობილური კავშირის პირველ ეგზომ ფართო ქსელად იქცა და საფუძველი ჩაუყარა მობილური ტულეფონების ინდუსტრიას.

1987 წელს, როცა წარმოებული მობილური ტელეფონების უმრავლესობა დიდი გაბარიტებით და წონით გამოირჩეოდა, "ნოკიამ" პირველმა მსოფლიოში გამოუშვა კომპაქტური და მსუბუქი აპარატი, რითაც ბაზრის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება მოახერხა.

80-იანი წლების ბოლოს ევროპული ბაზრების თანდათანობითმა გაერთიანებამ აუცილებელი გახადა მობილური კავშირის ერთიანი ციფრული სტანდარტის შემუშავება, რომელსაც მოგვიანებით GSM (Global System for Mobile Communications) ეწოდა.

სწორედ "ნოკიამ" და სხვა ორმა ფინურმა ოპერატორმა შექმნეს 1989 წელს ამგვარი კავშირი, რომლითაც საფუძველი ჩაუყარეს GSM სტანდარტის ქსელის ჩამოყალიბებას. სატელეფონო კავშირების მრავალწლიან მონოპოლისტთან, სახელმწიფოს ფავორიტ Telecom finland-თან კონკურენციისას წამგებიან პოზიციაში რომ არ აღმოჩენილიყო, მობილური კავშირგაბმულობის პროვაიდერებმა Helsinki Telephone Corporation და Tampere Telephone Company-მ შექმნეს კომპანია Radiolinja, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქსელის შესაქმნელად საჭირო ლიცენზია არ გააჩნდა, "ნოკიასაგან" 50 მილიონ დოლარად ინფრასტრუქტურა შეიძინა.

1990 წელს "ნოკიას" მობილური ტელეფონების განყოფილება იორმა ოლილას ჩააბარეს. სწორედ მის სახელს უკავშირდება ციფრული კავშირის განვითარების თვალსაზრისით "ნოკიას" შემდგომი მუშაობა.

ოლილას შრომამ ნაყოფი გამოიღო: 1991 წლის 1 ივლისს GSM-ის კომერციული ქსელით "ნოკიას" ტელეფონით პირველად დარეკა ფინეთის პრემიერმინისტრმა. ამგვარმა აღიარებამ კომპანიის დირექტორთა საბჭოზე დიდი გავლენა მოახდინა და ერთი წლის შემდეგ "ნოკიას" გენერალურ დირექტორად იორმა ოლილა დაინიშნა, რომელსაც ეს პოსტი დღემდე უჭირავს.

"ნოკიამ" უმტკივნეულოდ გადაიტანა ფინეთის ეკონომიკური კრიზისი და ტელევიზორების წარმოების მხრივ ევროპის მესამე უმსხვილესი კომპანია გახდა. გარდა ამისა, ერთობ პოპულარული იყო კომპანიის მიერ გამოშვებული თანამგზავრული კავშირის სისტემები და რეზინისა და ქაღალდის ნაწარმი. მიუხედავად ამისა, ოლილამ გადაწყვიტა კომპანიის უმთავრეს საქმიანობად ტელეკომუნიკაციების წარმოება ექცია. ამ საქმეში "ნოკიამ" მილიარდობით დოლარი დააბანდა და მალე ევროპის 31 ქვეყნის 59 ოპერატორისათვის GSM სისტემების მიმწოდებელი გახდა.

90-იანი წლების ბოლოს "ნოკია" ციფრული კავშირის მსოფლიო ბაზრის ლიდერად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ყველა ძირითადი სტანდარტის მობილური ტელეფონის წარმოებამ. ამასთან, დღეისათვის მსოფლიოს პოპულარულ მარკებს შორის "ნოკიას" მეთერთმეტე ადგილი უჭირავს და თვით "მერსედესს" უსწრებს.

ამგვარ აღმასვლას ხელი შეუწყო ტექნოლოგიურ და ფუნქციონალურ სიახლეთა გამუდმებულმა დანერგვამ და სეგმენტირების სწორმა პოლიტიკამ. ამიტომაცაა, რომ "ნოკია" დღეს ისეთივე ცნობილი მარკაა, როგორიც "კოკა კოლა". თვით ამერიკელებმაც კი აღიარეს, რომ ციფრული კავშირგაბმულობის მომავალი ევროპას ეკუთვნის, რასაც ბებერი კონტინენტი სწორედ "ნოკიას" უნდა უმადლოდეს.



ფრედერიკ იდესტამი



ამერიკაში ფრენკ სეიბერლინგმა (მარცხნიდან მეორე) დაარსა ფირმა Goodear

## აშშ-ს საფონდო ინდექსები გაიზარდა

ორშაბათს აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა, რაც სატელეკომუნიკაციო სისტემების ფრანგული მწარმოებლის Alcatel-ის და ამერიკული Lucent Technologies წინასწარ დაგეგმილი შერწყმის განხორციელებამ და General Motors Corp-ის მიერ ფინანსური ქვეგანყოფილების აქციების გაყიდვამ განაპირობა.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს უმსხვილესი ღვინისმწარმოებელი კომპანია Constellation Brands Inc კანადური კომპანია Vincor International Inc-ის შეძენას აპირებს. ეს გარიგება უახლოეს მომავალში განხორციელდება და 1,23 მილიარდი დაჯდება.

საბოლოოდ, თბილისის დროით 17.33-ისათვის Dow Jones Average Index 0,57 პროცენტით, 11.172,39 პუნქტამდე გაიზარდა, Nasdaq Composite Index-მა კი 0,46 პროცენტით მოიმატა და 2.350,62 პუნქტს მიაღწია.







## General Motors-მა ფინანსური ქვეგანყოფილება გაყიდა




მსოფლიოს უმსხვილესმა ავტომწარმოებელმა General Motors Corp-მა თავისი ფინანსური ქვეგანყოფილების, General Motors Acceptance Corp-ის (GMAC) აქციების 51 პროცენტი კონსორციუმს მიჰყიდა, რომელსაც სათავეში ფონდი Cerberus Capital Management LP უდგას მასში შედიან Citigroup და Ozora Bank LTD.

გარიგების ღირებულებამ 14 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამ თანხის გადახდას მყიდველი სამი წლის განმავლობაში განახორციელებს. ამასთან, კონტრაქტში შევიდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც GMAC ათი წლის განმავლობაში GM-ს კვლავინდებურად მოემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ამ გარიგების განხორციელების შემდეგ GM-ის აქციების ფასმა არასაბირჟო ვაჭრობაზე 3,7 პროცენტიც მოიმატა.

## თურქული ბანკი ბერძნებს დარჩა

საბერძნეთის National Bank-მა თურქული Finansbank-ის აქციების 46 პროცენტი 2,3 მილიარდ ევროდ შეიძინა. ცნობილი გახდა, რომ წლის მეორე ნახევარში ბერძნული მხარე თავისი წილის საკონტროლო პაკეტამდე გაზრდას შეეცდება.

გასული კვირის ბოლომდე Finansbank-ის შეძენის ფავორიტად მსოფლიოს უმსხვილესი საფინანსო-საინვესტიციო ფონდი Citigroup ითვლებოდა, რომელსაც უკვე აქვს შვილობილი ბანკი თურქეთში. მაგრამ ქონება საბოლოოდ საბერძნეთის ყველაზე დიდ ბანკს დარჩა.

Finansbank-ის აქციების 55,68 პროცენტი თურქეთში განთქმულ ოზეგინების ოჯახის კუთვნილება იყო, 3,21 პროცენტი სადაზღვევო კომპანია Aviva-სი, დანარჩენი კი საფონდო ბირჟაზე ტრიალებდა. სავარაუდოდ, ოზეგინები აქციების მცირე პაკეტის შენარჩუნებას მაინც შეეცდებიან.

## "ელექტროკავშირით" რუსეთის, აშშ-ს, თურქეთის და ევროპული ქვეყნების კომპანიები ინტერესდებიან

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (ელექტროკავშირის) გაყიდვის მიზნით აუქციონი გამოაცხადა. კომპანიის საწყისი გასაყიდი ფასი 50 მილიონი დოლარით განისაზღვრა.

საკონკურსო პირობების მიხედვით, მყიდველმა ს/ს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საქმიანობა და მომსახურების არეალი 3 წლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოს.

დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება 12 აპრილიდან დაიწყება და 12 მაისამდე გაგრძელდება. ტენდერი 12 მაისს ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი.**

## "სკადას" სისტემის მართვის ფარის დამონტაჟებაზე სამი უცხოური კომპანია აცხადებს პრეტენზიას

კონკურსში მონაწილეობენ კომპანია "ABB" (შვეციის ოფისი), კომპანია "სიმენსი" (ავსტრიის ოფისი) და კომპანია "არევა" (საფრანგეთი). კონკურსში მონაწილე კომპანიების მიერ სატენდერო კომისიაში წარდგენილი ფინანსური და ტექნიკური წინადადებები 19 აპრილს გაიხსნება.

19 აპრილს გაირკვევა კონკურსში მონაწილე კომპანიები "სახელმწიფო ელექტროსისტემას" "სკადას" დამონტაჟებისათვის რა ოდენობის თანხას მოსთხოვენ. სატენდერო კომისია კონკურსში გამარჯვებულს, სავარაუდოდ, 19 მაისამდე გამოავლენს.

გამარჯვებულმა კომპანიამ სამონტაჟო სამუშაოები წელსვე უნდა დაიწყოს, რათა მართვის ფარი ცენტრალურ სადისპეტჩეროს 2007 წლის ბოლოს, ან 2008 წლის დასაწყისში ჰქონდეს.

უახლესი ტექნოლოგიის, ე.წ. "სკადას" სისტემის მართვის ფარის დამონტაჟებას მსოფლიო ბანკისა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მიერ დაფინანსებული "საქართველოს ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" ითვალისწინებს. მართვის ფარის შეცვლასთან ერთად, პროექტის ფარგლებში, მაღალი ძაბვის ქვესადგურების გამრიცხველიანება და სისტემაში კავშირგაბმულობის რეაბილიტაცია იგეგმება.

"სკადას" სისტემის დახმარებით, მართვის ფარზე ინფორმაცია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის, ან სატელიტის მეშვეობით შევა. სისტემა მთლიანად კომპიუტერიზებული იქნება.

"ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" მსოფლიო ბანკმა 2001 წლის დასაწყისში დააფინანსა, თუმცა, პარლამენტმა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია 2002 წლის აპრილში მოახდინა. მსოფლიო ბანკთან ერთად, პროექტს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს.

მსოფლიო ბანკმა ენერგოსისტემის რეფორმირებისთვის საქართველოს 27 მილიონი დოლარი უნდა გამოუყოს, ხოლო KFW-მა - 25 მილიონი გერმანული მარკა. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", სადაც "სკადას" სისტემის მართვის ფარი უნდა დამონტაჟდეს, 5 წლით ირლანდიული კომპანია "ESBI Georgia" მართავს. **ინტერპრესნიუსი.**

## მორიგი ბიზნეს-ფორუმი ათენში ჩატარდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, მსხვილი საპრივატიზაციო ენერგეტიკული ობიექტების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მორიგ ბიზნესფორუმს დღეს ათენში გამართავს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის, ირაკლი ჩოგოვაძის განაცხადებით, "უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად მეტი მონაწილე მოვიზიდოთ პრივატიზაციის პროცესში".

აპრილის ბოლოს ფორუმის ჩატარება ბრიუსელში, მაისში კი ლონდონშია დაგეგმილი.

ბიზნესფორუმს ქართული კომპანიები და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები დაესწრებიან. ბიზნესფორუმზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო კლიმატისა და ბიზნესგარემოს შესახებ, ასევე იმ გატარებულ და დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მიზნით ატარებს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## ამინდი

| | 4/04 | 5/04 | 6/04 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 13 | 10 |
| რიგა | 5 | 5 | 7 |
| ვილნიუსი | 6 | 7 | 7 |
| მოსკოვი | 5 | 8 | 7 |
| მინსკი | 9 | 8 | 5 |
| პარიზი | 6 | 3 | 7 |
| რომი | 21 | 17 | 21 |
| ლონდონი | 6 | 6 | 8 |
| მადრიდი | 22 | 13 | 16 |
| ბონი | 8 | 5 | 7 |
| ვარშავა | 5 | 7 | 6 |
| ათენა | 22 | 23 | 21 |
| ბერნი | 16 | -2 | 0 |
| ამსტერდამი | 3 | 3 | 1 |
| ოსლო | 2 | 3 | 1 |
| ანკარა | 20 | 19 | 24 |
| ვარნა | 16 | 16 | 16 |
| დელი | 39 | 40 | 40 |
| ტოკიო | 20 | 12 | 19 |
| კოპენჰაგენი | 0 | 1 | 0 |
| ბაქო | 18 | 17 | 16 |
| ერევანი | 18 | 17 | 21 |
| ასტანა | 10 | 1 | -9 |
| ჰელსინკი | 0 | -5 | -6 |
| დუბლინი | 3 | 4 | 3 |
| ლისაბონი | 19 | 16 | 20 |
| პრაღა | 7 | -2 | 7 |
| სოფია | 14 | 18 | 15 |
| ბუდაპეშტი | 14 | 13 | 7 |
| ბუხარესტი | 23 | 20 | 20 |

# "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბში სამუშაოები იწყება

ქართველი და უცხოელი ექსპერტები "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბში მუშაობას იწყებენ. "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის აღმასრულებელი დირექტორის მალხაზ ცქვიტიშვილის განცხადებით, გვირაბის წყლით დაცლა გუშინ დასრულდა, შესაბამისად მაშინვე, გვიან ღამით, ქართველი და უცხოელი ექსპერტები დათვალიერების მიზნით გვირაბში შევლენ.

"გვირაბის რეაბილიტაცია სამი თვის განმავლობაში 24-საათიან რეჟიმში განხორციელდება. ქართველ ექსპერტებთან ერთად გვირაბის ტექნიკურ მდგომარეობას გერმანელი, შვეიცარიელი და ბრიტანელი ექსპერტები შეისწავლიან. ისინი ორ-სამ დღეში გვირაბის რეაბილიტაციის პროგრამას დახვეწავენ და დააკონკრეტებენ", - განაცხადა ცქვიტიშვილმა. მისი თქმით, სპეციალისტებს გვირაბის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ 1997 წლის ინფორმაცია გააჩნიათ, ამიტომ ამ მონაცემების საფუძველზე შექმნილი რეაბილიტაციის გეგმის დაზუსტება აუცილებელია.

"ვიდრე სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია "საქჰიდრო" გვირაბში მოწყობილობებს, პლატფორმებს შეიტანს და ელექტროქსელს გაიყვანს, ექსპერტები პროგრამას დააზუსტებენ", - განაცხადა ცქვიტიშვილმა.

სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით, "ენგურჰესი" 28 მარტს გაჩერდა. ჰესი მუშაობას, სავარაუდოდ, 15 ივლისიდან განაახლებს. "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ დაფინანსებული "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ხორციელდება. სარემონტო სამუშაოებს ქართული კომპანია "საქჰიდრო" ჩაატარებს. გვირაბის რეაბილიტაციისათვის 10 მილიონი ლარი დაიხარჯება.

შეგახსენებთ, რომ "ენგურჰესის" გაჩერება და მისი სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სისტემატურად იგეგმებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ ქვეყანაში მწვავე ენერგოკრიზისი არ შექმნილიყო, ჰესის გაჩერება ყოველწლიურ გადავადებას ექვემდებარებოდა. **ინტერპრესნიუსი.**

# ტექნოლოგიების განვითარების ევროპული მოდელი ქართული რეალობის ფონზე

### ქართველ მეცნიერებს და კომპანიებს საქმიანობის დაფინანსების შანსი ეძლევათ

ნინო ნარჩემაშვილი

*თანამედროვე გლობალურ ბაზარზე ის კომპანიები და კორპორაციები ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების განვითარებითა და პრაქტიკაში მათი ეფექტური დანერგვით არიან ცნობილნი. თუმცა ინოვაცია მარტო კორპორაციების კვლევითი განყოფილებების "თავსატეხი" როდია, არამედ ის აღიარებულია, როგორც ერის თავმოყვარეობისა და მომავლისადმი ზრუნვის ყველაზე ნათელი მაგალითი, როცა უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც ეროვნულ, ასევე ზოგადად რეგიონულ განვითარებას.*

რამდენიმე წლის წინ, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის გადაცემის პროფესიონალთა ასოციაციის (ASTP) შექმნა ევროპაში ინოვაციის მნიშვნელობის აღიარების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ასოციაციაში გაერთიანდნენ ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციები: ინსტიტუტები, ფონდები, ასოციაციები და ა.შ. ამ ორგანიზაციის მთავარი დანიშნულებაა პოტენციური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, რაც სპეციალური ფონდებიდან საკვლევი გრანტების მიღებით მიიღწევა. კომპანია და კვლევითი ინსტიტუტი ან ლაბორატორია ერთობლივად აყალიბებს პროექტს და მას წარადგენს ეროვნულ თუ საერთო ევროპულ ფონდებში, საიდანაც მათი დამტკიცების შემთხვევაში გამოიყოფა მოთხოვნილი დაფინანსება.

ორგანიზაციების დამაკავშირებელი რგოლია ASTP-ში მონაწილე ტექნოლოგიური პარკები, ინკუბატორები და სხვა სახის გაერთიანებები თავისი ინტეგრირებული ქსელით (სადაც შედის მრავალი კვლევითი ინსტიტუტი, კომპანია, მეცნიერი, ფონდი და სხვა). ისინი მოკლე დროში ახერხებენ მკვლევართა, საგრანტო ფონდებისა და დაინტერესებული კომპანიების ერთობლივი ძალისხმევის ორგანიზებას, რის შედეგადაც მიიღება კონკრეტული ინოვაციები. საქართველო ამ "ფუფუნებას" მოკლებულია. თუმცა არსებობს ორგანიზაცია, პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA), რომლის ერთ-ერთი მიზანი (მენეჯერული კადრებისა და ბიზნესკონსულტანტების მომზადების გარდა) სწორედ ინოვაციებისა თუ ახალი იდეების განხორციელების ხელშეწყობა გახლავთ.

CERMA-ს ბიზნეს-კონსულტანტი ირაკლი ქარუმიძე აღნიშნავს, რომ "საქართველოში არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ჩვენი ქვეყანა თავისი სამეცნიერო პოტენციალით ჩაერთოს გლობალურ პროცესში და საერთაშორისო სამეცნიერო წრეების სრულყოფილი წევრი გახდეს. ამისათვის არის მოწოდებული CERMA-ს მიერ შექმნილი "ტექნოლოგიური ბიზნეს ინკუბატორი", რომლის მეშვეობითაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ექნებათ დაუკავშირდნენ პოტენციურ პარტნიორებს, იმუშაონ საერთო პროექტებსა თუ კონკრეტულ კვლევით თემებზე.

CERMA-ს არა მარტო ფონდების მოზიდვისა და ქართული Spin-off-ების უცხოურ პოტენციურ პარტნიორებთან დაკავშირების უნარი შესწევს, არამედ შეუძლია უზრუნველყოს ამ პროექტების ეფექტური მართვა, რაც საბოლოო შედეგების მიღწევის სერიოზული წინაპირობა იქნება".

CERMA-ს მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობმა ჯგუფმა ჩაატარა ბაზრის კვლევა და დაადგინა, რომ ქართველი მეცნიერებისათვის დახმარების გაწევა მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტების საცდელი ნიმუშების დამზადებითა და მათი მსოფლიო ბაზარზე გატანით არის შესაძლებელი.

საქართველოს დელეგაცია, პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის წარმომადგენლების სახით, პირველად ASTP-ის კონფერენციაზე 2004 წლის შემოდგომაზე მოხვდა. ირაკლი ქარუმიძე აღნიშნავს, რომ CERMA გეგმავს ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების შესწავლას და მაღალტექნოლოგიურ ინკუბატორში ახალი კომპანიების ჩართვას, რაც მიმართული იქნება მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.

ახლახან, CERMA-ს ბიზნესკონსულტანტები და ამ ინკუბატორში მონაწილე მეცნიერები სხვადასხვა მიმართულების ბერძნულ და დანიურ კომპანიებში იმყოფებოდნენ. ვიზიტის დროს შედგა შეთანხმება - აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვლენ და გამართავენ კონფერენციას ტექნოლოგიური ტრანსფერის საკითხებზე, ასევე მოხდება გამოცდილების გაზიარება ინკუბატორის მენეჯმენტთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტის დროს უკვე გამოითქვა ერთობლივი საწარმოების შექმნის სურვილი. კერძოდ, ბერძნულ-კანადური კომპანია "პიროგენესი", რომელიც დაკავებულია საგნების დაფერვით (პლაზმური გაფრქვევით) და ცვეთამედეგი საგნების წარმოებით, დაინტერესდა ქართული "სალიტონის" მიერ წარმოებული ფხვნილებით, რომლებიც დაფუძნებულია ნანოტექნოლოგიაზე.

"ჰოლორეტეკიც" ბიზნესინკუბატორში მონაწილე კომპანიაა, რომლის დამფუძნებლები არიან საქართველოს კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში მომუშავე მეცნიერები. ამ კომპანიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის სერმა-მ შეარჩია კომპანია "ღისო", რომელსაც პოლარიზაციულ ჰოლოგრაფიაში დიდი გამოცდილება აქვს. იგი ამ მიმართულებით მსოფლიოში ცნობილი კომპანიაა. ამ კომპანიაში "ჰოლორეტეკის" საქმიანობის პრეზენტაციის შემდეგ კომპანიის წარმომადგენელი დაინტერესდა "ჰოლორეტეკის" დინამიური პოლარიზაციის საკითხებით და სურვილი გამოთქვა, ჩამოვიდეს თბილისში "ჰოლორეტეკის" ლაბორატორიაში, აღნიშნული მიმართულებით ერთობლივ პროექტზე მუშაობის დასაწყებად.

# ახალი ეკონომიკური მიმართულება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

ანა შარვაშიძე

*ეკონომიკის მშენებლობა კვალიფიციური კადრების გარეშე წარმოუდგენელია. ამ პირობებში კი უმაღლეს საგანმანათებლო სისტემას უდიდესი როლი ეკისრება. საინტერესოა, რომ გასულ წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "საქართველოს ეკონომიკის" კათედრა დაარსდა, მაგისტრატურაში კი "ეკონომიკური პოლიტიკის" სპეციალობა გაიხსნა. აღნიშნული ინიციატივა უნივერსიტეტის პროფესორს რევაზ გველესიანს ეკუთვნის. ეს უკანასკნელი წლების მანძილზე გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა.*

"ეკონომიკური პოლიტიკის" მიმართულება ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სტრატეგიული მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას გულისხმობს. ამის შედეგად კურსდამთავრებულმა არა მარტო საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სისტემური ანალიზი, არამედ სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზება უნდა შეძლოს. "ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი მნიშვნელოვნად სცილდება ცალკეული დისციპლინების საზღვრებში შემუშავებული პოლიტიკის მასშტაბებს, მათ შორის სტაბილიზაციის, საფინანსო, სავაჭრო და სხვა სახის პოლიტიკას. ფაქტობრივად, ეკონომიკური პოლიტიკა სხვადასხვა სახის პოლიტიკათა მაინტეგრირებელი სისტემური ხასიათის ფენომენია," - ამბობს რევაზ გველესიანი.

ეკონომიკური პოლიტიკა პრინციპულად ახალ მიმართულებად და სპეციალობადაა მიჩნეული არა მხოლოდ ევროპაში, არამედ რუსეთსა და უკრაინაშიც, რომელიც XXI საუკუნის ეკონომიკის სტრატეგიულ მმართველთა მომზადებას უზრუნველყოფს.

საქართველოს ეკონომიკის კათედრის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემურ მიმართულებებზეა ორიენტირებული. მათ განხორციელებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კათედრის მიერ გერმანელ მეცნიერებთან ერთად დაარსებული "ეკონომიკური პოლიტიკის, გამოყენებითი ეკონომიკისა და ეკონომიკური განათლების გერმანულ-ქართული კვლევის ცენტრი", აგრეთვე მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასთან მიღწეული შეთანხმება სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის შესახებ.

საინტერესოა, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების პროფესორ-მასწავლებელთათვის ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში 3 წლიანი უფასო პროგრამა ხორციელდებოდა, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში "ეკონომიკური პოლიტიკის" კურსის სწავლებაში აქტიური და კვლევების ინოვაციური მეთოდების დანერგვა-გამოყენებას ითვალისწინებდა. საქართველოს ეკონომიკის კათედრა ამ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობდა.

ბაკალავრიატის დონეზე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყველა სპეციალობისათვის "ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლების" კურსი სავალდებულოა. მაგისტრატურის დონეზე "ეკონომიკური პოლიტიკის" სპეციალობის სტუდენტებისათვის სავალდებულო დისციპლინებია: ეკონომიკური პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, კონკურენციის თეორია და პოლიტიკა, ეკონომიკური რისკების საdaზღვევო პოლიტიკა, ალოკაციისა და დისტრიბუციის პოლიტიკა, კონიუნქტურისა და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა, შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა, ნაციონალური ეკონომიკის პრიორიტეტები, სოციალური პოლიტიკა, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა, რაციონალური მოლოდინისა და საზოგადოებრივი არჩევანის თეორია და პრაქტიკა, საინვესტიციო პოლიტიკა და ინოვაციური პოლიტიკა. არჩევითი დისციპლინები კი შემდეგია: საზოგადოებრივი საქონლისა და საერთო რესურსების გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკა, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა, ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკა, ახალი პოლიტიკური ეკონომია, გლობალური ეკონომიკა, სამართლის ეკონომიკური ანალიზი და ფინანსური ეკონომიკა.

როგორც კათედრაზე განაცხადეს, დოქტორანტურის დონეზე სწავლების კონცეფციაში ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში არსებული გამოცდილება იქნება გათვალისწინებული. ლექციებს კი როგორც მაღალკვალიფიციური ადგილობრივი კადრები, ასევე უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები წაიკითხავენ. კათედრის ცნობით, ამის გარანტიას კათედრის გამგის რევაზ გველესიანის მიერ გერმანელ კოლეგებთან ერთად დაარსებული "ეკონომიკური პოლიტიკის, გამოყენებითი ეკონომიკისა და ეკონომიკური განათლების გერმანულ-ქართული კვლევის ცენტრი" იძლევა "ყოველივე ეს ბოლონიის, სალამანკის, პრაღის, როსკილდის კონვენციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, საუნივერსიტეტო რეფორმისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან ჰარმონიზების დასაწყისია," - განაცხადეს კათედრაზე.

## აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს პრეტენზიები

აშშ-ის ვაჭრობის სამინისტრო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობისა და საინვესტიციო ბარიერების შესახებ მოხსენებას აქვეყნებს, რომლის ერთ-ერთი პუნქტი რუსეთის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს მოიცავს. პრეტენზიები, ძირითადად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების თაობაზე არსებულ მოლაპარაკებების პროცესს შეეხება.

ვაჭრობის სამინისტროს მოხსენების საფუძველზე, აშშ-ს პრეტენზია გააჩნია თითქმის ყველა მიმართულებით - დაწყებული ტელეკომუნიკაციებიდან, ხე-ტყის ექსპორტით დამთავრებული.

ცხადია, რომ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიენების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებამდე ჯერ შორსაა. ვაჭრობის სამინისტროს ყოველწლიური მოხსენება აშშ-სა და მის პარტნიორ კომპანიებს შორის ვაჭრობასა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ პრობლემებს დეტალურად აღწერს.

თუმცა ვაჭრობის სამინისტროს პრეს-რელიზში რუსეთი პრობლემების მთავარი წყაროდ არ მოიაზრება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა 10 წლისთავს აღნიშნავს

ამასთან დაკავშირებით ბიზნეს-პალატის ინიციატივით რამდენიმე ღონისძიებაა დაგეგმილი. საზეიმო ღონისძიება ჯერ რუსთაველის თეატრში გაიმართება, სადაც მონაწილეობას საქართველოსა და ისრაელის ესტრადის ვარსკვლავები მიიღებენ. ბიზნეს პალატა ასევე წარმოადგენს ფილმს, რომელიც ბიზნეს პალატის წევრი კომპანიების პროექტებს ასახავს. იუბილესთან დაკავშირებით ბიზნეს პალატისა და Business Week-ის მიერ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე საიუბილეო ჟურნალი და საიუბილეო დისკი გამოიცემა. დღესვე იუბილის აღსანიშნავი ღონისძიება სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაგრძელდება, სადაც ოფიციალური ნაწილი გაიმართება. ოფიციალურ ნაწილზე სიტყვით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და სხვა საპატიო სტუმრები გამოვლენ.ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშე დღეს ისრაელიდან და მსოფლიო ებრაელობიდან ინვესტორთა ახალი ტალღის შემოსვლის შესახებ გააკეთებს განცხადებას. როგორც ბიზნეს პალატაში აცხადებენ, ამ ათი წლის განმავლობაში პალატის გზით საქართველოში მრავალი უცხოელი ინვესტორი შემოვიდა. პალატაში გაწევრიანებულია ასზე მეტი ადგილობრივი და უცხოური კომპანია. ბიზნეს პალატას ამ ათი წლის მანძილზე იციკ მოშე ხელმძღვანელობს. იგი საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი საერთაშორისო წარმომადგენელი იყო. **ინტერპრესნიუსი.**

## საბაჟო დეპარტამენტმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წლის იანვარ-მარტის საპროგნოზო მაჩვენებელს მნიშვნელოვანად გადააჭარბა. იანვარ-მარტის საპროგნოზო მაჩვენებლით გათვალისწინებული 216 700,0 ათასი ლარის ნაცვლად საბაჟო დეპარტამენტმა ბიუჯეტში 248 577,9 ათასი ლარი შეიტანა, (114,7%), რაც 14,7 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს. მარტში საპროგნოცო მაჩვენებლით, გათვალისწინებული 83 860,0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 105 631,8 ათასი ლარი (126,0N), რაც 26,0 პროცენტით გაზრდილი მაჩვენებელია. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## კორუფციამ სომხეთი 3 მილიარდზე მეტით აზარალა

სომხეთში, ფიზიკური პირების დეკლარირების შესახებ მიღებულ ახალ კანონს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კორუფციასთან ბრძოლის კიდევ ერთ სასარგებლო მეთოდად მიიჩნევენ. სომხეთში კორუფციასთან ბრძოლის შედეგად დღეისათვის გამოვლენილი მატერიალური ზარალი 3 მილიარდ 478 მილიონს შეადგენს. ამ თანხიდან 236,4 მილიონი დრამი უკვე აღდგენილია. თუმცა, დანარჩენი საკმაოდ შთამბეჭდავი თანხა ჯერაც ზარალად ითვლება. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და კონფერენც-სისტემების (გახმოვანების) შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

კონფერენც-სისტემების (გახმოვანების) 42 კომპლექტი; გახმოვანების სისტემის 1 კომპლექტი შეიცავს: მიქსერი 1; დინამიკი 4; მიკროფონი 4;

| System Controller/Amplifier - მიქსერი | |
|---|---|
| შემავალი არხები/Input Channels | 8 არხიანი/min 8 Chanels, adjustable Input Sensitivity and Individual Level Controls. |
| გამომავალი/Rated Output (RMS) | 60W |
| სიხშირე/Freq response | 60Hz to 20kHz |
| გამოსავალი დინამიკების/ Speaker Out 4X/Impedance | 30W: 4ohm, 8ohm, 70V/83ohm, 100V/165ohm |
| Warranty | 2 წელი |

| LOUD SPEAKER - დინამიკი | |
|---|---|
| სიხშირე / Frequency range | 60 Hz to 20 kHz -მინიმალური |
| სიმძლავრე / Capacity | 60 watts |
| მგრძნობელობა/Sensitivity (1W/1m) | 86 dB |

| MICROPHONE - მიკროფონი | |
|---|---|
| ტიპი/Type | "Gooseneck" ტიპის ფეხით, ჩამრთველ-გამომრთველით / with ON/OFF switch |
| სიხშირე / Frequency Response | 50 - 18,000 Hz - მინიმალური |
| გამომავალი/Output Connector | XLRM-ტიპის |
| ძაბვა/Phantom Power Requirements | 9 - 52V, 2 mA ტიპიური |
| ხმაური/Signal to Noise Ratio | 65 dB, 1 kHz at 1 Pa |

**ლოტი N2**

| მუშასადგური/WORKSTATION - 100 ცალი | |
|---|---|
| პროცესორი/CPU | 64 , 2600+; 256/800 |
| მეხსიერება/RAM | 512 Mb 64 Socket |
| დედაპლატა/Motherboard | Dual DDR; nForce4; Lan; Sound or equal |
| ყუთი/Case | 400W P/S+USB |
| მყარი დისკი/Hard Disk Storage | 80 GB, 7200 rpm, 2 mb buf |
| დრეკადი დისკი/Floppy Disk Drive | 3.5 In, 1.44 MB standard |
| კომპ-დისკი მაგ/ CD-R/W-DVD-R | 52X, IDE |
| გრაფიკული ადაპტერი/ Graphics Adapter | 128 Mb PCI-Express, TV-out, DVI-out, VGA-out |
| კლავიატურა/Keyboard | 104 key Enhanced keyboard RUS/LAT - PS2 |
| მაუსი/Mouse | USB Optical Mouse |
| სისტემა/Software Pre-installation | Microsoft Windows® XP |
| გარანტია/Warranty | 1 წელი/Year |

**ლოტი N3**

| LCD მონიტორი / LCD MONITOR - 42 ცალი | |
|---|---|
| დიაგონალი/Diagonal screen size | 17" (inch) |
| რეზოლუცია/Resolusion | 1280X768 |
| რეაგირება/Response time | 8 ms |
| სიმკვეთრე/Contrast ratio | 500:1 |
| ხედვის კუთხე/Viewing Angle | 160 degree |
| ტექნოლოგია/Display technology | TFT active matrix |
| გარანტია/Warranty | 2 Year |

| მონიტორი / MONITOR - 58 ცალი | |
|---|---|
| დიაგონალი/Diagonal screen size | 17" (inch) |
| რეზოლუცია/Resolusion | 1280X768@85Hz, 0.2 mm |
| გარანტია/Warranty | 1 Year |

**ლოტი N4**

| უწყვეტი კვების წყარო / UPS - 100 ცალი | |
|---|---|
| სიმძლავრე | 650VA/400 W |
| შემომავალი/ გავალი ძაბვა | 220V/220V |
| გარანტია/Warranty | 2 Year |

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 25 აპრილიდან 26 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება;

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 აპრილის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი N 408.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო აცხადებს ტენდერს ჰიდროაგრეგატებზე მომსახურების გაწევაზე (სამი ჰიდროაგრეგატის მიმდინარე რემონტი). მომსახურების გაწევის ადგილია შპს "ენგურჰესი", გალის რ-ნი დას. საბერიო და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006წლისწ 1 აგვისტომდე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 აპრილის 15 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისი. Pპაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.

3. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიულ პირთათვის:

ა) დადგენილებას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის (იურიდიული სტატუსის) შესახებ;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგენიზაცია ან ლიკვიდაცია:

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება:

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ;

ე) ცნობას შს სამინისტროდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის.

ა) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

გ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

დ) ცნობა,რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

3.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ბ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მას არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის მიმართ.

დ) ინფორმაციას მის ხელთ არსებული სარემონტო საშუალებების და ტექნიკის შესახებ.

4. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდესA შემდეგ რეკვიზიტებზე:

**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკრედიტ ბანკის**
**ზუგდიდის ფილიალი**
**ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929**

5. ტენდერის საშუალებით გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

6. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. (215) 301 80.

სატენდერო კომისია

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" აცხადებს კონკურსს ქონების იჯარაში გადაცემაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "ზღვისპირა პარკი" (შემდგომში - "პარკი"), დაფუძნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 9 აგვისტოს N 82 დადგენილებით, აცხადებს კონკურსს **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კაფეს ირგვლივ მოსაპირკეთებული ფართი შეადგენს 1,100.00 კვ. მეტრს, დაშენების ფართი - 250.00 კვ. მეტრს, მისასვლელი გზა - 178.08 კვ. მეტრს. აღნიშნული ქონება არ არის რაიმე ვალდებულებით დატვირთული.

3. კონკურსის ტიპი - კომერციული, სახე - პირობიანი.

4. წლიური საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა - 10 000 ლარი.

5. იჯარის მაქსიმალური ვადა - 10 წელი.

6. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსის შემდეგი პირობები:

ა) იჯარაში აღებული ქონება გამოიყენოს მოსახლეობის კულტურულ-გასართობი დასვენებისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის მიზნით. მოიჯარეს უფლება არ აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ეს ქონება;

ბ) შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, 2006 წლის 15 ივნისამდე მოახდინოს იჯარაში აღებული ქონებისა და მისი ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია-განახლება.

7. მოიჯარე ვალდებულია წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველკვარტალურად, კვარტალის მესამე თვის მეთხუთმეტე დღეს, მათ შორის I და IV კვარტლებში - წლიური საიჯარო ქირის ათ-ათი პროცენტის, II კვარტალში - ოცდაათი პროცენტის, III კვარტალში - ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით.

8. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვა, გასწიოს ამ ქონებასთან დაკავშირებული კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობის, დაცვისა და სხვა ხარჯები, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები.

9. მოიჯარეს უფლება აქვს მოახდინოს იჯარაში აღებული ქონების რეკონსტრუქცია-გაფართოება და სხვა გაუმჯობესებანი მეიჯარეს თანხმობითა და მშენებლობის წარმოების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება.

11. კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი.

12. დაინტერესებულმა პირებმა, პარკის მიერ დადგენილი განაცხადის ფორმა, ქართულ ენაზე, შეუძლიათ მიიღონ სამუშაო დღეებში დილის 10 საათიდან 17 საათამდე პარკის შემდეგ იურიდიულ და ფაქტიურ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N 13, პარკის ადმინისტრაცია.

13. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს:

ა) შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსში მონაწილის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) საკონკურსო წინადადება, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ (შემოთავაზებული საიჯარო ქირა მითითებული უნდა იყოს სიტყვიერად და ციფრებით);

გ) "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს მოქალაქე (რეზიდენტი) ფიზიკური პირის მიერ:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი. ინდივიდუალური მეწარმე (საწარმო) წარმოადგენს აგრეთვე ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;

- შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების ცნობას მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) უცხო ქვეყნის ფიზიკური პირის მიერ - მისი პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ;

ვ) საქართველოში რეგისტრირებული (რეზიდენტი) იურიდიული პირის მიერ:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ან, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან) და წესდების (დებულების) ასლი, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სასამართლოდან ცნობა იმის თაობაზე, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციიდან ცნობას იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

- მის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით საჯარო რეესტრის ადგილობრივი სააგენტოს ცნობა ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

ზ) უცხო ქვეყნის იურიდიული პირის მიერ - ამონაწერი შესაბამისი ქვეყნის რეესტრიდან და სხვა დამადასტურებული საბუთები, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ, აგრეთვე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი (თუ ის საქართველოს მოქალაქეა) ან პირადობის დამადასტურებული საბუთი, დადგენილი წესით ლეგალიზებული საქართველოს საგარეო სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ (თუ ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა);

თ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.

14. კონკურსში მონაწილეობისათვის ბეს სიდიდე შეადგენს წლიური საიჯარო ქირის მინიმალურ ოდენობის 10 პროცენტს ანუ 1000 ლარს. ის უნდა ჩაირიცხოს ზღვისპირა პარკის ანგარიშზე N 5609555 "თი ბი სი ბანკის" ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი N 220501835,

საიდენტიფიკაციო კოდი N245541864, ჩარიცხვის დოკუმენტში უნდა მიეთითოს გადახდის დანიშნულება - ბე **ბათუმის ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე განთავსებული N7 კაფე-ბარის "ფანტაზიას" იჯარით გადაცემაზე** კონკურსში მონაწილეობისათვის.

15 დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რეკონსტრუქცია-განახლების პროექტის ბეჭვდითი და ელექტრონული ვერსიები და საკონკურსო წინადადება, რომელშიც წლიური საიჯარო ქირის ოდენობა არ შეიძლება იყოს ამ განცხადებაში მითითებულ საიჯარო ქირაზე ნაკლები, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტებით, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 4 აპრილიდან 2006 წლის 1 მაისის ჩათვლით, სამუშაო დღეებში, დილის 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., N13, პარკის ადმინისტრაცია. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 1 მაისს 18 საათზე, იმავე მისამართზე, დაინტერესებული პირებისა და სხვა მსურველთა თანდასწრებით.

16 კონკურსის შედეგების შესახებ წერილობით ეცნობება მის მონაწილეებს 2006 წლის 5 მაისამდე, ხოლო, შემდგომ, 10 კალენდარულ დღეში, კონკურსში გამარჯვებულს ხელმოსაწერად, წერილობით გადაეცემა (გაეგზავნება) საიჯარო ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების გაფორმება ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მოწმდება სანოტარო წესით და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. სანოტარო და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს ფარავს მოიჯარე. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ბე არ დაუბრუნდება.

18. ქონების იჯარაში აღებისას, "ბე" მოიჯარეს ეთვლება პირველი კვარტლების საიჯარო ქირის დაფარვისას.

19. კონკურსში დამარცხებულებს კონკურსში მონაწილეობისათვის ჩარიცხული ბე უბრუნდებათ შედეგების გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მათთვის მოსახერხებელი ფორმით.

20. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ბატონ ვახტანგ წულაძესთან, პარკის ოფისში, ასევე საქალაქო ტელეფონით (995222) 74721 ან მობილური ტელეფონით 8(93) 750155, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით - info@batumipark.com

**საკონკურსო კომისია**

# განცხადება

## ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის მიზნით

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 4 აპრილიდან

11 სთ-დან 2006 წლის 4 მაისის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონოს:

• განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

• განაცხადი დალუქული პაკეტის სახით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო პროგრამის 4.7 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

• ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;

• შემდეგი ცნობები1:

- იურიდიული პირისათვის:

• ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

• ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

• სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;

• "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

• საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია,

რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

- ფიზიკური პირისათვის:

• პირადობის მოწმობის ასლი;

• ცნობა სასამართლო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;

• ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

• "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

• საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია,

რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

1 უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

"ბეს" გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის

მიზნობრივ ანგარიშზე

ს/კ 203827074

საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო

ა/ა 001132005 ბ/კ 220101107

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ

დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა მოთხოვნილ ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს

კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2; საკონტაქტო ტელეფონი: 93 45 73

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ: 96-91-26(111),

მისამართი, დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24

# ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის საკონკურსო პროგრამა

**1. შესავალი**

1.1 საქართველოს პარლამენტის მიერ, ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" და "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონების მიღების შემდეგ ლიცენზირებას და ნებართვის გაცემას დაქვემდებარებული საქმიანობების შემცირებასთან და კონკურენციის განვითარებისათვის

პირობების შექმნასთან ერთად, შესაძლებელი გახდა გაფართოვდეს თანამშრომლობის სფეროები ადგილობრივ ორგანოებსა და მეწარმეებს შორის და ადგილობრივმა ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს ქალაქის მართვის თანამედროვე ინსტრუმენტები. "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ადგილობრივ ორგანოს შესაძლებლობა ეძლევა იჯარით გასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 13 დეკემბრის N222 დადგენილებით, ქ. თბილისის მთავრობას მიეცა ნებართვა განკარგოს (იჯარით გასცეს) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები.

1.2 პროგრამა შემუშავებულია ქ. თბილისში პარკირების სფეროს მოწესრიგების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 13 დეკემბრის N222 დადგენილებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**2. არსებული მდგომარეობა**

2.1 დღეის მდგომარეობით პარკირების სფეროს რეგულირების მექანიზმი ქ. თბილისში ფაქტობრივად აღარ არსებობს და ქ. თბილისის ბიუჯეტი 2005 წლის სექტემბრიდან ვერ იღებს არასაგადასახადო შემოსავალს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებიდან. გარდა ფინანსური დანაკარგისა, აღნიშნული სფეროს მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქ. თბილისში სატრანსპორტო მოძრაობას და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, პარკირების სფეროში დასაქმებული მომსახურე პერსონალი დარჩა სამუშაოს გარეშე.

**3. პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები**

3.1 ამ პროგრამის რეალიზაციის მიზნით გამოცხადებული კონკურსის მთავარი მიზანია, გამოავლინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების, რომლებიც გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის, პოტენციური ოპერატორი (ოპერატორები), რომლის წინადადებები და შემოთავაზება საუკეთესოდ იქნება მიჩნეული კომისიის მიერ.

3.2 კონკურსის შედეგების მიხედვით, ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია (შემდგომში მოიხსენიება, როგორც საკონკურსო კომისია), კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც აისახება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების ოპერირების და მიწის იჯარით

გადაცემის პირობები.

**4. კონკურსის თემა და პირობები:**

4.1 ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურსს, რომლის პირობებითაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთების 1 წლით იჯარით გაცემა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების მოსაწყობად. იჯარით გასაცემი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთი (შემდგომში მოიხსენიება, როგორც ლოტი). წლიური საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა განისაზღვრება ლოტის მიხედვით (დანართი N3).

4.2 საიჯარო ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით.

4.3 ახალი საიჯარო ურთიერთობების გამოცხადების შემთხვევაში, თანაბარი პირობების არსებობისას, მოიჯარეს ეძლევა უპირატესი უფლება სხვაკონკურენტებთან შედარებით. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შექმნილი ინტელექტუალური და მატერიალური ქონება, ხელშეკრულების დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში გადაეცემა

ქ. თბილისის მთავრობას.

4.4 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (შემდგომში ეს პირები მოიხსენიება, როგორც პრეტენდენტი), რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ ხელშეკრულებას საკონკურსო კომისიასთან, წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად.

4.5 კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინონოს:

I. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

II. ფიზიკური ან იურიდიული პირის რეკვიზიტები;

III. ცნობები1:

• იურიდიული პირისათვის:

- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ

მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი.

- "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

• ფიზიკური პირისათვის:

1 უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის

სახელმწიფო ორგანოდან

- პირადობის მოწმობის ასლი;

- ცნობა სასამართლო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთი, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;

- საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

4.6 საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება განხილული იქნება როგორც უპირატესობა.

4.7 პრეტედენტმა, განცხადებასთან ერთად, საკონკურსო კომისიას წერილობით დალუქული პაკეტის სახით უნდა წარუდგინოს განაცხადი და წინადადებები (შემდგომში - განაცხადი), რომელშიც ასახული უნდა იყოს პრეტენდენტის ხედვა იჯარით გასაცემი ტერიტორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ოპერირების საკითხებთან დაკავშირებით. განაცხადი უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი საკითხებით:

ა) შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირის ოდენობა ლოტზე (ლოტში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის თითეული მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის მითითებით), რომელსაც პრეტენდენტი სთავაზობს საკონკურსო კომისიას (ეს შეთავაზება არ უნდა იყოს ამ პროგრამის დანართი N3-ით განსაზღვრულ ლოტის საწყის წლიურ საიჯარო ქირაზე ნაკლები). ლოტის შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირა უნდა იყოს ლოტში შემავალი თითეული მიწის ნაკვეთის შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირების ჯამი.

ბ) რა ღონისძიებების გატარებას აპირებს პრეტენდენტი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების სფეროში არსებული მდგომარეობა.

გ) რა ვადებში აპირებს პრეტენდენტი ამ პროგრამის 4.8 მუხლით განსაზღვრული

აუცილებელი ვალდებულებების შესრულებას.

დ) რა გამოცდილება გააჩნია პრეტენდენტს, ან მის პარტნიორს (პარტნიორებს) პარკირების სფეროს ოპერირების საქმეში.

4.8 გარდა ამისა, განაცხადში უნდა აისახოს მთავრობის მიერ განსაზღვრული, კონკურსში მონაწილეობის სხვა აუცილებელი პირობები, რომელთა შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა აიღოს შემდეგი ვალდებულებები:

ა) იზრუნოს იჯარით აღებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე;

ბ) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში აღჭურვოს

ავტოსადგომი შესაბამისი საგზაო ნიშნებითა და საინფორმაციო დაფებით (დანართი N1);

გ) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში დახაზოს

გასაჩერებელი ადგილები პარკირების ტიპის შესაბამისად (დანართი N2);

დ) გაითვალისწინოს მძღოლთა და ქვეითთა უსაფრთხოების ნორმები;

ე) ავტოსადგომებზე გამოყოს ადგილები შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის (დანართი N2);

ვ) ავტოსადგომზე მომუშავე პერსონალი შემოსოს ერთნაირი, ქალაქის მთავრობის მიერ დადგენილი დიზაინის უნიფორმით;

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის მაქსიმალური საფასური

კატეგორიების მიხედვით ერთ საათში არ იქნება ამ პროგრამით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი (დანართი N3);

თ) ავტოსადგომზე ფასიანი დგომის დრო და სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში არ იქნება ამ პროგრამით გათვალისწინებულ პარამეტრებზე მეტი (დანართი N3);

ი) ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის მთავრობას

წარმოუდგინოს ინფორმაცია იჯარით აღებულ თითეულ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებზე ფასიანი დგომის კონკრეტული დროისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის გამოყოფილი ადგილების შესახებ;

კ) იჯარით გასაცემ ადგილებს გამოიყენოს მხოლოდ ავტოსადგომის ფუნქციით;

ლ) სამუშაო საათების შემდეგ არ შეზღუდავს ამ ადგილებით სარგებლობას;

მ) დამატებითი მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში, პირობები შეათანხმოს ქ. თბილისის მთავრობასთან.

4.9 კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა, "ბეს" სახით, საკონკურსო კომისიის მიერ მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს საწყისი წლიური საიჯარო ქირის 5 პროცენტი ლარებში, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდეტს ჩაეთვლება იჯარის ვადის დასასრულს გადასახდელი იჯარის ქირაში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) და ამ პროგრამის 5.6. პუნქტით გათვალისწინებულ პირს (პირებს) - ერთი კვირის ვადაში დაუბრუნდება იმავე

წესით, რომლითაც მან ეს თანხა შემოიტანა.

4.10 კონკურსში გამარჯვებული, მის მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან მისი ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ქ. თბილისის მთავრობას გადაუხდის პირგასამტეხლოს მის მიერ შემოთავაზებული წლიური საიჯარო ქირის 25%-ს.

4.11 საკონკურსო კომისია იტოვებს უფლებას საჭიროების შემთხვევაში:

- გააუქმოს ან დაამატოს ცალკეული ავტოსადგომი ან ავტოსადგომთა რიგი;

- შეცვალოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ტიპი, დრო, დგომის ხანგრძლივობა, ფასიანი დგომის ხანგრძლივობა;

**5. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება.**

5.1 საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, "ბეს" გადახდის დამადასტურებელ საბუთს, საწყისი წლიური საიჯარო ქირის 25%-ის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულებას, განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით, სახელწოდებით "განაცხადი" და წარწერით: "გაიხსნას მხოლოდ საკონკურსო კომისიის თანდასწრებით" და ამ პროგრამის 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს და ცნობებს.

5.2 საკონკურსო კომისია, კონკურსის დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა

წარმომადგენლების თანდასწრებით, გახსნის "განაცხადი"-ს დალუქულ პაკეტებს და დაიწყებს პრეტენდენტთა წინადადებების განხილვას.

5.3 კონკურსში ერთ ლოტზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

5.4 კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და სრულად დააკმაყოფილებს ამ პროგრამით დასმულ საკონკურსო პირობებს. თუ წარმოდგენილი იქნება 2 ან მეტი განაცხადი, რომელიც საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება როგორც თანაბარი, უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელიც ითვალისწინებს უფრო მეტი საიჯარო ქირის გადახდას.

5.5 თუ წარმოდგენილი განაცხადი, ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება იმ ვადით, რაც დაჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას, მაგრამ არაუმეტეს ერთი კვირისა.

5.6 თუ პრეტენდენტის განაცხადში ერთი ან მეტი კომპონენტი დამოკიდებულია სხვა პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ საიჯარო ქირაზე, ან სხვა რაიმე პირობაზე, ამგვარი განაცხადი არ განიხილება.

5.7 გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, საკონკურსო კომისია ქ. თბილისის მთავრობის მიერ კონკურის შედეგების დამტკიცებიდან დადგენილ ვადაში გააფორმებს მიწის საიჯარო ხელშეკრულებას. (შემდგომში - ხელშეკრულება). ხელშეკრულების პირობები განისაზვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

5.8 ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ქ. თბილისის მთავრობა დააწესებს მონიტორინგს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების დარღვევა შეძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი და დამრღვევ მხარეს დაეკისროს მატერიალური პასუხიმგებლობა.

5.9 ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას ქ. თბილისის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

5.10 ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი. ოპერატორის მიერ დაქირავებული ყველა თანამშრომელი, წარმომადგენელი თუ ქვემოიჯარადე, იქნება ამ კომპანიის სრული კონტროლის ქვეშ.

5.11 ქ. თბილისის მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში, წინამდებარე საკონკურსო პროგრამით, ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობების

გარდა.

# დანართი №: 1

## საგზაო ნიშანი (პარკინგი)




## საინფორმაციო დაფა (პარკინგისთვის დასაშვები დრო)




## საინფორმაციო დაფა (პარკინგის ტიპი)




## ფასიანი დგომის დრო და ფასი



გაგრძელება მე-7 გვერდზე

დასაწყისი A6 გვერდზე

# დანართი №: 2

## გზის მართობული პარკინგი




## 45 გრადუსიანი პარკინგი




## პარალელური პარკინგი




დანართი №3

| № | ლოტის დასახელება | მიღებული ფართობი - კვ.მ | ლოტის საწყისი წლიური საიჯარო ქირა ლარებში |
|---|---|---|---|
| | ვაკე-საბურთალოს რაიონი | 7841.4 | 273235 |

| | ლოტში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთის დასახელება | მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) | პარკირების ფორმა | კატეგორია | პარკირების მაქსიმალური საფასური 1 საათში (ლარებში) | ფასიანი დგომის მაქსიმალური დრო | კვირის სამუშაო დღეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 358.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 2 | [illegible] | 62.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 3 | ჭავჭავაძის 74 | 182.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 4 | ჭავჭავაძის 39 | 717.00 | 45 გრადუსიანი | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 5 | ბანკი „ქართუ" | 216.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 6 | ჭავჭავაძის 41, ვაკის პარკის შესასვლელი | 118.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 7 | ფალიაშვილის 33 | 147.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 8 | ჭავჭავაძის 27/29 | 25.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 9 | ჭავჭავაძის 27/29 | 49.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 10 | ჭავჭავაძის 27/29 | 43.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 11 | ჭავჭავაძის 34 | 113.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 12 | „ეკო ტია" მიმდებარედ | 122.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 13 | „ეკო ტია" მიმდებარედ | 215.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 14 | „ეკო ტია" მიმდებარედ | 214.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 15 | „ეკო ტია" მიმდებარედ | 170.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 16 | ქავთარაძის 29/31 | 233.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 17 | ქავთარაძის 16 | 73.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 18 | ალ. ყაზბეგის 44 | 219.00 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 19 | ზოოპარკი | 134.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 20 | ვაკე-საბურთ. გზა | 58.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 21 | გამსახურდიას 2 | 65.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 22 | გამსახურდიას 2 | 81.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 23 | [illegible] | 333.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 24 | გამსახურდიას 5 | 205.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 25 | გამსახურდიას 12 „ნიკალა" | 69.00 | პარალელური | 1 | 1.0 | 24 საათი | სრული კვირა |
| 26 | გამსახურდიას 11 | 103.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 27 | გამსახურდიას 14 | 106.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 28 | გამსახურდია 16-20 | 175.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 29 | გამსახურდიას 21 | 123.80 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 30 | გამსახურდიას 24 | 70.40 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 31 | გამსახურდიას 24 | 37.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 32 | გამსახურდია 29-31 | 243.00 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 33 | კოსტავას 70 | 175.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 34 | პეკინის ქ. 2 | 51.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 35 | პეკინის ქ. 4 | 86.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 36 | პეკინის ქ. 17 | 121.50 | პარალელური | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 37 | პეკინის ქ. საბურთ. ბაზრის წინ | 92.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 38 | პეკინის ქ. საბურთ. ბაზრის წინ | 156.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 39 | პეკინის ქ. საბურთ. ბაზრის წინ | 203.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 40 | ყაზბეგის 12-12ა | 290.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 41 | ყაზბეგის 14 | 101.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 42 | ვაჟა-ფშაველას 21 | 207.00 | 45 გრადუსიანი | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 43 | ვაჟა-ფშაველას 16 | 450.00 | 45 გრადუსიანი | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 44 | ვაჟა-ფშაველას 46 | 267.70 | მართობული | 3 | 0.2 | 9 საათი | ორშაბათი-პარასკევი (5 დღე) |
| 45 | ვაჟა-ფშაველას 48-54 დელისი | 220.00 | მართობული | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 46 | ვაჟა-ფშაველას 48-54 დელისი | 250.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| 47 | ვაჟა-ფშაველას 45 რიგი 2 | 92.00 | პარალელური | 2 | 0.5 | 11 საათი | სრული კვირა |
| | სულ ვაკე-საბურთალოს რაიონი | 7841.4 | - | - | - | - | - |

## განცხადება

შსს სსიპ - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

შავი ლითონის ნაწარმი - 113,7 ტონა, შველერი - 1,8 ტონა, ფოლადის მილები - 6,2 ტონა, ფერადი ლითონი - 4,0 ტონა, მყარად შესადუღებელი სხმულები - 0,4 ტონა, ლითონმჭრელი, აბრაზული ინსტრუმენტი - 15158 ცალი. საწყისი ფასი - 37912 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე" მატერიალურ ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 5 მაისს დღის 2 საათზე დეპარტამენტის შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 35-67-23, 34-65-98. განაცხადები მიიღება 2006 წლის 4 მაისის დღის 4 საათზე.

**სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი**

## ცვლილება

გაზეთ 24 საათის 30 მარტის N68-ში შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში შეტანილია ცვლილება: შპს საქართველოს ფოსტა აცხადებს ტენდერს - ***ექსპლუატაციაში მყოფი (მეორადი)*** - პიკაპის ტიპის (დახურული) მცირე ტვირთამწეობის 2 ავტომობილისა და 2 ავტომობილი სატვირთო-საბარგო ძარით (18-20 მ3 მოცულობის) შესყიდვაზე. . .

შპს "საქართველოსა ფოსტა"

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 23 მარტის გაზეთში გამოქვეყნებული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობის 2006 წლის პროგრამის" "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, შშმ პირთა სათემო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გამარჯვებულები:

- ნაბეჭდი პროდუქცია - შ.პ.ს. "პოლიპრინტი";
- საკანცელარიო საქონელი - ინდმეწარმე იოსებ ხარჩილავა;
- ოფიციალური დელეგაციების და სტუმრების ვიზიტების მომსახურება - I ლოტი შ.პ.ს. "საუცხოო", II III IV და V ლოტები შ.პ.ს. "კავკაზუს ტრეველი";

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი" გორგასლის 95 საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1. III თაობის ცეფალოსპორინები

ლოტი 2. სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები

ლოტი 3. შესახვევი მასალები და ერთჯერადი მოხმარების საგნები

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: შპს "ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი" გორგასლის 95.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი" გორგასლის 95 მეორე სართული ოთახი №3. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 26 აპრილის 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროების შემთხვევაში);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები სს "ბაზის ბანკი" კოდი №220101956, ანგარიშის № 6836832, საიდენტიფიკაციო კოდი 204483380 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 26 აპრილამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი" გორგასლის 95 ოთახი №3.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რეზო ცაგარეიშვილი, ტელ: 755757 მისამართზე: შპს "ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი" გორგასლის 95.

# "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

I. სასამართლოს ცენტრალური აპარატი
1. აპარატის უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი).

II. სასამართლო სტატისტიკის განყოფილება
1. სასამართლო სტატისტიკის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

III. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიურო
საორგანიზაციო განყოფილება
1. საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. მოსამართლის თანაშემწე - 19 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500 ლარი).
3. სხდომის მდივანი - 19 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი).
4. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

კანცელარია (განყოფილება)
1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. წამყვანი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
3. სპეციალისტი - 7 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 280 ლარი).

საფინანსო-სამეურნეო განყოფილება
1. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
2. სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 280 ლარი).
3. ქსელის ადმინისტრატორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

IV. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიურო
1. ბიუროს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი).

საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება
1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. მოსამართლის თანაშემწე - 15 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500 ლარი).
3. სხდომის მდივანი - 10 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი).
4. ოპერატორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 230 ლარი).

კანცელარია (განყოფილება)
1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. წამყვანი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
3. სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 280 ლარი).

საფინანსო-სამეურნეო განყოფილება
1. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
2. ქსელის ადმინისტრატორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

V. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიურო
1. ბიუროს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი).

საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება
1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. მოსამართლის თანაშემწე - 17 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500 ლარი).
3. სხდომის მდივანი - 15 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350 ლარი).
4. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

კანცელარია (განყოფილება)
1. წამყვანი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
2. სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 280 ლარი).

საფინანსო-სამეურნეო განყოფილება
1. განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 530 ლარი).
2. წამყვანი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).
3. სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 280 ლარი).
4. ქსელის ადმინისტრატორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 300 ლარი).

## კონკურსის პირობები:

**კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.**

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე - პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**I. სასამართლოს ცენტრალური აპარატი**
**1. აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება;
- სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" და საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**II. სასამართლო სტატისტიკის განყოფილება**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სტატისტიკის საფუძვლებისა და ორგანიზაციის ცოდნა;
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**III. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიურო**
**საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო, სამოქალაქო-საპროცესო სამართლისა და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**კანცელარია (განყოფილება)**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**
**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია, პრობლემების დიაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

**IV. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიურო**
**1. ბიუროს უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ" დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა;
- სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის ცოდნა;
- ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების ცოდნა;
- სამოსმართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციიო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა;
- საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. ოპერატორის თანამდებობაზე:**
- საშუალო ან სპეციალური განათლება;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**კანცელარია (განყოფილება)**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა,
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**

**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალახია, პრობლემების დაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

**V. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიურო**
**1. ბიუროს უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-საპროცესო, საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულებისა და სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის პროფესიულ დონეზე ცოდნა.

**საორგანიზაციო საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება**
**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საერთო სასამართლოების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა.
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციული, ადმინისტრაციულ-საპროცესო, საგადასახადო, საბაჟო კანონმდებლობის ცოდნა; სასამართლო სისტემის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა; ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ცოდნა;
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში სპეციალური სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ანდა საერთო სასამართლოებში კონსულტანტად მუშაობის არანაკელებ 1 წლის გამოცდილება ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სხდომის მდივნის თანამდებობაზე:**
- იურიდიული განათლება;
- ადმინისტრაციულ-საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა, საერთო სასამართლოების შესახებ ნორმატიული აქტების ცოდნა;
- სამოსამართლო სწავლების ცენტრში სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**კანცელარია (განყოფილება)**

**1. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ნორმატიული აქტების ცოდნა;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესახებ დებულების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**საფინანსო-სამეურნეო განყოფილება**

**1. განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის, ფინანსების შესახებ და "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**2. წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**3. სპეციალისტის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონისა და ფინანსების შესახებ კანონმდებლობის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე).

**4. ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობაზე:**
- უმაღლესი განათლება;
- Windows 2000/2003 Server - ადმინისტრირების საწყისების (მომხმარებელთა, ქსელური რესურსების, უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა) ცოდნა;
- კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების (კომპიუტერების, საბეჭდი და პერიფერიული მოწყობილობების ინსტალაცია, პრობლემების დიაგნოსტიკა) ცოდნა;
- მონაცემთა ბაზების რომელიმე სისტემის საწყის დონეზე ადმინისტრირებისა და საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა.

კონკურსს ატარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო -საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. ავტობიოგრაფია;
2. განათლებისა ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა (დიპლომი);
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.
4. პირადობის მოწმობის ასლი

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტებისათვის (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და ჩაბარებული აქვთ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა) კონკურსი გაიმართება ტესტირებისა და გასაუბრების ფორმით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: 0131, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი XII კმ. N6;

**საჯარო სამსახურის ბიურო.**
ტ. 53-08-35; 53-09-28.